კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქეთევან ჯოჯიშვილი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილია

დისერტაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2022

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ქეთევან ჯოჯიშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტი“** და ვიძლევით რეკომენდაციას, აღნიშნული ნაშრომი განხილულ იქნეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----„ ..... 2022 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

თამარ კიკნაძე _____

რეცენზენტი: ამერიკათმცოდნეობის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, **ეკა ბერაია** _____

რეცენზენტი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ქეთევან ჯიჯეიშვილი _____

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2022 წელი

ავტორი: ქეთევან ჯოჯიშვილი

თემის დასახელება: „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტი“

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „-------„ ---------- 2022 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტის შესწავლას სამხრეთ კავკასიის მაგალითზე. კერძოდ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე გენდერული პრობლემების თავისებურებების დადგენას პოლიტიკური პროცესების ფონზე, რაც თითოეული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიულ ფასეულობებთან ზიარების გზაზე. ამასთანავე, არსებულ ნაშრომს დადებით ელფერს სძენს შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენება, რომელმაც უზრუნველყო სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ სინამდვილეში არსებული საერთო გენდერული სურათის შექმნა, რასაც ფონად გასდევს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გენდერული თანასწორობის პრობლემების მთელი სპექტრი.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, 12 ქვეთავის, ექსპერტების კვლევისა და დასკვნისაგან, ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში დასაბუთებულად წარმოდგენილია საკვლევი თემის აქტუალობა. მოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზა, კვლევის საგანი და ობიექტი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაჩვენებია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ინფორმაციული ბაზა.

პირველი თავი ეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ანალიზს გენდერულ ჭრილში, რასაც ეყრდნობა არსებული ნაშრომი და მის ღირებულების ხარისხსაც განსაზღვრავს. კერძოდ, განმარტებულია ფემინიზმი, როგორც კრიტიკული თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. უფრო მეტიც, საუბარია ფემინიზმის ცნების კონცეპტუალურ ანალიზსა და მისი წარმოშობის თავისებურებებზე, ამასთან, ფემინიზმიდან გენდერზე გადასვლის მნიშვნელოვან ეტაპზე. განხილულია საბჭოთა ქალის პრობლემების

თავისებურებები და თანამედროვე საზოგადოების საბჭოთა მემკვიდრეობა, აგრეთვე ქალის ქცევის განსხვავებული ტიპი პოსტსაბჭოთა სივრცეში.

მეორე თავში განხილულია ქართული სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური აქტივობის გენდერული განზომილება, ამასთან, ქართველ ქალთა პოლიტიკური მოღვაწეობის აღქმის მახასიათებლები და საქართველოს მიერ განხორციელებული ყველა ეროვნული მექანიზმი, რომლებიც მიზანმიმართულად იღწვიან ქალის ავანსცენაზე გამოჩენისა და გენდერული უთანასწორობის დასაძლევად.

მესამე თავში გადმოცემულია სომეხი ქალის როლის დესკრიფციული ანალიზი საზოგადოების კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში, აგრეთვე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სომხეთისათვის დამახასიათებელი სირთულეები და ის გენდერული გამოწვევები, რომლის წინაშეც იმყოფება თანამედროვე სომხური საზოგადოება.

მეოთხე თავში გადმოცემულია აზერბაიჯანელი ქალის როლის რეტროსპექტული ანალიზი, რომელიც ქალის ფენომენს ინსტიტუციონალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. ამასთანავე, განმარტებულია პოლიტიკურ პროცესებში ქალის როლის შემაფერხებელი ფაქტორები და მათი მოგვარების მიზნით შემუშავებული ეროვნული მექანიზმები.

განხილულია შეხედულებები ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ქალის როლის შესახებ სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში, მოცემულია განხორციელებული ემპირიული კვლევის-ექსპერტების გამოკითხვის შედეგები.

დასკვნაში მოცემულია კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების

შედეგად შესაძლებელია გენდერული პრობლემების აღმოფხვრა ან შემცირება სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში, რაც, თავისთავად, წარმოადგენს სტაბილური დემოკრატიის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას. გამოდის, რომ კვლევის შედეგები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პოსტსაბჭოთა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოკრატიის კონსოლიდაციის საქმეში, სადაც დემოკრატიული ღირებულებები გადაიქცევა დამკვიდრებულ და გაზიარებულ წესებად და ნაკლებად იარსებებს სახელმწიფოს ავტორიტარიზმისაკენ გადახრის საფრთხე. ამასთანავე, ზემოაღნიშნული რეკომენდაციები ხელს შეუწყობენ ახალი ღირებულებითი პრიორიტეტების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მოქალაქეთა იმ ძირითადი ფასეულობების რადიკალურ ცვლას, რომლებიც მათი მენტალობის საფუძველს შეადგენს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებითად იცვლება ვითარება. თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაცია გულისხმობს მის დემოკრატიზაციასა და ჰუმანიზაციას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი არის გენდერული თანასწორობა. კერძოდ, ქალთა პოლიტიკაში ჩაბმის პროცესი პროგრესული, ცივილიზებული საზოგადოების განვითარების ტენდენციის მაჩვენებელია. მაშასადამე, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაწყებულია „პოლიტიკის ფემინიზაცია“. სულ უფრო ხშირად წინა პლანზე გამოდის ე.წ. „სათათბირო დემოკრატია“, ხოლო ამოსავალ პრინციპებად გვევლინება თანასწორობა პოლიტიკურ სფეროში, ხელისუფლების გადანაწილება, უარის თქმა წმინდა მამაკაცურ წარმომადგენლობაზე, პოლიტიკის ლიბერალიზაცია და დემოკრატიზაცია. ასე რომ, ქალებს შესაძლებლობა აქვთ, მრავალფეროვნება და ზნეობრივი საწყისი შეიტანონ პოლიტიკაში. თუმცა ამგვარ გარდაქმნათა გზაზე მრავალი ბარიერი იჩენს თავს, რაც, ერთმნიშვნელოვნად, უკავშირდება ქალების შესაძლო მონაწილეობას ცხოვრების ყველა სფეროში, რაც საზოგადოების მძაფრ

წინააღმდეგობას იწვევს. ჩვენი ნაშრომის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს ზემოაღნიშნული პრობლემის უფრო ღრმა და სკულპულოზური შესწავლა, მომზადდეს სასწავლო კურსები და ტრენინგები. კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების შემუშავებისას, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მომზადებისას.

ნაშრომში არსებული მასალები და განზოგადებანი, სავარაუდოდ, შეავსებს ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში გენდერულ სფეროში არსებულ სიცარიელეს და სამომავლოდ ხელს შეუწყობს გენდერული ფენომენის ფუნდამენტურ შესწავლას და იმ მექანიზმებისა თუ საერთო კანონზომიერების განსაზღვრას, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ პროცესებში ქალის ფორმირებასა და ცირკულირება-რეკრუტირებას, რომლებიც თავისი მოღვაწეობით, კეთილისმყოფელი გავლენის ნიჭით უზრუნველყოფენ საზოგადოების კონსოლიდაციასა და სახელმწიფოს აღმშენებლობითი პროცესის ეფექტურად მართვას.

Annotation

The dissertation is dedicated to the study of the gender aspect of political processes on the example of the South Caucasus. In particular, the example of Georgia, Armenia and Azerbaijan to identify the characteristics of gender issues in the context of political processes, which is vital for each state on the path to communion with democratic values. In addition, the existing paper was pitched in a positive nuance by using a method of comparative analysis, which provides a common gender picture in the political reality of the South Caucasus region, which is accompanied by a whole range of gender equality problems in Georgia, Armenia and Azerbaijan.

The paper consists of an introduction, four chapters, 12 subchapters, expert research and conclusion, the paper is accompanied by a list of used literature.

The introduction substantiates the relevance of the research topic. The purpose of the research, objectives, hypothesis, research subject and object, theoretical-methodological fundamentals are given. The scientific novelty and the information base of the paper are shown.

The first chapter is devoted to the analysis of theories of international relations in the terms of gender, on which the existing paper is based and also determines the degree of its value. In particular, feminism is defined as one of the representatives of critical theory. Moreover, we are talking about the conceptual analysis of the concept of feminism and the peculiarities of its origin, as well as the important stage of the transition from feminism to gender. The peculiarities of Soviet women's problems and the Soviet legacy of modern society, as well as the different types of women's behavior in the post-Soviet space are discussed.

In the second chapter there is discussed the gender dimension of the political activity of Georgian civil society, as well as the characteristics of the perception of Georgian women's political activity and all national mechanisms implemented by

Georgia aimed at establishing gender parity and women's appearance on the Proscenium.

The third chapter presents a descriptive analysis of the role of the Armenian woman in the process of society consolidation and state-building, as well as the difficulties typical of Soviet and post-Soviet Armenia and the gender challenges facing modern Armenian society.

The fourth chapter presents a retrospective analysis of the role of the Azerbaijani woman, which discusses the phenomenon of women in an institutional, cultural and historical context. In addition, the factors hindering the role of women in political processes and the national mechanisms developed to address them are explained.

There are discussed the views on the role of Georgian, Armenian and Azerbaijani women in the development of statehood and social integration process, and the results of an empirical research - experts' survey are presented.

The conclusion provides general results and recommendations of the research, which, if taken into account and implemented through appropriate measures, can eliminate or reduce gender problems in the countries of the South Caucasus region, which is an important precondition for the development of a stable democracy. It turns out that the results of the research will make a significant contribution to the consolidation of democracy in the countries of post-Soviet South Caucasus, where democratic values will become as established and shared rules and there will be less risk of the state deviating to authoritarianism. In addition, the above recommendations will help to set new value priorities, which in turn will ensure a radical change in the core values of citizens that are basic of their mentality.

The situation in the countries of South Caucasus is changing substantially. The transformation of modern society implies its democratization and humanization, one

of the important components of which is gender equality. In particular, the process of women's involvement in politics is indicative of development tendency of a progressive, civilized society. Therefore, "politics feminization" has started in Georgia, Armenia and Azerbaijan. More and more often the so-called "Deliberative democracy" has been highlighted, and the basic principles are equality in the political sphere, redistribution of power, rejection of pure masculine representation, liberalization of politics and democratization. So women have the opportunity to bring diversity and a moral origin to politics. Based on our work, a deeper and more scrupulous study of the above problem can be conducted, learning courses and trainings can be prepared. The research materials can be used in the development of state policy principles on gender issues, in the preparation of relevant acts of legislation.

The materials and generalizations in the paper are expected to fill the gap in the gender field in the Georgian scientific literature and in the future will contribute to the fundamental study of the gender phenomenon and the definition of the mechanisms or general regularities that ensure the formation and circulation-recruitment of women in political processes, who through their activities ensure the consolidation of society and the effective management of the state-building process.

სარჩევი

ანოტაცია iv

Annotation viii

შესავალი 13

I თავი: გენდერული პრობლემების თეორიული და ისტორიული მახასიათებლები 37

I.I ფემინიზმი, როგორც კრიტიკული თეორია და გენდერი - ფემინიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი 38

I.II ქალთა პრობლემები საბჭოთა კავშირში და მათი თავისებურებები..... 56

I.III გენდერული თანასწორობა, როგორც ცივი ომის შემდგომი პერიოდის აქტუალური პრობლემა 65

II თავი: პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარება და მისი გენდერული თავისებურებები 77

II.I ქართველ ქალთა მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში 78

II.II გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმები 90

II.III ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმის მახასიათებლები 108

III თავი: გენდერული თანასწორობის პრობლემები პოსტსაბჭოთა სომხეთში..

..... 125

III.I ქალის როლი სომხური საზოგადოების ცხოვრებაში (რეტროსპექტული ანალიზი) 126

III.II ქალის როლი საბჭოთა სომხეთში 134

III.III პოსტსაბჭოთა სომხეთის გენდერული პრობლემების თავისებურებები 141

IV თავი: პოლიტიკური პროცესები პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანში და მისი გენდერული მახასიათებლები 152

IV.I ქალის როლის ევოლუციის ისტორიული ეტაპები 153

IV.II ეროვნული მექანიზმები და გენდერული თანასწორობა 161

IV.III ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში და არსებული პრობლემები 174

ემპირიული კვლევა 180

დასკვნა 192

გამოყენებული ლიტერატურა 200

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა. თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ (gender), სქესის (sex) ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (რასა, ასაკი, ეთნოსი, სტრატა) აყალიბებს სოციალურ სისტემას. ეს არის გარკვეულ კულტურაზე დაფუძნებული, მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოების, ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში კონსტრუირებული სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მაჩვენებელი.

აღსანიშნავია, რომ გენდერული როლების განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ-ისტორიულ ხასიათს ატარებს. თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი ჩვეულებები, ტრადიციები და ნორმები, რომლებიც სოციალურ-სქესობრივ როლებს განსაზღვრავს. დღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება, როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მართვის, პოლიტიკურ, ოჯახის და სხვ.) არსებული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი.[1]

საზოგადოებაში ქალთა დისკრიმინაციის მიზეზებისადმი გენდერული მიდგომის ტრადიცია, რომელიც სქესის ბიოლოგიური და ანატომიური თავისებურებების გარდა, მოიცავს მის სოციოკულტურულ ასპექტებსაც, XX

[1] კიკნაძე თ., დონაძე ნ. „გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, გვ. 3

საუკუნის 70-იანი წლებიდან დამკვიდრდა.[2] დასავლეთის თანახმად, ამ თეორიული მიდგომის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი ფილოსოფოს-ეგზისტენციონალისტი სიმონა დე ბოვუარი, რომელმაც გენდერულ თეორიას საფუძველი ჩაუყარა თავის ნაშრომში „მეორე სქესი“. სწორედ აქ დადგა დღის წესრიგში პირველად საკითხი კულტურაში ფემინურის - ქალურის დათრგუნვის შესახებ. ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი მენტალიტეტი აკანონებს და ამკვიდრებს მამაკაცურს (მასკულინურს), როგორც პოზიტიურ კულტურულ ნორმას, ხოლო ქალურს (ფემინურს, ანუ ნეგატიურს), როგორც ნორმიდან გადახრას.[3] ქეით მილეტი თავის ნაშრომში „სექსუალური პოლიტიკა“ ავითარებდა სიმონა დე ბოვუარის ნააზრევს და წერდა კულტურაში ფემინურის დათრგუნვაზე, როგორც პატრიარქატის სოციალურ პოლიტიკაზე. ქეით მილეტის გაგებით, პატრიარქატი არის ოჯახური, იდეოლოგიური, პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ქალური ყოველთვის მამაკაცურს არის დამორჩილებული. ქალების დათრგუნვა მომდინარეობს არა ბიოლოგიური განსხვავებიდან, არამედ ფემინურის, როგორც მეორადის სოციალურად დაკანონებიდან, პოლიტიკა სოციალური ძალაუფლების პარადიგმაა, რომელიც მოწოდებულია პატრიარქატის წესების შესაბამისად გააკონტროლოს ქალური სუბიექტურობა.

თუმცა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დღის წესრიგში გენდერული საკითხებით დაინტერესება მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნები. პოსტსაბჭოთა პერიოდის თანმდევი კრიზისული გარემო აქტუალურობას სძენს ქალების ჩართულობას სოციალურ და

[2] წურწუმია მ. „პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები (ექსპერტული ანალიზი საქართველოს მაგალითზე)“. ჟურნალი „პოლიტოლოგოსი“, თბილისი, 2019, გვ. 95

[3] Бовуар С. „Второй пол“. М., “Наука”, 1995, стр. 78

პოლიტიკურ პროცესებში. იგულისხმება, ქალების მაქსიმალურად ფართო ასპარეზი და აქსიოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული კონკრეტული გამოვლინებები.[4]

ზემოაღნიშნული პროცესების გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გაანალიზება გარკვეული ტექნოლოგიების შექმნის საწინდარი გახდება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ქალის რესოციალიზაციას, საზოგადოებაში ქალის როლისა და სტატუსის პოზიტიურ გარდასახვას და ინოვაციური მნიშვნელობის სტრატეგიების ჩამოყალიბებას.[5]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გენდერული თანასწორობის საკითხის აქტუალურობას წინ უძღოდა დემოკრატიული პროცედურების ინსტიტუციონალიზაციისა და მასობრივ ცნობიერებაში ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრება.[6] ამასთან, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია გენდერული ბალანსის დაცვა. ვინაიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ისინი სათანადოდ წარმოდგენილნი იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში. უფრო მეტიც, გენდერული თანასწორობა არის კეთილდღეობის ორგანული ნაწილი. საზოგადოებას და პოლიტიკურ სფეროს მნიშვნელოვანი ზიანი ადგება ქალთა პასიურობით, რადგან მათ ახალი ხედვებითა და ღირებულებებით შეუძლიათ პოლიტიკური პროცესების გამდიდრება.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ორგანოებში გადაწყვეტილებების მიმღებ დონეზე ქალთა

---

[4] კიკნაძე თ. „თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის გენდერული ასპექტი (80-90-იანი წლების საქართველოს მაგალითზე)“. თბილისი, 2003, გვ. 5

[5] Parsons T., Bales R. “Family, socialization and interaction process“. The Free Press, 1955, p. 8

[6] წურწუმია მ. „პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები (ექსპერტული ანალიზი საქართველოს მაგალითზე)“. ჟურნალი „პოლიტოლოგოსი“, თბილისი, 2019, გვ. 91

მონაწილეობის მაჩვენებელი შესამჩნევად დაბალია (როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლების დონეზე). საზოგადოებრივი მენტალიტეტის და წლობით დამკვიდრებული გენდერული როლების აღქმის დამსახურებაა ქალთა დაბალი ჩართულობა პოლიტიკაში. ეს არის მენტალური პრობლემა. საზოგადოებრივი სტერეოტიპები გენდერული საკითხების შესახებ ერთგვარ წინაღობად გვევლინება ქალთა პოლიტიკური კარიერის დაწყების გზაზე.[7] გარდა ამისა, კონტექსტური ფაქტორები - რელიგიური ფუნდამენტალიზმი, მილიტარიზმის ზრდა ქმნის განსაკუთრებით ძლიერ საფრთხეს ქალთა თავისუფლებისა და უფლებებისათვის.[8]

პოლიტიკური ცხოვრება სტრუქტურიზდება მასკულინური მოდელის საფუძველზე, სადაც მამაკაცები არიან პოლიტიკური თამაშის წესების მდგენელნი, აგრეთვე ხშირად ქალების გარკვეულწილად დელეგირებასაც ახორციელებენ. ისტორიულად ჩამოყალიბდა სოციალური წესრიგი, სადაც მამაკაცები დომინირებენ. პოლიტიკოსის სტერეოტიპული მოდელი იქმნება მასკულინური სტანდარტის საფუძველზე, რაც ქალი ლიდერის გარკვეულ ტრანსფორმაციას განაპირობებს. იგი ყალიბდება „მამაკაცური“ სტანდარტის საფუძველზე, რაც განსაზღვრავს ხელმძღვანელი ქალების ქცევის მანერასა და ჩაცმულობას, რომელიც თავისებურ სახეცვლილებას განიცდის და ერთგვარად „მასკულინიზებული“ ხდება. ვინაიდან მსოფლმხედველობრივი კლიმატი და ღირებულებითი გარემო პატრიარქალურია, ქალების ეპიზოდური გამოჩენა მაღალ ეშელონებში რეალობას ვერ ცვლის.

საზოგადოებაში არსებობს ღრმად გამჯდარი სტერეოტიპი, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლები პოლიტიკისთვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციით გამოირჩევიან. შესაბამისად, ასეთი მიდგომა გვევლინება

---

[7] საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში. თბილისი: UNDP Georgia, 2013, გვ. 50

[8] გამსახურდია ვ. „ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში“. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 121

ერთგვარ ინდიკატორად, რომელიც ქალთა თვითშეფასების დონის განმსაზღვრელია. საკუთარ თავში დაურწმუნებელ ქალებს უჭირთ სვლა პოლიტიკური კარიერის კვალდაკვალ, რაც, უპირველეს ყოვლისა, იწვევს ქალის შემოქმედებითი უნარის გაუთვალისწინებლობასა და არასრულფასოვან გამოყენებას, რითაც საზოგადოება მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს კარგავს.[9]

საზოგადოებაში ქალების მიმართ უფრო მკაცრი მორალური სტანდარტები ვლინდება და მათ გაცილებით მაღალ მოთხოვნებს უწესებენ, ვიდრე მამაკაცებს, რაც იწვევს ქალის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის კლებას და, რაღა თქმა უნდა, მათ „მეორეხარისხოვან მოქალაქეებად“ ჩამოყალიბებას.[10] ამდენად, მამაკაცები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ძალაუფლებისა და ბიუროკრატიული პირამიდის მიმართულებით, პოლიტიკური საქმიანობის წინა პლანზე. მათთან ერთად „ვერტიკალური მოძრაობის ლიფტში“ ქალები ნაკლებად ჩნდებიან.

ქალის პოლიტიკაში მონაწილეობას აფერხებს ოჯახისა და გარშემომყოფების მხარდაჭერის ნაკლებობა, რაც, როგორც წესი, იწვევს ქალის მთელი დროის და ენერგიის ოჯახის მიმართულებით ხარჯვას და, შესაბამისად, ისინი ვეღარ ახერხებენ პოლიტიკაში წასვლასა და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას.[11] ქალებს პოლიტიკური კარიერის გასაკეთებელი დრო არ რჩებათ, რადგან ისინი ორმაგად დატვირთულნი არიან, რაც გამოიხატება მათი ოჯახში და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობით.[12]

---

[9] წურწუმია მ. “საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში“. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, გვ. 65

[10] ხომერიკი ლ. გენდერი და პოლიტიკა. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია, 2006, გვ. 71

[11] გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაცია: საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES). თბილისი, 2014, გვ. 27

[12] სერპი ლ. „ქალი პოლიტიკაში, ფოკუსჯგუფების კვლევის შედეგები“. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი. თბილისი, 2012, გვ. 25

ქალთა პოლიტიკურ წინსვლას ხელს უშლის ფინანსური კეთილდღეობის არამდგრადობა. ამასთანავე, ქალები სხვადასხვა წინააღმდეგობებს აწყდებიან წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად სახსრების მოზიდვის კუთხით, რადგან სპონსორები ყოველთვის შიშობენ ქალი პოლიტიკოსების დაფინანსებას და მათზე ინვესტიციის გაკეთებას, რაც, თავისთავად, წარმოშობს არათანაბარ ფინანსურ სასტარტო პირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობა მიზანმიმართულია გენდერული ბალანსის დაცვისკენ და ამის დასტურად გვევლინება საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა ქალთა პოლიტიკაში დაწინაურების ხელშემწყობი კანონმდებლობის ჩამოყალიბება და რეალიზაცია, ამასთან, მონიტორინგის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია.[13]

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საჭიროა გარკვეული მექანიზმების ქმედებაში მოყვანა. კერძოდ, გენდერული ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, გენდერულად მგრძნობიარე კანონის და ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა. გარდა ამისა, აუცილებელია სპეციალური მხარდამჭერი ზომების შემოღება. მაგალითად, კვოტირების პრინციპის გამოყენება და ქალთა წახალისების მიზნით პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, რაც ქალთა გააქტიურების შესაძლებლობას შექმნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური აზრის მდგომარეობას და იმ ფაქტს, რომ გენდერული გამოკვლევები და ტექნოლოგიები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მონაწილეობის შემსწავლელ მიდგომას წარმოადგენს, ფაქტობრივად, სულ უფრო დიდ

[13] ჩხეიძე თ. (2010.11.05). „სამხრეთ კავკასია პოლიტიკაში ქალთა მეტი ჩართულობისათვის მზადაა“. იხ. WWW.HTTP://NETGAZETI.GE, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.01.2019.

ადგილს იკავებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თეორიებში და განიხილება არა მხოლოდ ქალთა ფორუმების, არამედ გაეროს კომისიისა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა დონეზე, ხდება მათი ინსტიტუციონალიზაცია და საერთაშორისო აქტებით გამყარება, თეორიული კონცეფცია და თავად დისერტაციის თემა შედარებით ახალი და მეტად აქტუალურია.

სადისერტაციო ნაშრომის **აქტუალობა** განპირობებულია ქალის როლითა და მნიშვნელობით თანამედროვე პოლიტიკური პროცესების სტრუქტურაში, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის მდგრადი განვითარება. ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების გზაზე არსებულ სენსიტიურ გამოწვევებზე.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმაციის პირობებში მისი შემადგენელი კომპონენტი ხდება გენდერული თანასწორობა, რაც განაპირობებს გენდერული თანასწორობის მოვლენის თეორიულ-მეთოდოლოგიურ კონტექსტში შესწავლას. შესაბამისად, აქტუალურია ნაშრომები, რომლებიც იკვლევენ გენდერული თანასწორობის არსს, სახელისუფლებო და მმართველობითი ფუნქციების რეალიზების მექანიზმების კონტექსტში, რადგანაც, არცთუ იშვიათად, სწორედ ქალის მიერ შედეგზე ორიენტირებულ ქმედებებზეა დამოკიდებული სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა.

მიუხედავად სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გაწეული ძალისხმევისა, ქალთა დისკრიმინაციის პრობლემა საზოგადოებაში კვლავ გადაუჭრელი და აქტუალურია. ზემოთქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი და აქტუალურია იმის გარკვევა, თუ რამდენად ეფექტურად ასრულებს სახელმწიფო დასახულ მიზნებს, რა ფაქტორები ახდენს აღნიშნულ პროცესზე ზეგავლენას და რა არის ის ძირითადი მიზეზები და წინააღმდეგობები, რის გამოც სახელმწიფოს მიერ

გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, გენდერული უთანასწორობის პრობლემის ადეკვატური შეფასება და მისი მოგვარების პრიორიტეტულ მიმართულებად გადაქცევა სახელმწიფო დონეზე ვერ ხერხდება.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობამ, მისმა არასაკმარისმა გაშუქებამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, განაპირობა სადისერტაციო თემის შერჩევა და კვლევის მიმართულება.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტის ანალიზი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. კერძოდ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე გენდერული პრობლემების თავისებურებების შესწავლა პოლიტიკურ პროცესების ფონზე, რაც, თავისთავად, თითოეული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიულ ღირებულებების ზიარების გზაზე, აგრეთვე არსებულ ნაშრომში შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებში მოღვაწე ქალების წინაშე არსებული ბარიერებისა თუ გამოწვევების თავისებურებების გამოვლენასა და ანალიზს, რაც ცხადია, დიდწილად, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის კონსერვატიული, ტრადიციებსა და კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობით აიხსნება. ამასთანავე, გარკვეული თეორიული კონცეფციებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობის პრაქტიკულ რეგულირებას სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ დონეზე.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებია:

- თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების განხილვა და გენდერული კვლევის კონცეპტუალური საფუძვლების განსაზღვრა;
- ტრადიციული საზოგადოებიდან განახლებადისკენ ანუ გარდამავალ პერიოდში მყოფ საზოგადოებაში ქალის პოლიტიკური სტატუსისა და როლის დახასიათება და ამ მოვლენის, როგორც საერთო დემოკრატიული პროცესის დინამიკის გამოვლენა სამხრეთ კავკასიის მაგალითზე;
- დასავლეთის დემოკრატიებისა და პოსტსაბჭოთა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოებების კომპარატიული ანალიზის საშუალებით სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოვლენა;
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ქალების მიმართ გატარებული სამართლებრივი და რეალური პოლიტიკის გაანალიზება და მისი ევოლუცია;
- თანამედროვე საზოგადოებაში ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმის თავისებურებების შესწავლა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე;
- პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების როლის განსაზღვრა საზოგადოების მენტალური და ღირებულებითი ორიენტაციის ცვლილების დინამიკაში;
- გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვებია:

- რა როლი ეკისრებათ ქალებს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში და რა სახის მექანიზმები არსებობს მათი როლის გასაზრდელად?
- როგორია ქალის ისტორიული როლი რეტროსპექტულ ჭრილში საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში?
- რატომ გახდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გენდერული საკითხი ცივი ომის შემდეგ აქტუალური და როგორ შეიცვალა პოსტბიპოლარულ სამყაროში ქალის როლი?
- რა თავისებურებები არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმისას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში და რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული პოლიტიკური კულტურის როლი ქვეყნების გენდერული პოლიტიკური ცხოვრების აღქმის პროცესის დროით და სივრცობრივ ასპექტში?
- არსებობს თუ არა ისეთი მექანიზმი, რომელიც ერთობლივი გზით ქალთა პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიის რეგიონში?

ნაშრომის ჰიპოთეზა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ისტორიულად ქალთა როლი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, მათ დიდი დამსახურება მიუძღვით, როგორც ამ ქვეყნების პოლიტიკური პროცესების მართვაში, ამასთან, მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნასა და დაცვაში, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკურ პროცესებში ჩართული ქალების დეფიციტია და, როგორც წესი, დგება მათი პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობამ გაატარა არაერთი პოზიტიური ცვლილება გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით, ანდა იკისრა საერთაშორისო ვალდებულებები, გენდერული თანასწორობის დაცვასა და ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას სჭირდება მეტი ძალისხმევა. თვალსაჩინოა, სამთავრობო სტრუქტურების ამბივალენტური ხასიათი - ერთი მხრივ, დეკლარირებული მხარდაჭერა, მეორე მხრივ, არასაკმარისი პოლიტიკური ნება რეალური ცვლილებების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომი მეტწილად ემსახურება მოცემული ჰიპოთეზის დასაბუთებას, ვიდრე მათ შემოწმებას. მიზნის აღსრულებაში დაგვეხმარა თეორიული მასალა და გამოყენებული ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუს ემპირიული კვლევის მეთოდი და აგრეთვე გენდერული საკითხების ექსპერტების გამოკითხვა.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის ობიექტი - სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების გენდერული ასპექტი.

კვლევის საგანი - ქალის როლის ევოლუციის ისტორიული ეტაპების პოლიტიკური მიმართულებით შესწავლა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვება. ამასთანავე, მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში ქალის როლისა და სტატუსის ცვლილებების ძირითადი ტენდენციების დადგენა და იმ სოციალურ-პოლიტიკური დეტერმინანტის სპეციფიკის გამოვლენა, რომელიც განსაზღვრავს ქალების სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, განწყობილებასა და ცხოვრებისეულ სტრატეგიას.

თემის მეცნიერული სიახლე

ა) სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენელ ქალთა პოლიტიკური ჩართულობისა და მათი შემაფერხებელი ფაქტორების შედარებითი ანალიზი, რადგან თითოეული ქვეყნის გენდერული პრობლემის ინდივიდუალური კვლევის სიმრავლის მიუხედავად, მათი შედარებითი ანალიზი ამ დრომდე არ განხორციელებულა. მითუმეტეს, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარეობს, რაც მათი შედარების მიმართ ინტერესს კიდევ უფრო აღვივებს და სიახლესაც წარმოადგენს. ამასთანავე, მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს იმ მექანიზმის კვლევა, რომელიც ერთობლივი გზით ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში;

ბ) დამუშავებულია თეორიული კონცეფცია, რომელიც ასაბუთებს მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში ქალის როლისა და სტატუსის ცვლილებების ძირითად ტენდენციებს და ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციოგენდერული ურთიერთობები;

გ) ნაჩვენებია სოციალურ-სქესობრივი ასიმეტრიის დონე პოლიტიკურ და მმართველ სტრუქტურებში. ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ტრადიციების ფარგლებში სოციალურ-სქესობრივი როლების სპეციფიკის გათვალისწინებით და ამ სფეროში პიროვნების გენდერულ თვითიდენტიფიკაციაზე დამოკიდებულებით, გამოვლენილია ღირებულებითი ორიენტაციების ტრანსფორმაცია;

დ) ემპირიული კვლევების შედეგებისა და მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილია იმ სოციალურ-პოლიტიკური დეტერმინანტის სპეციფიკა, რომელიც განსაზღვრავს ქალების სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, განწყობილებასა და ცხოვრებისეულ სტრატეგიებს;

ე) რეალური პრაქტიკის დამახასიათებელი ნიშანია „ერთგანზომილებიანი ლოგიკა“, რომელიც მიზანმიმართულია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ცალ-ცალკე შესწავლისკენ. ყოველივე ეს, ცხადია, ხელს უწყობდა ცოდნის დაგროვებას, მაგრამ ახლა პრობლემის კვლევას ვაწარმოებთ მთლიანობაში, ანუ ცენტრში მოვათავსოთ ადამიანი, მისი ღირებულებითი ორიენტაციების ცვლილებები და საზოგადოებაში მათი რეალიზაციის ხერხები;

ვ) ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებისთვის გენდერული თანასწორობის მიღწევა აუცილებელი და გარდაუვალი პროცესია, რადგან კულტურა სოციალური მოვლენაა და იცვლება და ვითარდება საზოგადოების განვითარების შესაბამისად. თავის მხრივ, გენდერული

თანასწორობის წარმატებით მიმდინარეობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში რადიკალურ ცვლილებებზე, არამედ ახალ პრიორიტეტულ ფასეულობებსა და ცხოვრებისეულ სტრატეგიებზე, რომლებიც აქტიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტი გაანალიზებულია თეორიულ ჭრილში. ამდენად, ზემოაღნიშნული საკითხის გაანალიზების პროცესში გამოიკვეთა კრიტიკული თეორიების - ფემინიზმის, სოციალური კონსტრუქტივიზმის და მარქსიზმის მიხედვით განხილვის აუცილებლობა. ამასთანავე, მოცემული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკოსი ქალების ფორმირების დისკურსული ანალიზი. აღნიშნული თეორიული მოდელი გულისხმობს მედიისა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ქალთა სამოქალაქო აქტივობის ამაღლებას, სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაციის გაღრმავებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სქესთა სოციალური თეორია, რომელიც აქტიურად ლობირებს სქესთა თანასწორუფლებიანობის რეალიზაციას.[14]

დისკურსი არის არგუმენტირებული პოზიციების, შეხედულებების გაცვლა გარკვეული წესების შესაბამისად, რომელიც სამომავლოდ

[14] თურმანიძე თ., ურუშაძე ე., დუჩიძე ლ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია“ - თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004, გვ. 44

უზრუნველყოფს სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას.[15] გერმანელი მკვლევარი ახიმ ლანდვერი, რომელიც დისკურსს ისტორიული პერსპექტივიდან განიხილავს, თვლის, რომ დისკურსის თეორია იკვლევს სოციოკულტურულ სინამდვილეს - სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და ა.შ. ცხოვრების კონკრეტულ ასპექტებს, რომლებსაც ენობრივი გამოხატვის კონკრეტული თავისებურებები და ფორმა აქვს და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.[16]

დისკურსის ცნება, რომელიც ფრანგი ენის ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს სახელს უკავშირდება, მოიაზრებს საზოგადოებრივი თვალსაზრისით რელევანტური ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბების კოლექტიურ პროცესებსა და ინტერტექსტუალურ კავშირებს საზოგადოებრივ დონეზე.[17]

დემოკრატიის დისკურსული თეორიიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ პოტენციალი შექმნან დისკურსული ურთიერთქმედების სივრცე, სადაც შეეძლებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონიტორინგის განხორციელება, მოქალაქეთა რიგი საჭირბოროტო საკითხების განსჯა და ქალების მარგინალიზებული ჯგუფების გაძლიერების ხელშეწყობა ისე, რომ, რაც მთავარია, მათაც შეეძლოთ პროცესში ჩართვა.[18] აღნიშნული თეორია ლეგიტიმურობას ანიჭებს მოქალაქეთა შესაძლებლობას აწარმოონ დისკუსია ხელისუფლებასთან საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად.[19]

---

[15] Котова А., Денисенко В. Делиберативная демократия, обзор концепции Ю. Хабермаса, III международная конференция "Право: современные тенденции" (Краснодар, февраль 2016). Дата публикации: 04.02.2016, стр. 67

[16] Landwehr A. "Historische Diskursanalyse". Frankfurt, 2008, p. 3-4

[17] Foucault M. "L'archéologie du savoir". France: Éditions Gallimard, 1969, p. 156

[18] Nanz and Steffek, Global governance, participation and the public sphere, 2004, p. 315

[19] გოგელია ნ. „მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი". თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, გვ. 8

სქესის სოციალური თეორია სქესთა შორის არსებული ტრადიციული პატრიარქალური ურთიერთობების ეგალიტარული ურთიერთობებით შეცვლას ითვალისწინებს და უმთავრესი პრინციპის - სქესთა თანასწორუფლებიანობის რეალიზაციას გულისხმობს.[20]

ფემინიზმი, როგორც კრიტიკული თეორია სიტუაციას აფასებს ქალის გადმოსახედიდან და გმობს მამაკაცების მიერ მონოპოლიზებულ საზოგადოებრივ ყოფას. ფემინიზმის თეორია კიდევ უფრო აქტუალური გახდა თანამედროვე საზოგადოებაში, როდესაც, გარკვეულწილად, განვითარების დონემ ცხადყო მასკულინური საზოგადოებრივი მოწყობის სტრუქტურის, სახელისუფლო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლის საჭიროება. ისიც ფაქტია, რომ XVII საუკუნემდე საზოგადოებრივი ცნობიერება დაკანონებული იყო არისტოტელეს ავტორიტეტისაგან დავალებული ანთროპოლოგიური ჰიპოთეზით - „ადამიანის საზომი მამაკაცია“. თუმცა, დღეს ნათელია, სოციალურ-ფილოსოფიური და პოლიტიკური კონცეფციები უზრუნველყოფდა თანამედროვე ფემინისტური თეორიების ჩასახვას და ჩამოყალიბებას. ამასთან დაკავშირებით, რაღა თქმა უნდა, აღსანიშნავია ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოსა და ჯონ სტიუარტ მილის ლიბერალური ფილოსოფია, რომლის ფარგლებში ვითარდებოდა ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი ფუნდამენტალური პრინციპები და თეორიები.

სოციალური კონსტრუქტივიზმი - ფემინისტები ტრადიციულად უპირისპირდებოდნენ იდეას, რომ ბიოლოგია ბედს განსაზღვრავს, ავლებდნენ რა მკვეთრ ზღვარს სქესსა და გენდერს შორის. „სქესი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს ბიოლოგიურ განსხვავებას მამაკაცებსა და ქალებს შორის. ეს განსხვავებები ბუნებრივია და შესაბამისად, უცვლელიც. ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობები სქესთა შორის დაკავშირებულია რეპროდუქციულ

[20] Bussey K., Bandura A. (1999) “Social cognitive theory of gender development and differentiation”, p. 19

ფუნქციასთან. გენდერი, მეორე მხრივ, წარმოადგენს კულტურულ ტერმინს. გენდერი არის სოციალური სქესი ანუ განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით (სპეციფიური სოციალური ფუნქციები საზოგადოებაში, კულტურული სტერეოტიპები და ა.შ.). სქესთა დიქოტომია კულტურის მიერაა მოდელირებული და დღესაც ასე გრძელდება.[21] მამაკაცისა და ქალის სოციალურ როლებს თავად საზოგადოება ქმნის, მისთვის დამახასიათებელი კულტურული ნორმებითა და ფასეულობებით. ის ასახავს განსხვავებულ როლებს, რომელთაც საზოგადოება მიაწერს მამაკაცებსა და ქალებს. გენდერული განსხვავებები, ჩვეულებრივ, „მასკულინურისა“ და „ფემინურის“ კონტრასტული სტერეოტიპებით ინერგება. როგორც სიმონა დე ბოვუარი ამბობდა - „ქალებს ქმნიან, ისინი არ იბადებიან“. [22]

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, არსებობს მოსაზრებაც, რომ ქალი და მამაკაცი, როგორც ბიოსოციალური ფენომენი, ორობითი ადამიანის ბუნებით ხასიათდება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ბუნების ნაწილნი არიან და ამავე დროს განუყოფლად არის დაკავშირებული საზოგადოებასთან. ბიოლოგიური და სოციალური ადამიანი შერწყმულია და მხოლოდ ასეთ ერთიანობაში არსებობს იგი.[23]

ფემინისტები თვლიან, რომ გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ხალხში არსებული იდეების და სტერეოტიპების სწორი მიმართულებით ტრანსფორმაცია, რათა მოხდეს საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი იდეოლოგიების გარდაქმნა და სასურველი შედეგის დადება გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით.

---

[21] შორე ე., ჰაიდერ კ. “ქალურობა, ფემინიზმი, სქესი და გენდერი”. თბილისი, 2001, გვ. 46.
[22] Cole N. L. “Global Capitalism Organizing Knowledge of Race, Gender and Class: The Case of Socially Responsible Coffee”. California, 2008, p. 17
[23] Bakan D. “The duality of human existence”. Chigaco: Rand McNally, 1966, p. 61

მარქსიზმი - აღნიშნული თეორია მოისაზრებს კლასობრივ დაყოფას, სადაც მუშათა კლასი (პროლეტარიატი) განიცდის ექსპლოატაციას მაღალი კლასის წარმომადგენლების მხრიდან (კაპიტალისტები და ბურჟუაზიელები), ხოლო ქალთან მიმართებაში, მისი ექსპლოატაცია ხდება ორგვარად: ერთდროულად არის ქალიც და მუშაც. მაშასადამე, თავის მხრივ, ახდენს მუშათა კლასის ექსპლოატაციას, ხოლო გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში - ქალის ჩაგვრას შემდეგი სახე აქვს: ქალი - დედა, ქალი - მოსამსახურე და ქალი - საზოგადო მოღვაწე. მარქსიზმის თანახმად, ქალი ორმაგად მუშაობს, მაგრამ მისი შრომა სათანადოდ ანაზღაურებული არ არის. ვინაიდან ქალის ექსპლოატაციის ძირითად ფორმად ითვლება საშინაო შრომა, რაშიც ნაგულისხმევია ფართოდ გავრცელებული მანიპულაცია და ყველაზე უჩინარი და მისტიფიცირებული ძალადობა, ქალმა ამისთვის ხელფასი მაინც უნდა მიიღოს და ქმრისგან დამოუკიდებელი გახდეს.[24]

[24] ჯავახიშვილი ნ. "ფემინისტური მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა". იხ. https://www.nplg.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.05.2021.

კვლევის მეთოდები

დისერტაციაში გამოყენებულია კვლევის ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან ერთად, თვისებრივი კვლევის მეთოდებიც.

- **ნარატიული და დესკრიფციული** - გულისხმობს თხრობით წყაროებს. აღნიშნული მეთოდი დაგვეხმარა ნაშრომში მასალების წარმოსადგენად და აგრეთვე გამოვიყენეთ გენდერისა და ფემინიზმის ისტორიული მიმოხილვისთვის;
- **ჩაღრმავებული ინტერვიუ** - ინტერვიუს სახეობა, ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც აგებულია რესპოდენტთა შეხედულებებისამებრ. გამოვიყენეთ გენდერულ პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტებთან და ექსპერტებთან;
- **შედარებითი ანალიზის მეთოდი** - სიტუაციური ანალიზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. „შედარებითი“ მეთოდის არსი მდგომარეობს მოძიებული ინფორმაციის სპეციფიურ ანალიზში, რომელიც მოვლენების შედარებას ემსახურება. გამოვიყენეთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის შესადარებლად;
- **ივენტ-ანალიზი** - პოლიტიკური რეალობის შესწავლისთვის გამოვიყენეთ. ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებების და სამოქალაქო საზოგადოებების ურთიერთობების დინამიკის ანალიზისთვის;
- კვლევაში ასევე გამოვიყენეთ პირველადი და მეორეული წყაროების **შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი;**
- პირველადი წყაროების კვლევის ფარგლებში მოვახდინეთ ოფიციალური დოკუმენტების, ანგარიშებისა და სამართლებრივი აქტების ანალიზი;

- მეორეული წყაროების ფარგლებში - ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის შინაარსობრივი ანალიზი.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ძალზე არსებითია, რადგანაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად. ამ შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას ან შემცირებას.

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოსს, ანალიტიკოსსა და გენდერული საკითხების ექსპერტებს, როგორც დამხმარე მასალა შესაბამისი პროფილის დისციპლინების ათვისებისას.

ჩვენი კვლევის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს აღნიშნული პრობლემის უფრო ღრმა და კომპლექსური შესწავლა, მომზადდეს სასწავლო და სპეციალური კურსები. კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების შემუშავებისას და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მომზადებისას.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს დისერტაციაში არსებული მასალები და განზოგადებანი შეავსებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტის კონტექსტში არსებულ სიცარიელეს.

ამასთანავე, შესაძლებელია შედეგების გამოყენება სასწავლო და კვლევით საქმიანობაში, უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნა ყველა წყარო, რომელიც მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ და, რაც მთავარია, დაკავშირებულია დისერტაციის თემატიკასთან. წყაროების შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების თანახმად,

- კომპეტენტურობა;
- ინფორმატიულობა;
- ორიგინალური და სიღრმისეული ხედვა;
- ხედვათა მასშტაბურობა;
- ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროები.

დისციპლინათაშორისი მიდგომის გათვალისწინებით, გამოყენებული ლიტერატურის ბაზა კომპლექსური ხასიათის ნაშრომებით არის წარმოდგენილი - პოლიტიკური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური კვლევები, რომლებშიც გაშუქებულია ქალთა პოლიტიკური აქტივობის განვითარების ეტაპები, სახელმწიფოს გენდერული ინსტიტუციონალიზებული მექანიზმები, ქალების ქცევის სოციალური და პოლიტიკური ასპექტები.

მნიშვნელოვანი წყარო არის აგრეთვე კონფერენციები, „მრგვალი მაგიდების“ მასალები, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები, კონვენციები, ნორმატიული აქტები, პარლამენტის დადგენილებები,

რომლებიც, ძირითადად, შეიცავენ არსებით ინფორმაციას პოლიტიკურ პროცესებში ქალის როლის შესახებ დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში, აგრეთვე საზოგადოებრივი განწყობების ანალიზის შესახებ.

წყაროთა მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენს დასავლელ მეცნიერთა - ზ. ფროიდის, კ. იუნგის, გ. ლებონის, კ. ჰორნის, რ. ბენედიქტის ნაშრომები, რომლებიც გვაცნობს წარმოდგენებს ცნობიერების მასობრივი პროცესების შესახებ. განსაკუთრებულად არის გამახვილებული ყურადღება იმ წყაროების დამუშავებაზე, სადაც ახსნილია სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ზეგავლენა მასობრივი ცნობიერების ევოლუციის პროცესებზე. ეს გახლავთ ე. ფრომის, გ. მარკუზეს, ე. რეიხის, ჰ. ერტეგა-გასეტის და სხვათა ნაშრომები.

საყურადღებო წყაროთა ჯგუფს შეადგენს - არისტოტელეს, ბ. ფრიდანის, ჯ. ლორბერის, ქ. მილეტის, ნ. ჩომსკის, ა. დე ტოკვილის, თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, ჟ.ჟ. რუსოს, ჯ. მილის, კ. მარქსის, ლ. დაიმონდის და სხვ. ნაშრომები, რომლებიც რეტროსპექტულად გადმოგვცემენ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების და მასში გენდერული ასპექტის, ქალთა აქტივობის განვითარების ძირითად ისტორიულ ეტაპებს. ამასთანავე, განსაკუთრებულად არის ყურადღება გამახვილებული იმ წყაროების დამუშავებაზე, სადაც გადმოცემულია საბჭოთა ქალის მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა კი, მისი ახლებურად გააზრება ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც გარკვეულ ქაოსთან არის დაკავშირებული. ეს გახლავთ ლ. ეტვუდი, ა. ბებელი, ფ. ენგელსი, გ. ლაპიდუსი, ს. ლი, ე. ჰეითლინგერი, გ. ლაპიდუსი, ე. ვუდი და სხვათა ნაშრომები.

გენდერული თანასწორობის კონტექსტში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, იმ მეცნიერთა ნაშრომები, რომელთა საკვლევი სფერო პირდაპირ ბმაშია ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემატიკასთან. აღნიშნული კუთხით,

განსაკუთრებით გამოვყოფთ - ჯ. ვითნერი, ჰ. სიქსუსი, ქ. პიზანი, მ. უოლსთონკრაფტი, კ. აგრიპა, შ. ფურიე, ა. ს. სიმონი, რ. ოუენი, ფ. ვული, გ. ბოკი, ქ. მილეტი, ს. ბოვუარი, რ. კუკი და ჯ. გრირი, რომლებიც საერთო გენდერული კანონზომიერების განსაზღვრითა და ქალის მრავალწახნაგოვანი ტიპოლოგიის შესწავლით იყვნენ დაკავებულნი.

თეორიული წყაროების შემდეგი ჯგუფი დაკავშირებული იყო ქართული პრობლემატიკის სპეციფიკასთან დაკავშირებულ ნაშრომებთან და მოიცავდა ისეთ ავტორებს, როგორიც არიან ი. ჭავჭავაძე, მ. ჯავახიშვილი, თ. კიკნაძე, ნ. დონაძე, ლ. გაფრინდაშვილი, თ. სახოკია, ლ. სურმანიძე, ე. რუსეცკი, ლ. ზაქარაძე, ფ. ზურიკაშვილი, ჩ. ჯაში, ლ. ნადარაია, დ. ხომერიკი, თ. ჯაფარიძე, ნ. დურგლიშვილი, რაც მეტყველებს ქართველ მკვლევარებში ფემინისტური პრობლემების მიმართ სერიოზულ ინტერესზე. აღნიშნული კვლევები მიზნად ისახავდა პოლიტიკურ სფეროში მოღვაწე ქალების საჭიროებების შესწავლასა და იდენტიფიცირებას, აგრეთვე სათანადო რეკომენდაციების გაცემას.

დისერტაციაში წარმოდგენილია სოციოლოგიური კვლევა, ჩაღრმავებული ინტერვიუების სახით, სადაც მონაწილეობა მიიღეს გენდერის ექსპერტებმა მ. წურწუმიამ, თ. ბაგრატიამ, ე. რუსეცკიმ, ლ. სულეიმანოვამ და მ. არაქელოვამ. მაშასადამე, აღნიშნული სოციოლოგიური კვლევა არის მრავლისმთქმელი, რადგან მასში მონაწილეობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სპეციალისტები, რაც ნიშნავს, რომ საკითხის შეფასება მოხდა ობიექტური პრიზმიდან.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 213 გვერდს. წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვება გამოყენებული წყაროების დასახელებისა და ლიტერატურის სია (180 გამოყენებული ლიტერატურა).

I თავი: გენდერული პრობლემების თეორიული და ისტორიული მახასიათებლები

პირველ თავში გადმოცემული და გაანალიზებულია ის საბაზისო ინფორმაცია, რომელსაც ეყრდნობა არსებული სადისერტაციო ნაშრომი, რაც, თავისთავად, მკაფიოდ განსაზღვრავს ნაშრომის ღირებულების სამომავლო ხარისხსაც. უფრო მეტიც, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიების ანალიზი მოხდა გენდერთან მიმართებაში, რაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების გენდერული პრობლემების შესწავლის დასაბამი გახდა. ამასთანავე, ყურადღება გამახვილებულია გენდერულ თანასწორობაზე, როგორც ცივი ომის შემდგომი პერიოდის აქტუალურ პრობლემაზე და თანამედროვე საზოგადოების საბჭოთა გენდერულ მემკვიდრეობაზე.

I.I ფემინიზმი, როგორც კრიტიკული თეორია და გენდერი - ფემინიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი

კრიტიკული თეორია მრავალფუნქციური ცნებაა, რომელსაც, თავის მხრივ, გამოარჩევს საკუთარი მსოფლმხედველობა სოციალური დემოკრატიის პირობებში ქცევის რაობის შეცნობის თაობაზე, ამასთან მიზანმიმართულად ცდილობს თანასწორობასა და დემოკრატიაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას. კერძოდ, ის უუფლებოთა ემანსიპაციისკენ, უთანასწორობის აღმოფხვრისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნული თავისუფლების ხელშეწყობისკენ ისწრაფვის.[25]

ამგვარად, აღნიშნული თეორია კონკრეტულ სიტუაციებში მოქმედი ინტერესების დადგენას და მათი კანონიერების თაობაზე შეთანხმების მიღწევაზეა ფოკუსირებული. ამ თვალსაზრისით, კრიტიკული კვლევის მეტწილად ფუნდამენტური მიზანია, აღმოფხვრას უკანონო ძალადობის ჩადენა და ზემოქმედება, შექმნას უფრო სამართლიანი/თანასწორი საზოგადოება და გარემო, სადაც საზოგადოება მეტად დამოუკიდებლად და თავისუფლად იგრძნობს თავს.[26]

კრიტიკული თეორიის განშტოებებია ფემინიზმი, მარქსიზმი, სოციალური კონსტრუქტივიზმი, პოსტკონსტრუქტივიზმი და ფრანკფურტის სკოლა.

ფემინიზმი არის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გათანასწორება მამაკაცებთან ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. ამრიგად, ფემინიზმი დისციპლინათშორისი დარგია და მისი ამგვარი ბუნების გამოა, რომ იგი

[25] Cohen L., Manion L., Morrison K. "Research Methods In Education". USAID, (Sixth Edition), p. 89
[26] Burchill S. "Theories of International Relations". New York: Palgrave Macmillan, 2005, p. 22

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროშიც შეიჭრა.[27] აღსანიშნავია, საერთაშორისო ურთიერთობებში გვხვდება რამდენიმე ფემინიზმი. თითოეულ მათგანს გააჩნია განსხვავებული მიდგომა და ხედვა ქალის როლის, მისი ემანსიპაციის, მამაკაცთან თანასწორობის მიღწევისა და პატრიარქალური საზოგადოების შეცვლის შესახებ.[28]

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯუდით ლორბერი, თავის ნაშრომებში რეტროსპექტულად განიხილავს ფემინიზმის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს. გენდერთან მიმართებაში იგი ფემინიზმის ტიპოლოგიზაციას ახდენს და სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფს - რეფორმატორულს, რეზისტენტულსა და ბუნტარულს, რომლებიც, როგორც წესი, ფემინიზმის ზოგად თეორიულ საფუძვლებს ეყრდნობა.[29]

ფემინისტური მოძრაობის სამი მნიშვნელოვანი მიმართულების შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა მათი საერთო ტენდენცია - ეს არის საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული სტრუქტურის კრიტიკა და მის წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება, გალაშქრება ქალთა დისკრიმინაციისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბრძოლა ქალთა უფლებების დასაცავად, სქესთა სამართლებრივი და ფაქტობრივი თანასწორობის დასამყარებლად. ზოგადი ფემინისტური იდეოლოგიის თანახმად, ადამიანები, განურჩევლად სქესისა, უნდა იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების თანასწორუფლებიანი მონაწილენი და სარგებლობდნენ თავისუფალი არჩევანის უფლებით.

---

[27] რონდელი ა. „საერთაშორისო ურთიერთობები“. თბილისი: მესამე განახლებული გამომცემლობა, ნეკერი, 2006, გვ. 33

[28] ჯოჯიშვილი ქ. „გენდერული პრობლემების გავლენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე საქართველოში“, თბილისი, 2018, გვ. 25

[29] კიკნაძე თ., დონაძე ნ. „გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, გვ. 17

რეფორმატორებს ქალისა და მამაკაცის თანაბარი ყოფისა და უფლებების დანერგვა შესაძლებლად მიაჩნიათ თავად საზოგადოებაში არსებულ სოციალურ სტრუქტურის ფარგლებში, ხოლო რეზისტენტები განსხვავებულ აზრზე დგანან, იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეუძლებლად მიაჩნიათ ყოველგვარი ქალის ემანსიპირება მამაკაცთან საზოგადოებრივი წესრიგის ფარგლებში.

რეფორმისტების კრიტიკული ცნობიერება აქცენტს აკეთებს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ მხარეზე, როგორც გენდერული უთანასწორობის წყაროზე, ხოლო რეზისტენტული ფემინიზმის წარმომადგენლები ფოკუსირდებიან ქალების მიმართ სექსუალურ ძალადობაზე და მისი ლიკვიდაციის, არსებული მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობად მოიაზრებენ მასებთან ხანგრძლივ მუშაობას.[30]

ბუნტარული ფემინიზმი ეჭვის თვალით შეჰყურებს არსებული გენდერული სტრუქტურის აღიარებულ საფუძველს - კაცობრიობის დიქოტომიას. მათი გადმოსახედიდან, სქესს რამდენიმე და არა ორი კატეგორია აქვს და ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის ადამიანების დისკრიმინაცია დაუშვებელია.

წლების მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაში მრავალი სოციალური მეცნიერისა და ფილოსოფოსის ღვაწლია შეტანილი კრიტიკული თეორიის მიზნებისა და პრინციპების ფორმირებაში. დღეს უკვე შესაძლებელი გახდა კრიტიკული თეორიის შესწავლა მრავალი ფემინისტური თეორიისა და ფემინისტური მიდგომებით სოციალურ მეცნიერებაში.[31] სახელდობრ, ჰ. სიქსუსის ნარკვევი "მედუზას სიცილი" ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის თავისებურ მანიფესტად, საკულტო ტექსტად

[30] Cox R. (1981) "Social Forces, States and World Orders: Beyond International Relations Theory". Millennium: Journal of International Studies, p. 29

[31] Cole N. L. "Global Capitalism Organizing Knowledge of Race, Gender and Class: The Case of Socially Responsible Coffee". California, 2008, p. 17

იქცა. იგი ერთგვარი სტიმული და მოწოდებაა ქალებისადმი, აღმოაჩინონ და გამოკვეთონ ღრმად მიძინებული და ჭეშმარიტი ფემინურობა, რათა შეძლონ სამყაროსა და ისტორიის შეცვლა.[32]

ფემინიზმი, როგორც კრიტიკული თეორია კიდევ უფრო აქტუალური გახდა თანამედროვე საზოგადოებაში, როდესაც, დიდწილად, განვითარების დონემ აჩვენა მასკულინური საზოგადოებრივი მოწყობის სტრუქტურის, სახელისუფლო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლის აუცილებლობა. აგრეთვე ქალური საწყისის, როგორც უსიცოცხლოსა და დაქვემდებარებულის, ფილოსოფიურად დასაბუთებული დოგმის ახლებურად გააზრება.[33] გამოდის, ფემინიზმის თეორიის მრავალფუნქციური ცნების არსის თვითმიზანს წარმოადგენს თანასწორობასა და დემოკრატიაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა. ამდენად, ფემინიზმი, როგორც კრიტიკული თეორია ქალის თვალით აფასებს სიტუაციას და ცდილობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, ქალთა ინტერესების დაცვასა და გენდერული თანასწორობის პროცესის დამკვიდრების ხელშეწყობას. იგი გმობს თანამედროვეობასთან შესისხლხორცებულ ალტერნატიულ ისტორიას და ცდილობს უთანასწორობის აღმოფხვრას, ემანსიპაციის პროცესის დაჩქარებას.

ფემინისტური ეპისტემოლოგია მიზნად ისახავს ქალების ცოდნითა და ინფორმაციით შეავსოს მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე მამაკაცების მიერ დაგროვილი ცოდნა. ეს პროცესი მეტად მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ სამყარო არ იყოს მხოლოდ ერთი კუთხიდან, მამაკაცური პერსპექტივიდან დანახული და აღქმული.[34] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სოციალური მეცნიერებების წამყვანი მიდგომა არ ითვალისწინებს ქალების

---

[32] ბრანდტ გ. "ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკა", გვ. 47.

[33] კიკნაძე თ. "გენდერი და მისი არსი". თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 98.

[34] საბედაშვილი თ. „გენდერი და დემოკრატიზაცია: საქართველო 1991-2006". თბილისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2007, იხ. https://ge.boell.org , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.07.2021.

გამოცდილებასა და ღირებულებებს, ფემინისტი სწავლულების დიდი ნაწილი არ ეთანხმება ამ თეორიებისა და მეთოდების სრულ უგულებელყოფას. კერძოდ, ჯუდით ვითნერის გადმოსახედიდან, აუცილებელია ტრადიციული მიდგომების ანალიზი და კვლევა, იმისთვის, რომ, პირველ რიგში, ფემინისტმა მკვლევარებმა საკუთარ მიზნებთან თანხვედრაში მოიყვანონ და საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოიყენონ.[35]

ხშირად ენა შემოინახავს ხოლმე ერში დამკვიდრებულ დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხის მიმართ. ფრანგულ ენაში ადამიანური ქმნილება (the human being) და კაცი (the man) ერთი და იმავე ტერმინოლოგიით გადმოიცემა - „l'homme". ქართულ ენაშიც იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, კაცი და კაცობრიობა ანუ მხოლოდ მამრობით სქესს არ მიმართავენ ამ ფორმით და უფრო ზოგადი მნიშვნელობის მატარებლადაც გვევლინება. უფრო მეტიც, ისინი მკაფიოდ ხაზგასმას აკეთებენ სიტყვა „history"-ზე, რომელიც ინგლისურენოვან ლექსიკაში დამკვიდრდა და ისტორიას აღნიშნავდა. იგი ნაწარმოებია მამაკაცური საწყისიდან (his). გარდა ამისა, ძველ რომში არსებობდნენ რომის მოქალაქეები და რომის მოქალაქეების ცოლები, ხოლო XVII საუკუნემდე აზროვნება დაკანონებული იყო არისტოტელეს ჰიპოთეზით: ადამიანის საზომი მამაკაცია.[36] ეს ყველაფერი კი საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების ანარეკლია. სწორედ ამიტომ, ფემინიზმს, როგორც კრიტიკულ თეორიას სიტუაციის გამოსწორების და სქესთა თანასწორუფლებიანობის რეალიზაციის გზად ესახება სქესთა შორის არსებული ტრადიციული პატრიარქალური ხედვის ჩანაცვლება ეგალიტარული ხედვით.

---

[35] Anderson K., Armitage S., Jack D., Wittner J. "Beginning Where We Are: Feminist Methodology in Oral History". London: Westview Press, 1990, p. 17

[36] შაბერტ ი. "გენდერი: ახალი ლიტერატურის ისტორიის კატეგორია". თბილისი: კრიტერიუმი, 2001, გვ. 42

ამრიგად, ფემინიზმი სამყაროს ხედვისა და მეცნიერების პარადიგმის ცვლას გულისხმობს. ის მიზნად ისახავს მეცნიერული კანონების გადასინჯვას, ფემინისტური თეორიების დაპირისპირებას კულტუროლოგიური კონცეფციებისა და კანონიკური თეორიებისადმი. როგორც წესი, შემეცნებითი ინტერესის ამგვარი ცვლილება ზიანს აყენებს მეცნიერული ანალიზის ტრადიციულ საფუძველს.[37]

პოსტსტრუქტურალისტური ფილოსოფიის ძირითადი მეთოდის, დეკონსტრუქციის ზეგავლენის შედეგად ფემინიზმის თეორიაში ყალიბდება ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკა ანუ ფემინისტური პოსტსტრუქტურალიზმი. აღნიშნული მიმდინარეობის მკვლევარებისათვის ბუნდოვანებას აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კულტურაში ქალი მიჩნეულია მარგინალურად და განსხვავებულად, გადახრის გამოვლინებად და სხვ., რაც მიგვანიშნებს ისტორიულ-კულტურული სისტემის პატრიარქალურობაზე და, რაღა თქმა უნდა, ნათელია, რომ საჭიროებს ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს სოციუმში.

[37] შორე ე., ჰაიდერ კ. "ქალურობა, ფემინიზმი, სქესი და გენდერი", გვ.45

ტერმინი **„გენდერი“** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან **„გენოს“** - დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი. გენდერი გულისხმობს, რომ მამაკაცების, ქალების და გარემოს ურთიერთკავშირის ანალიზს, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უნდა დაედოს არა სქესის, არამედ გვარის გამოცდილება, სადაც ქალის სოციუმი მთლიანი საზოგადოებრივი სისტემის ინტეგრალურ ნაწილად განიხილება. გენდერი, როგორც პროცესი და მოვლენა, გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად, ეს ტერმინი ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობის ფენომენს და, შესაბამისად, დამკვიდრდა, როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. XX საუკუნის 60-იან წლებამდე გენდერულ განსხვავებებს იშვიათად მიიჩნევდნენ პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესოდ ან მნიშვნელოვნად. გენდერის კონცეფციის ჩამოყალიბების წანამძღვრად შეიძლება ჩაითვალოს ფემინისტური მოძრაობა. იგი არის ქალებისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად წარმოებული ფართო მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური თეორიის ერთობა.[38]

სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიასა და ისტორიაში ცნება „გენდერი“ მუშავდება როგორც კლასის ანალოგიური, ფუნდამენტური მასტაბილიზებელი პრინციპი. გენდერული პოზიციიდან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაციისათვის გამოიყენება სოციოლოგიური მოდელები, რომლებითაც აიხსნება სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი და მისი დროითი ცვლილებები, სოციალური ჯგუფების წარმოშობა და დაშლა უთანასწორობის პირობებში, გაბატონებული ჯგუფების კულტურული ჰეგემონიის დამყარება და შერყევა. გენდერის პრობლემების შესახებ უფრო

[38] Carli L. L. (2011) “Gender, interpersonal power and social influence”. Journal of Social Issues, p. 47

ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნება, თუ გავეცნობით ფრანსეზ ვულის, ჯუდით ლორბერის, გიზელა ბოკისა და სხვათა პუბლიკაციებს.

გენდერის კონცეფციაში, როგორც სოციალურად კონსტრუირებულ, სიმბოლურად ინტერპრეტირებულ, ისტორიულად ცვალებად მოდელში, აშკარად ჩანს ფრანგი ფილოსოფოს-პოსტმოდერნისტის ჟაკ დერიდას დეკონსტრუქციის თეორიის გავლენის კვალი. ტერმინი „დეკონსტრუქცია“ ნიშნავს მეტაფორების ამოცნობის პროცესს, მათი იმ ფარული ლოგიკის გამომზეურებას, რომელიც, ჩვეულებრივ, არსებობს, როგორც ცნებათა ბინარული ოპოზიცია (მამაკაცი-ქალი, სუბიექტი-ობიექტი, კულტურა-ბუნება და ა.შ.). ჟ. დერიდა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს წმინდა განსხვავებები დომინაციის გარეშე, ვინაიდან ამგვარ ოპოზიციაში ერთი მხარე ყოველთვის მეორეს არის დაქვემდებარებული. ტერმინი „დეკონსტრუქცია“ აღნიშნავს ზოგადად, ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუირებულისათვის ფარდის ახდას და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას.[39]

რაც შეეხება ფემინიზმს, რომელიც არის გენდერის თეორიის მნიშვნელოვანი წანამძღვარი, იგი არის შედარებით ახალგაზრდა ტერმინი, მაგრამ ფემინისტური შეხედულებების მოძიება მრავალ განსხვავებულ კულტურაში არის შესაძლებელი და მისი საწყისის ნახვა თვით საბერძნეთისა და ჩინეთის უძველეს ცივილიზაციებში შეიძლება. ქრისტინე დე პიზანის „ქალთა ქალაქის წიგნში“, რომელიც იტალიაში 1405 წელს გამოიცა, განსაზღვრული იყო თანამედროვე ფემინიზმის მრავალი შეხედულება.[40] ავტორი განიხილავდა წარსულის ცნობილ ქალთა საქმეებს და მიზანმიმართულად ცდილობდა, რომ ქალებს მიეღოთ პოლიტიკური განათლება. მიუხედავად მცდელობისა, ქალთა ორგანიზებული მოძრაობა XIX

[39] Deaux K., Major B. “A social-psychological model of gender”. New York, Oxford University Press, 2000, p. 33

[40] Pizan C. “The Book of the City of Ladies”. New Brunswick: Rutgers University, p. 7

საუკუნემდე არ განვითარებულა. თანამედროვე ფემინიზმის პირველ ტექსტად აღიარებულ იქნა მერი უოლსთონკრაფტის წიგნი „ქალთა უფლებების დაცვა“, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის ფონზე შეიქმნა.[41]

გარკვეული მოსაზრებების თანახმად ფემინისტური იდეები ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში ჩაისახა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პირველი ფემინისტი იყო ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი.[42] აღორძინების ეპოქაში შეიქმნა ქრისტინა დე პიზანისა და კორნელიუს აგრიპას პირველი ტრაქტატები, რომლებშიც საუბარი იყო ქალის პიროვნების დათრგუნვასა და მისდამი საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულებაზე. დღეს ნათელია, რომ ფემინისტური თეორიების დანერგვის ინიცირება მოხდა სოციალურ-ფილოსოფიური და პოლიტიკური კონცეფციებით. თემატიკიდან გამომდინარე, პირველ რიგში, აღსანიშნავია ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოსა და ჯონ სტიუარტ მილის ლიბერალური ფილოსოფია, რომლის ფარგლებში ყალიბდებოდა ადამიანის უფლებათა ძირითადი თეორიები.

ცალკე უნდა გამოვყოთ შარლ ფურიეს, ანრი სენ-სიმონისა და რობერტ ოუენის უტოპიური სოციალიზმის თეორიის გავლენა. და ბოლოს, ყურადსაღებია XX საუკუნის შუა ხანებისა და მიწურულის თეორიები, რომელთა შერწყმაც შეიძლება მოვახდინოთ სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში, მათში ადამიანის სექსუალური ქცევის პრობლემების განხილვის საფუძველზე.

ფემინიზმის იდეოლოგია/ფილოსოფიის განვითარების სამი ძირითადი ტალღა არსებობს. პირველი არის ლიბერალური - როდესაც მთავარი საზრუნავი ქალებისათვის თანაბარი სამოქალაქო უფლებებისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვება იყო, ამიტომ მოძრაობის მონაწილეებს

---

[41] კიკნაძე თ. “თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის გენდერული ასპექტი (80-90-იანი წლების საქართველოს მაგალითზე)”. თბილისი, 2003, გვ. 87

[42] დასავლური დისკუსიების მიმოხილვები პლატონის წარმოდგენების შესახებ ქალის სოციალური როლის თაობაზე. Феминизм: перспективы социального знания. Москов, 1992, გვ.56

სუფრაჟისტებს (ინგლისური სიტყვიდან sufrage - ხმის უფლება) უწოდებდნენ. მეორე ტალღა არის მარქსიზმი/სოციალიზმი, რომელიც ემთხვევა დასავლურ კულტურაში 1960-1970-იან წლებში მიმდინარე ახალ სოციალურ მიმდინარეობებს, აგრეთვე ახდენს მარქსისტული და ფემინისტური შეხედულებების სინთეზს. აქ პროტესტი ისევ სქესობრივ უთანასწორობაზეა მიმართული, მაგრამ აქცენტი უკვე არა მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებზე კეთდება, არამედ ისეთ ასპექტებზეც, როგორიცაა ოჯახი, სექსუალობა და შრომა. მესამე ტალღა ან მესამე თაობა, რომელსაც ხშირად მოიაზრებენ როგორც რადიკალურ, განსხვავების და პოსტმოდერნისტული ფემინიზმის ერთობად.[43]

პირველი ტალღა ანუ ლიბერალური ფემინიზმი გვეუბნება, რომ გენდერული ასიმეტრია შეიძლება შეიცვალოს კანონების, დამოკიდებულებებისა და პოლიტიკური ცვლილებით, ამასთან გადავიდეს გენდერული თანასწორობის პლატფორმაზე. აქცენტი კეთდება ქალთა უფლებებზე, ქალებს იგივე უფლებები უნდა ქონდეთ, რაც მამაკაცებს. ლიბერალური ფემინიზმის თვითმიზანს არ წარმოადგენს საზოგადოებაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება, მას მხოლოდ ინსტიტუციური რეფორმების გატარება სურს.

ლიბერალურ-რეფორმატორული მიმართულება ძირითადად ემსახურებოდა იმ იდეების განვითარებასა და განვრცობას, რომლებიც განმანათლებლობის ეპოქაში, მოგვიანებით კი მ. უოლსთონკრაფტის და ჯ. მილის მიერ ვითარდებოდა. ქალების კუთვნილი უფლებების ნაკლოვანებების მიზეზს ფემინისტები გარკვეული სამოქალაქო და იურიდიული უფლებების არ ქონაში ხედავდნენ. შესაბამისად, არსებული პრობლემის გადაჭრის

[43] ჯავახიშვილი ნ. "ფემინისტური მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა". იხ. https://www.nplg.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.06.2021.

საშუალებად მიიჩნევდნენ სოციალურ-ეკონომიკურ და იურიდიულ რეფორმებს.[44]

ლიბერალური ფემინისტების პირველი და უმთავრესი განაცხადი მდგომარეობს იმაში, რომ ლიბერალიზმის მიერ დანერგილი ფასეულობები და ნორმები (ინდივიდუალური თავისუფლება, რაციონალური არჩევანის უფლება, სამართლიანი საზოგადოების კონცეფცია) ოდითგანვე მიუწვდომელი იყო ქალებისათვის.

როგორც ცნობილია, ლიბერალური ფილოსოფია მნიშვნელოვნად ეფუძნება არსებობის საზოგადო და კერძო სფეროებად გაყოფის იდეას. ლიბერალური ფემინიზმის თვალსაზრისით, მხოლოდ თავისუფალი ინდივიდები ანუ მამაკაცები მოღვაწეობენ ცხოვრების ორივე სფეროში, ხოლო ქალების გადაადგილების ტრაექტორია შემოსაზღვრულია პირადი და ოჯახური სფეროებით. სწორედ ამიტომ, მათთვის მიუწვდომელია ყველა ის პოლიტიკური თუ ლეგალური უფლება, რასაც ლიბერალიზმი ქადაგებს.

ფემინიზმის პირველი ტალღა დასრულდა ქალებისათვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭებით, რაც მრავალი თვალსაზრისით ქალთა მოძრაობის დასუსტების საწინდარი გახდა. ხმის უფლებისთვის ბრძოლა აერთიანებდა და შთაგონებას მატებდა მოძრაობას, მას მკაფიო მიზანსა და თანმიმდევრულ სტრუქტურას ანიჭებდა. უფრო მეტიც, მრავალმა აქტივისტმა დაიჯერა, რომ საარჩევნო უფლებების მოპოვება ქალების სრული ემანსიპაციის ტოლფასი იყო. ქალთა მოძრაობა აღდგა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში, ფემინიზმის მეორე ტალღის წარმოშობასთან ერთად.

1962 წელს ბეტი ფრიდანის „ქალის საიდუმლოს“ გამოქვეყნებამ დიდად შეუწყო ხელი ფემინისტური აზრის აღორძინებას. ავტორმა ამოცანად დაისახა

[44] Wollstonecraft M. A Vindication of the Rights of Woman. University of Pennsylvania Press, 1978, p. 36

შეესწავლა ის, რასაც იგი „უსახელო პრობლემას“ უწოდებდა - იმედგაცრუება და უბედურების გრძნობა, რასაც არაერთი მანდილოსანი იწვნიდა დიასახლისი-ცოლისა და დედის როლში ყოფნის გამო.

ფემინიზმის **მეორე ტალღა** აღიარებდა, რომ პოლიტიკური და იურიდიული უფლებების მიღების მიუხედავად, ვერ მოხდა „ქალთა საკითხი“-ს გადაჭრა. მართლაც, ფემინისტური იდეები და არგუმენტები სულ უფრო და უფრო რადიკალური, ზოგჯერ კი რევოლუციურიც ხდებოდა. ისეთი წიგნები, როგორიც ქეით მილეტის „სექსუალური პოლიტიკა“ და ჟერმენ გრირის „ქალი-საჭურისი“ იყო, უკუაგდებდნენ საზღვრებს, რომლებიც ადრე „პოლიტიკურად“ ითვლებოდა და ყურადღებას ამახვილებდნენ ქალთა ჩაგვრის პირადულ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ასპექტებზე.[45] ფემინიზმის მეორე ტალღის მიზანს წარმოადგენდა არა უბრალოდ პოლიტიკური ემანსიპაცია, არამედ „ქალთა გათავისუფლება“, რაც მნიშვნელოვნად გამოჩნდა ქალთა მზარდი განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებში.[46] ამგვარი მიზნის განხორციელება შეუძლებელი იყო მხოლოდ პოლიტიკური რეფორმებითა და იურიდიული ცვლილებებით. თანამედროვე ფემინისტების თანახმად, ის საჭიროებდა სოციალური ცვლილებების რადიკალურ და შესაძლოა, რევოლუციურ პროცესს.[47]

მეორე ტალღა ემყარება მარქსისტულ და სოციალისტურ ფემინიზმს და ამბობს, რომ მხარს უჭერს ცვლილებებს, რომლებიც ხელს უწყობს საშინაო საქმეების განაწილებას და თანაბარ მონაწილეობას შვილების აღზრდაში, რადგან ამგვარი კარდინალური ცვლილება ქალს საშუალებას მისცემს მეტად

[45] Maccoby E., Jacklin C. N. “The psychology of sex differences”. Stanford, CA: Stanford University Press, 1974, p. 45
[46] Millett K. “Sexual politics”. Columbia University Press, 1970, p. 6
[47] Lorber J. „Gender Inequality: Feminist Theory and Politics“. New York: OXFORD university press, 2010, p. 55.

ჩაერთოს ანაზღაურებად სამუშაოსა და პოლიტიკურ სფეროში.[48] უფრო მეტიც, მარქსიზმის გავლენით ფემინიზმი მოითხოვდა, რომ სამუშაო ყოფილიყო ანაზღაურებადი. მარქსიზმის თანახმად, ქალი ორმაგად მუშაობს, მაგრამ მისი შრომა სათანადოდ დაფასებული და ანაზღაურებული არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ ქალის ექსპლოატაციის მთავარ მიზეზად ითვლება საშინაო საქმე, ქალმა ამისთვის ანაზღაურება მაინც უნდა მიიღოს და ქმრისგან დამოუკიდებელი გახდეს.[49]

სოციალისტურმა მიმდინარეობამ მარქსისტული და ფემინისტური შეხედულებების სინთეზი მოახდინა. ქალთა დისკრიმინაციის ძირითად განმაპირობებელ მიზეზად მიჩნეულ იქნა კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. ამგვარ იდეებს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოთქვამდა ფ. ენგელსი ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. თუმცა ენგელსისაგან განსხვავებით, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა პროლეტარულისაგან განცალკევებული, განსაკუთრებული ქალთა მოძრაობის არსებობას, სოციალისტური ფემინისტები დაჟინებით მოითხოვდნენ ქალთა პრობლემების კლასობრივი და ზოგადი სოციალური პრობლემებიდან ცალკე გამოყოფას.

ამასთანავე, ფემინისტები მიზანმიმართულნი იყვნენ ქალთა შეგნების გაცოცხლებისკენ და ცდილობდნენ საზოგადოებრივი ცნობიერების დახსნას პატრიარქალურად ორიენტირებული მიზანდასახულებათა იმპერიისგან.

მესამე ტალღას ანუ რადიკალურ ფემინიზმს მიაჩნია, რომ გენდერული უთანასწორობა საზოგადოებაში ფუნდამენტური ცვლილებების გზით უნდა აღმოიფხვრას. ასეთი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს პატრიარქალური

---

[48] ერენრაიხი ბ. „რა არის სოციალისტური ფემინიზმი“. ჟურნალი „Win“. იხ. http://www.womensgaze.org.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2021.

[49] ჯავახიშვილი ნ. „ფემინისტური მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა“. იხ. http://www.nplg.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2021.

სისტემის გარეთ ალტერნატივების შექმნით ან სისტემის შიგნიდან შეცვლით. რადიკალური ფემინიზმის წარმომადგენლების გადმოსახედიდან, ქალებმა ფუნდამენტურად უნდა განაახლონ პოლიტიკური ინსტიტუტები, შემოიტანონ ქალთა სახასიათო ღირებულებები და ქცევები.

იდეების თვალსაზრისით ყველაზე უფრო ღირებული და გამორჩეული გახდა რადიკალური მიმართულება, რომელიც იკვლევდა ქალთა ჩაგვრის ზოგად, სიღრმისეულ საფუძვლებს. ამ მიმართულების მიმდევართა აზრით, ამგვარი სისტემა არის პატრიარქატი - ქალებზე მამაკაცების დომინირების სისტემა. ზემოაღნიშნულმა ფემინისტურმა მოძრაობამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მოძრაობის ეფექტიანობაზე მიუთითებს საზოგადოებრივი ცნობიერების ფუნდამენტური ცვლილებები და დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სტრუქტურებში მომხდარი რეალური ძვრები: ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებსა და წარმოების მართვის სფეროში ქალთა წარმომადგენლობის ზრდა.

XX საუკუნის 60-იან და ადრეულ 70-იან წლებში, რადიკალური ფემინისტური აზროვნების პირველი გამოჩენის შემდეგ, ფემინიზმი ჩამოყალიბდა გამოკვეთილ და ღირებულ იდეოლოგიად, რომლის იდეები და ფასეულობები უპირისპირდება ტრადიციული პოლიტიკური აზროვნების ყველაზე ფუნდამენტურ დასკვნებს. ფემინიზმმა შეძლო სქესისა და გენდერული ასპექტების აკადემიურ დისციპლინათა შორის მნიშვნელოვან საკითხად დანერგვა და, ზოგადად, საზოგადოების ცოდნის ამაღლება გენდერულ საკითხებზე.

რადიკალური ან განსხვავების ფემინიზმისთვის მთავარ ინტერესის სფეროს ქალისა და მამაკაცის განსხვავება წარმოადგენს. ქალის მამაკაცთან გათანაბრების მოთხოვნა სწორედ ქალური საწყისისა და ბუნების საბოლოოდ მოშლის და ქალების გამამაკაცურების, მათი მასკულინიზაციის ტოლფასია. განსხვავების ფემინისტებს ხშირად უტოპისტობაშიც ადანაშაულებენ,

ვინაიდან მათი მოთხოვნა არსებული სოციალური ნორმებისა და ფასეულობების მთლიან განახლებას და ქალურის მამაკაცურზე წინ წამოწევას გულისხმობს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ფემინისტური ორგანიზაციები არსებობდა ყველა დასავლურ ქვეყანასა და განვითარებადი სამყაროს უმეტეს ნაწილში, მაგრამ ამ განვითარებას ორი პროცესი ერთვოდა: პირველია დერადიკალიზაციის პროცესი, როდესაც მოხდა XX საუკუნის 70-იანი წლების ადრეული ფემინიზმისათვის დამახასიათებელი, ზოგჯერ უკომპრომისო პოზიციებიდან უკან დახევა, ამან ხელი შეუწყო „პოსტფემინიზმის“ იდეის პოპულარობას, რაც გულისხმობს იმას, რომ ფემინისტური ამოცანების უმეტესობა უკვე მიღწეულია და ქალთა მოძრაობამ „ფემინიზმის მიღმა“ გადაინაცვლა. მეორე პროცესია ფრაგმენტაცია, რადიკალური ან კრიტიკული მხარის უბრალოდ დაკარგვის ნაცვლად ფემინისტური აზროვნება რადიკალურად მრავალფეროვანი გახდა, რის შედეგადაც რთული, ზოგჯერ კი შეუძლებელიც არის ფემინიზმის ფარგლებში ერთი „საერთო საფუძვლის“ განსაზღვრა.

დღეისათვის ზემოთ აღნიშნული სამი მიმდინარეობა ისეთი გამოკვეთილი სახით არ არსებობს, როგორც 60-იან წლებში. გარდა ამისა გაჩნდა ახალი მიმართულებები: „კულტურული ფემინიზმი“, „ჰუმანური ფემინიზმი“, „შავი ფემინიზმი“, ასევე მრავალი სხვადასხვა ეროვნული შეფერილობის ფემინიზმი.

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაში მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება ფემინიზმის მხრიდან

გენდერული თეორიის წანამძღვრება, რომელსაც კარგი გამოძახილი აქვს გენდერული საკითხების წინ წამოწევის კუთხით.[50]

ფემინისტები ტრადიციულად ეწინააღმდეგებიან იდეას, რომ ბიოლოგია ბედს განსაზღვრავს, ასევე განასხვავებდნენ სქესსა და გენდერს ერთმანეთისაგან. „სქესი“ ნიშნავს ბიოლოგიურ განსხვავებას მამაკაცებსა და ქალებს შორის. ამასთანავე, გენდერი არის ე.წ კულტურული ტერმინი. ის განიხილავს განსხვავებულ როლებს, რომელთაც საზოგადოება აკუთვნებს მამაკაცებსა და ქალებს. გენდერული განსხვავებები, ჩვეულებრივ, „მასკულინურისა“ და „ფემინურის“ კონტრასტული სტერეოტიპებით ინერგება.[51]

ერთ-ერთი პირველი შრომა, რომელშიც წარმოჩნდა გენდერის სისტემის ცნება და ნათლად იქნა მოცემული განსხვავება ბიოლოგიურ სქესსა (sex) და სოციალურ სქესს (gender) შორის იყო ჰეილ რაბიის სტატია „ქალებით ვაჭრობა“. ამ სტატიაში იგი სქესს (sex) განმარტავდა როგორც ბიოლოგიურ რეპროდუქციულ განსხვავებას. ხოლო სქესი (gender), მისი აზრით, წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბიოლოგიური სქესი განიცდის ტრანსფორმაციას მასკულინური კულტურის ზემოქმედებით და ფემინური კონსტრუქციით.[52]

საყურადღებოა, ფსიქოლოგ როდა უიგერის სტატია „სქესისა და გენდერის ახალი განსაზღვრა“, რომელიც 1979 წელს გამოიცა. ავტორი მასში სიტყვა sex-ს ხმარობდა იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალურ ბიოლოგიურ მექანიზმებს მიმართავდა, ხოლო სიტყვა gender-ს მხოლოდ მაშინ, როცა სპეციალურ კულტურულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს განიხილავდა. ეს

[50] ტალიაშვილი თ. (2015). „ქალი, ფემინიზმი, გენდერი“. იხ. http://www.rubrica.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
[51] Freedman E.B. “Feminism, Sexuality, and Politics”. Chapel Hill: The University of North Carolina Press, 2006, p. 44
[52] Lorber J., Farell S. A. “The Social Construction of Gender”. Sage Publications, 1991, p. 4

ასპექტები ტიპური და მისაღებია მათთვის, ვინც საზოგადოებას გარკვეული მახასიათებლების, ნორმების, სტერეოტიპების საშუალებით განმარტავს.

ფემინისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სქესობრივი განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის შედარებით უმნიშვნელოა და ის არც ხსნის და არც ამართლებს გენდერულ განსხვავებებს. შედეგად ისინი მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე, რომ ადამიანის ბუნება ანდოგინურია და შესაბამისად, შეიცავს ორივე სქესის მახასიათებლებს. ამრიგად, ორი საწყისის არსებობას ბერძენი ფილოსოფოსი პლატონიც უსვამს ხაზს. თავის ნაშრომში „ნადიმი“ იგი აღნიშნავს, რომ ადამიანში ორი - მამაკაცური და ქალური - საწყისია შერწყმული, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვანაირად ვლინდება. მის აზრს იზიარებს ო. ვეინინგერი და აღნიშნავს თავის ნაშრომში „სქესი და ხასიათი“, ყველა ადამიანში ორი საწყისია, რომ ემბრიონში სქესის გარჩევა შეუძლებელია. ასეთ მიდგომას აღნიშნავენ, რომ სქესობრივი განსხვავებანი ცხოვრების ბიოლოგიურ ფაქტებს წარმოადგენს, მაგრამ ამტკიცებენ, რომ მათ არ აქვთ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფასეულობა. ქალებზე ან მამაკაცებზე მათი სქესის მიხედვით კი არ უნდა მსჯელობდნენ, არამედ როგორც ინდივიდუმებზე, პიროვნებებზე. გენდერის კონცეფციის დანერგვას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ბიოლოგიური სქესისაგან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფემინისტური თეორიისათვის. მან არა მხოლოდ წარმოაჩინა სოციალური ცვლილებების შესაძლებლობა (სოციალურად შექმნილი იდენტურობა შეიძლება შეიცვალოს და დაინგრეს კიდეც), არამედ ასევე ყურადღება გაამახვილა პროცესებზე, რომელთა გზითაც ხდება ქალების „გენდერის ჩარჩოებში მოქცევა“ და, შესაბამისად, ჩაგვრაც.[53]

[53] Barker D. K. “Dualisms, Discourse and Development”. Bloomington and Indianapolis: Indiana University Press, 2000, p. 177-188

ფემინიზმი მნიშვნელოვანი ბერკეტი აღმოჩნდა სქესისა და გენდერის საკითხების წინ წამოსაწევად. სწორედ, რომ ფემინიზმი დაედო წანამძღვრად გენდერულ თეორიას, სხვა შემთხვევაში გენდერული თეორია ვერ განვითარდებოდა, ხოლო ფემინიზმი ახალ ეტაპზე ვერ გადავიდოდა. აქედან გამომდინარე, ფემინიზმი გახდა გენდერის თეორიის შექმნის მიზეზი, ამასთან, მან შეძლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერულ საკითხებზე. საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაში ეს ყველაფერი მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება.

I.II ქალთა პრობლემები საბჭოთა კავშირში და მათი თავისებურებები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენდა ტოტალიტარულ და მკაცრად ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, რომელმაც, ფაქტობრივად, დაარსების დღიდან ახალი ადამიანების შექმნა დაისახა მიზნად. მმართველობის საბჭოური მოდელი ეფუძნებოდა არა თუ დემოკრატიულ ბაზისს, არამედ ავანგარდიზმს, სადაც კადრების პარტიულ კუთვნილებას და ნომენკლატურას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, აგრეთვე ამის საფუძველი ჩადებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის დოქტრინაში, რომლის თანახმად, სახელმწიფო განიხილებოდა როგორც სოციალისტური იდეოლოგიის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტი. ეტატიზმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფო რაციონალური ურთიერთქმედების ზღვარის გადაკვეთა და ადამიანების ცხოვრების თითოეული სფეროს ფუნქციონირების განსაზღვრა, იყო წინა კარები, გარდამავალი საფეხური სოციალიზმისა, რომელიც ხსნიდა საბჭოთა წყობილების უაღრესად დაგეგმილ მეურნეობას.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასა თუ კანონებში ჩაწერილი ფორმალური თანასწორობის იდეა არ წარმოადგენდა რეალურ გარანტიას. კომუნისტურ პარტიას ღრმად სწამდა საკუთარი ტოლერანტული მეინსტრიმის აღმავლობის, თუმცა არსებული ფაქტები მის წარუმატებლობის ბარომეტრად იქცა. დამკვიდრებული ცხოვრების წესის (განათლება, სამსახური და სხვ.) მიუხედავად, ქალი არც მმართველ რგოლში იყო წარმოდგენილი და ვერც სრულფასოვან მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში. იგი საშუალებას არ აძლევდა ადამიანებს საზოგადოებრივი აქტივობისა და კერძო ინიციატივებისათვის. ამრიგად, საბჭოთა კავშირი თავისი

პატერნალისტური[54] პოლიტიკით ცდილობდა როგორც ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებას, აგრეთვე ქალის ცხოვრების ღრმად გაჯერებას საბჭოური პათოსითა და კომუნისტური მრწამსით.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მიზანი იყო საკმაოდ ამბიციური და ეკლექტური, რომელიც მხოლოდ ზედაპირული მოდერიზაციით შემოფარგვლას არ გეგმავდა. რევოლუციის მიზნად იქცა, არა მხოლოდ ახალი ცხოვრების სტილის დადგენა, არამედ ახალი სახელმწიფოსა და ადამიანების შექმნაც. პარალელურად, საბჭოთა კავშირის იდეის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ საკუთარი იდეის გავლენის ქვეშ მოაქცევდა მის შემადგენლობაში შეყვანილ რესპუბლიკებს.[55]

სსრკ-ის კონსტიტუციის მიხედვით, ორივე სქესის წარმომადგენელი თანასწორი იყო. ფემინისტების გადმოსახედიდან, კონსტიტუციური გარანტია და არსებული რეალობა განსხვავებულ კონტრასტს ქმნიდნენ. თუმცა საბჭოთა კავშირში არსებობდა ილუზორული წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ქალთა ემანსიპაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობდა და სათანადო ზომები იყო მიღებული მათი ცხოვრებისებული თვითრეალიზაციისათვის. აქედან გამომდინარე, ფემინისტების ყოველი მცდელობა მათ მიერ გაუგებარ ქმედებად აღიქმებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ქალს ქონდა რამდენიმე განსხვავებული იმიჯი და ტარდებოდა გარკვეული ტოლერანტული პოლიტიკა მათი განათლებისა და ცირკულირება-რეკრუტირების მიზნით, გენდერული თანასწორობა მხოლოდ ფასადურად იყო დაცული და გარკვეული

[54] პატერნალისტური - სახელმწიფოს პროტექციონიზმის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქალისა და მამაკაცის იურიდიული და სოციალური თანასწორობისაკენ და ქალების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისაკენ.
[55] Goldman W. “Women, the State and Revolution”. Cambridge: Cambridge University Press, 1993, p. 10

მცდელობების მიუხედავად მაინც სათანადო კონსტრუქციული მიმართულებით სვლას საჭიროებდა.

საბჭოთა კავშირი ორიენტირებული იყო როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს დაარსებაზე, აგრეთვე ახალი ადამიანების შექმნაზე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ფასადურად ისწრაფვოდა ქალისა და მამაკაცის იურიდიული გათანაბრების აღიარებისაკენ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში, რეალობის მიღმა არსებული ნიუანსები გარკვეულ დისონანს ქმნიდნენ. აღსანიშნავია, საბჭოთა კავშირში გენდერული თანასწორობის პრობლემების მრავალფეროვანება განაპირობა ქალის იმიჯის ნაირსახეობამ. საბჭოთა ქალის პორტრეტის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია ამ პერიოდის სამ ნაწილად დაყოფა: ადრეული ბოლშევიკური ხანის ემანსიპატორული პოლიტიკა, სტალინური ეპოქა და ცივი ომის პერიოდი.

თავდაპირველად საბჭოთა კავშირში ქალები განსაკუთრებით დაწინაურდნენ, რაც განაპირობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების მიერ შემოღებულმა რეფორმებმა, რომელიც სტალინის ეპოქის აღზევებამდე გაგრძელდა.[56] ისინი სარგებლობდნენ უპრეცენდენტო უფლებებით, რაც განაპირობა ბოლშევიკების მხრიდან საბჭოთა კავშირის სოციალისტურ ქვეყნად გარდაქმნის სურვილმა.[57] არსებული იდეა კოლოსალურ რესურსს ანუ პროცესში ბევრი ადამიანის ჩართვას საჭიროებდა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ქალთა სტატუსის წინ წამოწევა მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით.[58] ამრიგად, ბოლშევიკური პარტია ორიენტირებული იყო ქალთა აქტიურ წევრებად გარდაქმნაზე, რადგან ისინი მოსახლეობის ნახევარს აღემატებოდნენ და შესაბამისად მათი წვლილიც მნიშვნელოვნად აისახებოდა პარტიის მუშაობაზე.

---

[56] Lenin V. “The Emancipation of Women”. Lucknow: Rahul Foundation, 2010, p.16
[57] Bebel A. “Woman under Socialism”. New York, 2009, p. 25
[58] მანველიშვილი ნ. „ქალის სტატუსის ცვლილება სტალინის მმართველობის დროს საქართველოსა და საბჭოთა კავშირში“. თბილისი, 2019, გვ. 22

საბჭოთა კაცი უნდა ყოფილიყო საბჭოთა რეჟიმისთვის თავდადებული პერსონა და, თავისთავად, მისი მორალური კომპასი კომუნიზმის მშენებლობისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. მამაკაცი ნორმატიულ მასკულინობას თავისუფლად ერგებოდა, ხოლო ქალი ფემინურობის ახალ განსაზღვრებას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, ბოლშევიკები მიმართულნი იყვნენ ქალის ემანსიპაციისაკენ და მათი კერძოდან საზოგადოებრივ სფეროში გადანაცვლებისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკების მიზანს წარმოადგენდა ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრება, რამაც განაპირობა ქალის მიერ თანაბარ შრომაში მამაკაცის ხელფასთან გათანაბრებული ანაზღაურების მოთხოვნა. საბჭოთა ქალები იყვნენ მომგებიან პოზიციებზე, რადგან 1918 წლიდან (ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე) მოყოლებული რელიგიური ქორწინება ჩანაცვლებული იყო სამოქალაქო ქორწინებით და აგრეთვე სარგებლობდნენ განქორწინების უფლებით. 1926 წლის შემოღებული კანონის თანახმად, განქორწინების შემდეგ მეუღლეები თანაბარ უფლებებს ფლობდნენ თანაცხოვრების მანძილზე დაგროვილ ქონებაზე.[59] იმ შემთხვევაში თუ ქალი იყო დიასახლისი, კაცს კანონი ავალდებულებდა ქონების გარკვეული ნაწილი დაეთმო. ამასთანავე, საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობამ განსაზღვრა მამის მოვალეობები და საალიმენტო ვალდებულებები განქორწინების შემთხვევაში.[60]

1920 წლიდან სტალინის ეპოქამდე აბორტი ლეგალიზებული იყო, ამასთან, აღარც უკანონო ბავშვები ირიცხებოდნენ, რადგან ყველა ბავშვს მიენიჭა სტატუსი.[61] უფრო მეტიც, 1919 წელს ინესა არმანდის ხელმძღვანელობით დაარსდა „ჟენოტდელი“[62], რაც საბჭოთა ქალების დროსაც

[59] Attwood L. „Creating the New Soviet Woman“. London: Macmillan Press, 1999, p. 46
[60] Engels F. „The Origin of the Family, Private Property and the State“. London: Penguin Group, 2010, p.34
[61] Heitlinger A. „Women and State Socialism“. London: Macmillan Press, 1979, p. 123
[62] Hutton M. „Resilient Russian Women in the 1920s and 1930s“. Lincoln: The University of Nebraska-Lincoln Libraries, 2015, p. 36

მოქმედებდა და როგორც არაპარტიული ქალების ცნობიერების ამაღლებას უწყობდა ხელს, მათ ასევე კუთვნილ უფლებებსაც აცნობდა.[63] ბოლშევიკურ პარტიას სურდა გენდერული თანასწორობის იდეის არტიკულირება და არსებული მოსაზრების გამყარება იდეოლოგიური თვალსაზრისით, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება აქცენტირებული იყო, ქალის მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობისკენ ინდუსტრიალიზაციის პროცესში. ამ პერიოდში ქალებს ქონდათ როგორც განათლების, ასევე ოჯახის გარეთ დასაქმების უფლებაც.

ამრიგად, ბოლშევიკებს ერთადერთ გზად, რომ ქალების მიერ წვლილის შეტანა მომხდარიყო საბჭოთა კავშირის სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნაში, ესახებოდათ დიასახლისების უკანა პლანზე გადაწევა და მის საპირწონედ ინდუსტრიაში ჩართული ძლიერი და დამოუკიდებელი ქალების ზრდა. საბოლოოდ, მამაკაცთან ქალის გათანაბრების მცდელობისას მოხდა არა ქალის ფემინურობის დეკონსტრუქცია, არამედ მისი გამასკულინება.

1930-იან წლებში, საბჭოთა კავშირის სათავეში გვევლინება სტალინი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, წარსულის გადაფასების შედეგად ცვლის ქვეყნის პოლიტიკის მიმართულებას. ის ახდენს ძველი პრიორიტეტების მინიმიზაციას, რასაც მოჰყვა დემოგრაფიული საკითხების წინა პლანზე წამოწევა.[64] ედუარდ კარი სტალინის მიერ წამოყენებულ სლოგანს „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ სახელმწიფოს გადარჩენის გზასაც კი უწოდებს.[65] ამ პერიოდში ქალზე ორმაგი დატვირთვა მოდიოდა, ის უნდა ყოფილიყო თანაბრად კარგი დედა, მეუღლე და მუშაკი. სტალინი ოჯახის ინსტიტუტს მოიაზრებდა ქვეყნის იდეოლოგიურ საყრდენად, მისი კონსერვატიული ხედვიდან გამომდინარე, ის იხრებოდა ტრადიციული ოჯახისკენ და გამორიცხავდა ყოველგვარ განსხვავებულ ყოფას. ამდენად, აღნიშნულ

[63] Heitlinger A. „Women and State Socialism“. London: Macmillan Press, 1979, p. 58
[64] Attwood L. “Creating the New Soviet Woman”. London: Macmillan Press, 1999, p. 3
[65] Attwood L. “Creating the New Soviet Woman”. London: Macmillan Press, 1999, p. 79

საკითხთთან დაკავშირებით, ცნობილი საბჭოთა მკვლევარი გაილი ლაპიდუსი თავის ვერსიას გვთავაზობს: ძველმოდური ოჯახები, „როგორც სტაბილურობის კუნძულნი, საზოგადოებრივი ქაოსის ზღვაში“.[66]

სტალინის აზრით, ქალთა პრობლემების მოსაგვარებლად აღარ იყო საჭირო „ჟენოტდელები“. ამ დროს, პრესის ენაც გამოირჩეოდა და მისთვის დამახასიათებელი იყო პროპაგანდისტული ხასიათი, აგრეთვე 1936 წელს მოხდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, აბორტის აღკვეთა და ჰომოსექსუალების კრიმინალიზაცია. სტალინურ ეპოქაში, დედის კულტის განსაკუთრებული აღზევება და მრავალშვილიანი ქალის დაფასება მოხდა. მრავალშვილიან დედებს აჯილდოვებდნენ გმირი დედის ორდენით და ფულადი დახმარებებით. განსაკუთრებული ყურადღება ხვდა წილად ორსულ ქალებსა და მათთვის შემუშავებულ მაღალ ანაზღაურებად თუ ხანგრძლივ დეკრეტულ შვებულებებს. ამასთანავე, სწრაფი ტემპით ფართოვდებოდა საავადმყოფოებისა და სამშობიარო სახლების ქსელი. სტალინურ ეპოქაში, მიუხედავად დასაქმებული ქალების ზრდისა, ისინი არ ინიშნებოდნენ წამყვან პოზიციებზე. აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, ქალი სტალინის დროს მოიაზრებოდა დედად და მის რეპროდუქციულ ორგანოებს უფრთხილდებოდნენ, კერძოდ, მძიმეებს არ აწევინებდნენ. თუმცა, მეორე მხრივ, მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ომში წასული მამაკაცების სამუშაო ადგილები მუშახელს საჭიროებდა, მოხდა ქალების დასაქმება მძიმე ინდუსტრიაში. არსებული გარემოება მიგვანიშნებს, რომ სტალინური ეპოქა მანიპულირებდა ქალით. ეს ნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ქალი მოიაზრებოდა პოტენციურ დედად, რომლისთვისაც ყველა სახის მძიმე შრომა არიდებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში და მუშახელის დეფიციტის შექმნისთანავე, ავიწყდებოდათ მათი სტატუსი და ორმაგი უღელის ქვეშ განაგრძობდნენ ცხოვრებას. ამ ვითარების გამო რემარკმა საბჭოთა ქალი

[66] Lapidus G. “Women in Soviet Society”. Berkeley: University of California Press, 1979, p. 97

ცხოველსაც კი შეადარა. სტალინურ ეპოქაში, ქალის მიერ მამაკაცის მოვალეობების შესრულებამ განაპირობა არა მხოლოდ მისი საბჭოთა მამაკაცთან შრომით გატოლება, არამედ ნელ-ნელა ჩაცმულობითაც მას ემსგავსებოდა, რადგან იდეოლოგია უარყოფდა ქალების სექსუალურობას და ფიზიკურ სილამაზეს. ცვლილება აისახა ქალის ვიზუალსა და ჩაცმულობაზე ანუ ქალის თამამი ჩაცმულობა ყოვლად მიუღებელი იყო საბჭოთა კავშირისთვის.[67] ბულგაკოვის „ოსტატ და მარგარიტაში", არის ერთი ეპიზოდი, სადაც საბჭოთა ქალი თავის მოკრძალებულ სამოსს გაცვლის ევროპულ ტანისამოსში, ეს შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ქალების პროტესტი კუთვნილი უფლებებისთვის.

70-80-იან წლებში ანუ ცივი ომის პერიოდში ქალები იყვნენ პროფესიაში დახელოვნებულნი, სათანადო განათლებით და კვალიფიკაციით. ისინი დასაქმებულნი იყვნენ პრესტიჟულ სფეროებში: სამედიცინო, საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილ სფეროების განვითარებაში მნიშვნელოვნად აისახებოდა ქალების წვლილი, ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში მათი მონაწილეობა მმართველობით და პოლიტიკურ სტრუქტურებში მაინც მკვეთრად იზღუდებოდა. ქალები წარმოდგენილნი იყვნენ მხოლოდ მართვის საშუალო რგოლში, მაშინ როცა მამაკაცები უმაღლეს პოსტებზე ინიშნებოდნენ.[68] ამრიგად, ქალებისთვის მხოლოდ ჰორიზონტალური პროფესიული ციკლი არსებობდა. არსებული მდგომარეობა გამოიწვია ტრადიციული საზოგადოების კონსერვატიულ-პატრიარქალურმა ნიშნებმა. გამოკვლევების თანახმად, სწორედ ქალები იყვნენ პასუხისმგებლობის დიდი დოზით განსჭვალულნი, რომლებიც საქმის დიდი მოწიწებით, კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, მაღალი პროფესიონალიზმითა და გუნდურად მუშაობის

[67] Lee S. „Stalin and the Soviet Union". London: Routledge, 1999, p. 70

[68] კიკნაძე თ. „თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ტრასფორმაციის გენდერული ასპექტი", 2003, გვ. 8

უნარით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ისინი მაინც ჩამოცილებულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამრიგად, ქალებს ბევრად მეტი წინაღობის გადალახვა უხდებოდათ კარიერულ გზაზე, ვიდრე მამაკაცებს.[69]

1980 წლის ბოლოს ქალების ხელფასები შემცირდა. ერთნაირ სამუშაო პოზიციაზე დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის სხვაობა თვალსაჩინო გახდა. უთანასწორო ანაზღაურებამ და ტრადიციული საზოგადოების პატრიარქალურმა საფუძვლებმა განაპირობა ქალების პასიურობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. თუმცა ქალის დასახმარებლად მიმართული პოლიტიკა მიზანმიმართულად ცდილობდა მათ დახმარებას სხვადასხვა სახის შეღავათებით.

მკაცრად დადგენილი გენდერული სტერეოტიპები ცუდად აისახა საბჭოთა ოჯახის სტრუქტურაზე და საგრძნობლად გააძლიერა მამაკაცის ტრადიციული პატრიარქალური მოდელი. უფრო მეტიც, მამაკაცის თვითშეფასების ამაღლებას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ქალის აღქმა უჭირდა და ესახებოდა უშინაარსოდ და არარეალიზებულად. სწორედ ამ ვითარებამ შეუწყო ხელი საბჭოთა ყაიდის მამაკაცის ოჯახში დიქტატორობასა და მბრძანებლურ ტონს. ამრიგად, მამაკაცებისთვის ოჯახური გარემო წარმოადგენდა იმგვარ სივრცეს, სადაც აზრის ფორმირების თავისუფლება და საკუთარი დადგენილი წესებით ცხოვრების შესაძლებლობა ჰქონდათ.

საბჭოთა მამაკაცის უმრავლესობისთვის მიუღებელ ტონად ითვლებოდა გამასკულინებული ქალის მიღება და აქედან გამომდინარე, მათი დაფასება სათანადოდ ვერ ხერხდებოდა. ამ მდგომარეობიდან ნაწილობრივ თავის დაღწევა მოხდა პოსტსაბჭოთა ეპოქაში. ქალმა გარკვეულწილად შეძლო

[69] Lapidus G. "Women in Soviet Society Equality, Development, and Social Change". Berkeley: University of California Press, 1978, p. 60

ქალურობის დაბრუნება, მაშინ როდესაც მამაკაცი კვლავაც იმყოფება საბჭოთა იდეოლოგიების მარწუხებში.

დასკვნისათვის, საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა სოციალისტურ-ცენტრალიზებულად მართულ მრავალეროვან სახელმწიფოს, რომლის წიაღში არსებული ღირებულებების ანალიზი ხანგრძლივი პროცესია. საბჭოთა კავშირის საფარველ ქვეშ გაერთიანებული ყველა ქვეყანა ოპერირებდა სსრკ-ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით და ნებისმიერი მიმდინარე მოვლენა ამ ქვეყნებზე აისახებოდა. მიუხედავად საბჭოთა კავშირის გათანაბრების იდეის გაზიარებისა, მათი იდეოლოგიური მრწამსი მაინც საბურველ ქვეშ იყო გახვეული. კომუნისტური პარტია ცნობდა იურიდიულ თანასწორობას, თუმცა სქესთა დისბალანსი მაინც მკაფიოდ იკვეთებოდა.

საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე პატერნალისტური მიდგომის მიუხედავად, რამაც განაპირობა ქალების მხოლოდ გარკვეულ სფეროებში მამაკაცებთან გათანაბრება (მაგალითად, განათლება და სხვ.), მაინც არცერთ საბჭოთა კავშირის მმართველობის პერიოდში არ ყოფილა ქალის და მამაკაცის რეალური თანასწორობა. ტოტალიტარული რეჟიმის მიზანს არ წარმოადგენდა ადამიანის მარგინალიზაცია, ის აქცენტირებული იყო ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვასა და გავლენის ქვეშ მოქცევისაკენ. ამრიგად, საბჭოთა რეჟიმის პატერნალისტურ-დეკლარაციულმა პოლიტიკამ გამოიწვია პატრიარქალური ძალაუფლების ჩანაცვლება ტოტალიტარული სახელმწიფოს გავლენით, რაც ხელს უშლიდა რეალური თანასწორობის მიღწევას.

I.III გენდერული თანასწორობა, როგორც ცივი ომის შემდგომი პერიოდის აქტუალური პრობლემა

ტერმინი „ცივი ომი“, რომელიც პირველად ამერიკელმა მეცნიერმა ჰ. სვოუპმა გამოიყენა, აღნიშნავდა ისეთ ბიპოლარულ სისტემას, როდესაც დაპირისპირებულ - კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა. ამერიკელი მეცნიერი ჯ. მირშაიმერი მიიჩნევს, რომ ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემა ყველაზე მეტად უზრუნველყოფს აგრესიის, დაპირისპირებისა და კონფლიქტების თავიდან აცილებას. მირშაიმერი „ცივი ომის“ მაგალითზე აღწერს კლასიკურ ბიპოლარულ სისტემას და ასკვნის, რომ საერთაშორისო სისტემა, რომელშიც გავლენის ორი პოლუსია გამოკვეთილი, ნაკლებად არის მიდრეკილი ქაოსისკენ, ვინაიდან ორი ჰეგემონი სახელმწიფო ერთმანეთს ავსებს, აბალანსებს.

ცხადია, ცივი ომის დასრულების შემდგომ მსოფლიოში მეტნაკლებად სტაბილურობა ჩამოყალიბდა, რამაც განაპირობა საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი აქცენტებისა თუ პრობლემატიკის გადახედვა, განახლება საკვანძო რეალისტური საკითხების - ომი და უსაფრთხოება ნაკლებად აქტუალური გახდა. წინ წამოიწია ლიბერალური ღირებულებების მნიშვნელობამ - სამოქალაქო საზოგადოება, ადამიანთა უფლებების დაცვა, თანასწორობა და ა.შ.[70]

ცივი ომის დასრულების პარალელურად, XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მრავალეროვანი გაერთიანება, რომელიც დაახლოებით სამოცი წლის განმავლობაში არსებობდა ევრაზიულ სივრცეში და სამხრეთ კავკასიის,

[70] არტი რ., ჯერვისი რ. „საერთაშორისო პოლიტიკა“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 16

აღმოსავლეთის ევროპის, ცენტრალური აზიისა და ბალტიისპირა სახელმწიფოების გამაერთიანებელ სისტემას წარმოადგენდა, 1991 წლის 21 დეკემბერს ჩამოიშალა. საბჭოთა იდეოლოგიური მსხვრევა და 15 დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა იყო საბჭოთა კავშირის დაშლის თანამდევი, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად, მრავალი გამოწვევის პირისპირ აღმოჩნდნენ. დასავლეთის სამეცნიერო წრეებში მომწიფდა შეხედულება, რომ „ცივი ომის“ დასრულება და საბჭოთა კავშირის დაშლა ისტორიის დასასრულს გულისხმობდა, როგორც „კაცობრიობის სოციო-კულტურული განვითარების საბოლოო ეტაპისა და ადამიანური მმართველობის უკანასკნელი ფორმის“. ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა აჩვენებდა დასავლური ლიბერალური დემოკრატიის უპირობო პრიმატს საბჭოთა სოციალიზმზე და სჯეროდა, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ ეკონომიკური დოვლათი მოუტანა ე.წ. „მესამე სამყაროს“ ნაკლებად განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებსაც კი.[71]

ამ, მართლაც რომ ეპოქალური მოვლენების ერთგვარი პროდუქტი გახდა კავკასიონის სამხრეთით სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ხელმეორედ ჩამოყალიბება, რომლებიც XIX საუკუნიდან ჯერ რუსეთის წყობილებაში, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან კი, საბჭოთა კავშირის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლითა და „ცივი ომის“ დასრულებით, კაცობრიობის ისტორიაში გარდამტეხი პერიოდი იწყება. დასავლური ლიბერალური დემოკრატიის სოციალიზმზე გამარჯვებამ და სტალინის პოლიტიკურ იდეალებზე დაფუძნებული მრავალეროვანი გაერთიანების დამსხვრევამ, დასავლურ საზოგადოებას, თავის მხრივ, იმედი ჩაუსახა, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე - რუსეთის ფედერაცია და საბჭოთა

[71] ლომია ე. „რა სურს პუტინის რუსეთს: არალიბერალური თუ სუვერენული დემოკრატია“. ჟურნალი: „ახალი ეკონომისტი“. თბილისი, 2021, გვ. 3

კავშირში შემავალი ყოფილი რესპუბლიკები, ამჯერად, რეალურად გადავიდოდნენ დემოკრატიის რელსებზე, რომლის ფუნდამენტურ პრინციპებს ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე თანასწორობა წარმოადგენს. რაც ნიშნავს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის დაშლის შემდეგ, დასრულდებოდა რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ავტორიტარული რეჟიმი და საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე ქვეყანა პრაგმატულ გზას არჩევდა, რომლის უმთავრესი ქვაკუთხედი სწორედ ქვეყნის დემოკრატიზაცია და ლიბერალიზაცია იქნებოდა. თუმცა გარდამტეხი ეპოქის პირობებში ვერ მოხდა დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა და, განსაკუთრებით, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა.[72]

თვალსაჩინოებისთვის, გენდერული თანასწორობის ფორმირება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ფუნდამენტია. მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოების ახლებურად მოწყობამ განსაზღვრა არსებული მასკულინური საზოგადოებრივი მოწყობის სტრუქტურის, სახელისუფლო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლის საჭიროება, აგრეთვე ქალური საწყისის, როგორც ინერტულისა და დაქვემდებარებულის, ფილოსოფიურად დასაბუთებული სტერეოტიპის ახლებურად გააზრება.

აღსანიშნავია, რომ გარდამავალ პერიოდის უნივერსალურ გამოწვევას ქალთა თანასწორობის საკითხი წარმოადგენდა, რომელიც გარკვეულ ტრანსფორმაციას საჭიროებდა. ტრანსფორმირებადი საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდებს გააჩნდეთ გარემომცველი სინამდვილისა და მისი ცვალებადობის პროგნოზირების უნარი. ამასთანავე, ქალებისთვის აუცილებელია აზრობრივი კომპასის ფლობა, რომელიც

[72] ლომია ე. „სამხრეთ კავკასია-როგორც დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი საქართველოს მაგალითზე“. თბილისი, 2021, გვ. 102

ინიცირებს პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებას და სამომავლო განხორციელების შესაძლებლობას. საზოგადოების ტრანსფორმაციის თანამედროვე გაგებაში ნაგულისხმევია მისი დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის პროცესი, პატრიარქალური განწყობებისა და ნორმების გადალახვა, წარსულში საზოგადოებაში მიღებული ცნებისა და წარმოდგენის გადაფასება.

საზოგადოების ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი, ისე როგორც სოციალური მაკროსისტემისა, რომელიც რთულ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცვლილებებს განიცდის, საჭიროებს სოციოგენდერული კონცეფციების გამოყენებას. გენდერულ ურთიერთობებს და ყოველ სოციალურ ერთობაში არსებულ ურთიერთქმედებებს თავისი გარკვეული სპეციფიკა აქვს, განსხვავდება კონკრეტული სოციოკულტურული, მენტალური, მათ შორის, დემოგრაფიული თავისებურებებით, გააჩნია მრავალროლიანი ფუნქცია.

გენდერული მიდგომა ეფუძნება სქესთა ურთიერთობის სოციოკულტურულ დინამიკას და არ დაჰყავს იგი მხოლოდ განსაზღვრულ ბიოლოგიურ ურთიერთობებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ისტორიის საბჭოთა პერიოდში ქალთა ემანსიპაციას იდეოლოგიური ხასიათი ჰქონდა, ფართოდ იყო დეკლარირებული და სახელმწიფო ოფიციალურად უჭერდა მას მხარს. ამჟამად, მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაში ქალის სტატუსისა და როლის შეცვლაზე.[73]

თანამედროვე საზოგადოებაში მამაკაცისა და ქალის როლების ტრადიციული თანაფარდობა იცვლება. თავად ცხოვრება გვკარნახობს მათი ახალი იდენტიფიკაციის მოთხოვნას. ამასთან, ერთ-ერთი ძირითადი

[73] Lindsey L. „Gender Roles: A Sociological Perspective“. Maryville University of St. Louis, 2005, p. 51

დეტერმინანტი ხდება გენდერული ურთიერთობების ცვლილებები და თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია.

რაც შეეხება ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დასრულების შემდგომ პერიოდს, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ნაცვლად, საზოგადოების სტრატიფიცირება და გახლეჩვა მოხდა. გარდამავალ პერიოდში მოხდა ქალის სტატუსის სახეცვლილება და უარყოფითად დამუხტვა, რაც გამოიწვია მძაფრმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა, ფასეულობების ცვლილებამ და ახალ ღირებულებით სისტემაზე გადასვლამ. ამასთანავე, აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ერთგვარი ქაოსი და ცხოვრების დონის გაუარესება. კერძოდ, ადრე არსებული ღირებულებათა სისტემის ჩანაცვლება ვერ მოხერხდა ახალი ღირებულებათა სისტემით, რაც არც ისე პოზიტიურ და იმედისმომცემ პერსპექტივებს შლიდა ჩვენს წინაშე. გამოდის, რომ საბჭოთა კავშირმა და მისმა დადგენილმა სტერეოტიპებმა დიდი გავლენა იქონია პოსტსაბჭოთა საზოგადოებაზე და პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში დაამკვიდრა ანტიეტატისტური განწყობები. დღესაც კი, საბჭოთა იდეოლოგიები დიდი დოზით არის გაჟღენთილი ხალხში და დამატებითი სპეციალური ზომების გარეშე, ამ პრობლემის სრულად აღმოფხვრა რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

საბჭოთა სტერეოტიპებმა იმდენად ღრმა კვალი დაამჩნია საზოგადოებას, რომ მათი მსხვრევა რთული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. მაშასადამე, საზოგადოება საბურველ ქვეშ მოექცა, რაც ნიშნავს, რომ მათ გააჩნდათ წარსული, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია მათ მოღვაწეობას, ამასთან, სამომავლო პერსპექტივებიც ბურუსის მიღმა იყო. უფრო მეტიც, სათანადო გამოცდილებას მოკლებული საზოგადოება არ იყო კომპეტენტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შეცნობაში და, შესაბამისად, რთულ

სიტუაციასთან გამკლავების მზაობას ნაკლებად ამჟღავნებდნენ. მითუმეტეს, საზოგადოებას მძიმე ტვირთვის ზიდვა უხდებოდა, რადგან ინიციატივისა და პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება მოხდა სახელმწიფოდან მოქალაქეების მიმართულებით. მოშლილი ეკონომიკისა და ქაოსური სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებში, უმთავრეს პრობლემას ახალ ისტორიულ რეალობასთან შეგუება წარმოადგენდა.

შექმნილმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ქალთა ცხოვრების წესის დივერსიფიკაციას, შეაფერხა მათი პერსონალური და სოციალური განვითარების პროცესი, რამაც განაპირობა საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტის გარიყვა, რომელთა ინტერესებიც სათანადოდ ვერ აისახა ახალ ინსტიტუტებში.

ქალები, რომლებმაც ვერ შეძლეს ახალ ვითარებასთან შესისხლხორცება, აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში, ყოველგვარი სამსახურისა და პერსპექტივის გარეშე. ამასთანავე, ქალთა პრიორიტეტულ სამოღვაწეო სფეროებში არსებულმა დაბალმა ანაზღაურებამ განაპირობა ქალთა ფართომასშტაბიანი გაღატაკება. ქალის გარიყვა-გაღატაკება მის რეპროდუქციულ ქცევაშიც აისახა, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე.

მწვავე კრიზისთან შესაგუებლად ქალები მეტად მომზადებულები აღმოჩნდნენ, ვიდრე მამაკაცები. აღსანიშნავია, რომ ძველი სტერეოტიპების განადგურების შემდეგ, მამაკაცმა თავი უფუნქციოდ და არასრულფასოვნად იგრძნო. დაბნეულმა, უუნარო და განებივრებულმა საბჭოთა მამაკაცმა ფეხი ვერ აუწყო ახალ ცხოვრების სტილს და გამოსავლად „ისკეიპიზმი“ - რეალობიდან გაქცევა ნახა, შესაბამისად, მათი ძალაც და რესურსებიც არ აღმოჩნდა საკმარისი ცხოვრებისეული დაბრკოლებებისა და სირთულეების გადასალახად, შესაბამისად გახდა აგრესიული და ხელი მიჰყო იმ საქმეს, რომელშიც საკმაოდ დახელოვნებული იყო - აგრესიას ესროდა განსხვავებული

იდენტობის მქონე ადამიანებს.[74] მამაკაცისგან განსხვავებით, ამგვარ სირთულეებისთვის ბევრად მომზადებული იყო ქალი, რომელიც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქასაც თანაბრად მოერგო.[75] იმ დროს როცა მამაკაცები დეპრესიას მიეძალნენ, ქალები ძალისხმევას არ იშურებდნენ გამოსავლის საპოვნელად. მათ დაიწყეს მცირე ეკონომიკური საქმიანობის (ცხობა, წვრილი ვაჭრობა, შრომითი მიგრაცია და სხვ.) განხორციელება, რაც ცუდად აისახა მათ პიროვნულ, საზოგადოებრივ და სოციალურ განვითარებაზე. თუმცა ქალი ნაკლებად ფიქრობს თავის ინტერესებზე ან მათ ლობირებაზე, რის შემდეგაც ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან სეგმენტს ქალების სახით, რომლებსაც თავისი წილი წვლილის შეტანა ვეღარ შეეძლებათ საზოგადოებრივ საქმიანობაში.[76] მეორე მხრივ, აღარ იქნებიან განათლებული კადრებიც. კადრების დანაკარგი და გენდერული დისბალანსი დასაქმების კუთხით აღვივებს სოციალურ უკმაყოფილებასა და სოციალურ-პოლიტიკურ არასტაბილურობას.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობიდან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა სივრცეში სიტუაციის სათანადოდ კონსტანცია ვერ მოხდა, რაც საზოგადოების ეგზისტენციალურ კრიზისამდე მიყვანის საფუძველი გახდა. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდის საპირწონედ, ქალთა წარმომადგენლობამ ხელისუფლების ორგანოებში კლება იწყო.

ზოგადად, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სფეროების განვითარების პროცესში მონაწილე ქალთა ხვედრი მცირეა. ქალები არ მოიაზრებიან თანასწორუფლებიან პარტნიორად და მათი ინდივიდუალური და პროფესიული ღირსებები დაუფასებელია. უფრო მეტიც, მათ სათანადო რეკლამა და პერფორმანსი სჭირდებათ, რომ საკუთარი განხორციელებული

---

[74] Beard M.R. "Women as Force in History: A Study in Tradition and Realities". New York: Persea Books, 1987, p. 23

[75] ვაწაძე ვ. „გენდერული სტერეოტიპები საბჭოთა კავშირში და ჰომოფობიური დისკურსის შემუშავების პოლიტიკა". თბილისი: 2015, გვ. 3

[76] ქალი გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 1998, გვ. 12

საქმეები მეტნაკლებად ხილვადი გახადონ. პირუთვნელი სიმართლეა, რომ რეალურად გენდერული ბალანსი არ არის დაცული, რადგან კანონმდებლობის განმტკიცება მხოლოდ მთელი კასკადი ღონისძიებების მეშვეობით არის შესაძლებელი, რომელიც ფუნდამენტურ გარდაქმნებზეა დამოკიდებული.

დღეს უკვე შიდა დემოკრატიული პრინციპების არასათანადო დონეზე განვითარება, ნაკლები გამჭირვალობა და პარტიული იერარქია ქალის პოლიტიკური კარიერის წინსვლის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორებია.[77] მიუხედავად იმისა, რომ ბარიერები ცნობილია, მათი აღმოფხვრა გარკვეულ სირთულესთან ასოცირდება.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური სპექტრის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც წინ წამოსწევდა გენდერულ საკითხებს და გენდერული თანასწორობის მისაღწევად აქტიურად და კვალიფიცირებულად მიმართავდა თავის ძალისხმევას. ამასთანავე, დღევანდელი საზოგადოება მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი ფორმალური ნიშნების დეფიციტს განიცდის: რადიკალურობა, ცვლილებათა კომპლექსურობა, განვითარების კოჰერენტულობა, რაც საზოგადოების ყველა ქვესისტემის ცვლილებას ნიშნავს. ასევე ეკონომიკური ზრდა, პოლიტიკური მმართველობის წარმომადგენლობითი სისტემა, კულტურაში სეკულარული ნორმები, სოციალური და სივრცული მობილურობის მაღალი მაჩვენებელი, წარმატებისკენ სწრაფვა, ემპათია, როგორც თანამედროვე პიროვნების მნიშვნელოვანი თვისება. რეფორმირება რთული პროცესი აღმოჩნდა და ხშირად არარეალიზებული, უფრო მეტიც, წარმატებულად განხორციელებული რეფორმაც კი არ იყო ცალსახად უნაკლო,

[77] ნადარაია ლ. „ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში“. თბილისი, 2005, გვ. 3

რის გამოც ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის სტაგნაციას.[78]

სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში მოდერნიზაცია უკავშირდება ადამიანების, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მკაფიო სპეციალიზაციას სხვადასხვა სახის საქმიანობაში, რომელიც სულ უფრო ნაკლებად ხდება დამოკიდებული სქესზე, ასაკზე, სოციალურ წარმოშობაზე, პირად კავშირებზე და ტრანსფორმაციის განვითარებასთან ერთად, ადამიანის პიროვნული თვისებებით განისაზღვრება. სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაცია გულისხმობს იერარქიული დაქვემდებარებისა და ვერტიკალური დამოკიდებულების შეცვლას თანასწორუფლებიანი პარტნიორობით, რომელიც საერთო ინტერესების საფუძველზე ყალიბდება.[79]

როგორც მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაზისო საფუძველს წარმოადგენს არა საკანონმდებლო ინიციატივები და ფინანსური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური გავლენები წარმოების სფეროში, არამედ ღირებულებების რადიკალური ტრანსფორმაცია, რაც ცვლის მათ ინტერესებს.

ეკონომისტები, პოლიტოლოგები, კულტუროლოგები, პრაქტიკულად ცოდნის ყველა ჰუმანიტარული მიმართულების წარმომადგენლები ცდილობენ მოხაზონ ამ ადამიანური თანაცხოვრების შესაძლო პარამეტრები და ტენდენციები, რომელსაც ახალი ტიპის პოლიტიკური კულტურის შექმნასა და პატრიარქატიდან დაბალანსებულ ბიარქატიზმამდე მივყავართ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მდგომარეობა დროებითია და ქალების ჩართულობა საგრძნობლად გაიზრდება უახლოეს მომავალში და სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში,

---

[78] Giddens A. „The Consequences of Modernity“. Stanford University Press, 1990, p. 15

[79] Бергер И. „На чем держится теория модернизации“. Журнал: Социология, 1997, стр. 30-31

აგრეთვე გაიზრდება ქალი-ლიდერის და სახელმწიფო მოსამსახურის რაოდენობა.

თუ მსოფლიო ტენდენციებს და საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს გავითვალისწინებთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქალები ყოველმხრივ მზად არიან მართვაში მონაწილეობის მისაღებად სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა დონეზე.

და ბოლოს, გენდერის ნიშნით ადამიანების დაყოფა, ასე თუ ისე, ყველა საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი.[80] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობამ განახორციელა პოზიტიური ცვლილებები გენდერული თანაწორობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად, იკისრა საერთაშორისო ვალდებულებები, გენდერული თანასწორობის დამყარებისა და ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ამ პრობლემის გადაჭრას კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება.

იმისათვის, რომ ქალი და მამაკაცი თანაბარ სასტარტო პირობებში აღმოჩნდნენ, ქალებს შესაბამისი „კარტ-ბლანში“ მიენიჭოთ, საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის, ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა, აგრეთვე სპეციალური მხარდამჭერი ზომები, მაგალითად კვოტირების პრინციპის გამოყენება, დაფინანსება ქალთა წასახალისებლად, რაც შექმნის

[80] Chitashvili M., Javakhishvili N., Arutiunov L., Chachanidze S. (2010), “National Research on Domestic Violence against Women in Georgia.” იხ. http://www.genderbasedviolence.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.

შესაძლებლობას, ქალებმა უფრო აქტიურად იმონაწილეონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[81]

ქალის მიმართ ტრადიციული დამოკიდებულების გადალახვას, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მმართველობით სფეროში, გადაწყვეტილების მიღების დონეზე, სჭირდება უფრო კომპლექსური მიდგომა: ერთი მხრივ რეალური პოლიტიკური ნება სახელმწიფოს მხრიდან, უფრო მეტი რესურსების და ძალისხმევის დახარჯვა, იმისათვის რომ ქალთა კრიტიკული მასა მოვიდეს პოლიტიკაში. მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის მისაღწევად საზოგადოებრივი მოთხოვნილების არსებობა, გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი სულისკვეთების გაძლიერება. ამ პროცესში ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს: არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასმედიას.

აღსანიშნავია, თანამედროვე საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად, საჭიროა ასევე ხალხის სტერეოტიპული აზროვნების შეცვლა და საბჭოური მონარჩენის უკუგდება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქალის, როგორც „სუსტი სქესის“ გენდერულ როლსა და ადგილს საზოგადოებაში. ეს პროცესი არ უნდა იყოს ხელოვნურად დაჩქარებული, რადგან მსგავსი ქმედება მხოლოდ სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანს. მეორეც, ამ ეტაპზე, უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობები არ არის საკმარისი თანასწორობის მისაღწევად, აუცილებლობას წარმოადგენს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჰქონდეთ ხელშეწყობა. ამას გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უნდა მოხდეს საზოგადოების გათვითცნობიერება, განურჩევლად სქესისა, მითუმეტეს რომ ამ პრობლემის აღმოფხვრა საზოგადოების კეთილდღეობის საწინდარია.

[81] „ქალები პოლიტიკაში”, (2010). ტაბულა, N 3.

ქალთა ლიდერული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად მსოფლიოში არსებობს ფართოდ გავრცელებული სტრატეგია - ტრენინგების ჩატარება. უნარ-ჩვევების ტრენინგი ანუ შერეული ან ქალთა ტრენინგი პოლიტიკურ კარიერის მენეჯმენტზე. ამასთანავე, აუცილებელია გენდერული მიდგომების დანერგვა განათლების სფეროში, ვინაიდან ადამიანი ადრეული ასაკიდან გათვითცნობიერდეს და წარმოდგენა შეექმნას სწორი გენდერული შეხედულებებისა თუ წარმოდგენების შესახებ.

ცხადია, პოსტსაბჭოთა ქალს სჭირდება ჰუმანური პრინციპების გავრცელება და ნათელი დასტური იმისა, რომ საჭიროა დაცული იყოს გენდერული თანასწორობა საზოგადოების ყველა სფეროში. ამასთანავე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რომელთა ფუნქციაც არის საზოგადოების პოლიტიზაცია, სტერეოტიპულ აზროვნებაზე ზემოქმედება, საზოგადოებრივ აზრზე აპელირება, მასების აქტიურობის გაზრდა, მოვლენების მრავალწახნაგოვანი გაშუქება, ღირებულებების ჩამოყალიბება, ქალის ინტეგრაციის ახალი კონცეპტუალური მოდელის გავრცელება, ქალის სოციალური სტატუსის განახლების განმაპირობებელი ბერკეტების წახალისება უნდა უზრუნველყონ.

II თავი: პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური განვითარება და მისი გენდერული თავისებურებები

ამ თავში გაანალიზებულ იქნა საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროცესი და გარდამავალ პერიოდებში გამოვლენილი გარკვეული გენდერული სირთულეებისა და მახასიათებლების მთელი კასკადი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებულმა ვითარებამ განაპირობა საზოგადოების დაპირისპირება რთულ რეალობასთან. საბჭოთა ღირებულებების სისტემის რღვევამ შექმნა უკონტროლო სიტუაცია, რადგან ამ ვითარებას არ მოჰყოლია ახალი სისტემის დანერგვა და შესაბამისი ვექტორის მიმართვა სწორხაზოვანი მიმართულებით. თავის მხრივ, გამოიკვეთა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის გენდერული მახასიათებლები, ამასთან, მოხდა მათი შედარებითი ანალიზიც. ამასთანავე, შესწავლილ იქნა ქართველ ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმის მახასიათებლები და საქართველოს მიერ განხორციელებული ყველა ეროვნული მექანიზმი, მიმართული სქესის დისკრიმინაციის აღსაკვეთად. კერძოდ, გააზრებულ იქნა პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული ყველა მიდგომა თუ გატარებული რეფორმა წარსულიდან გადმოყოლილი სირთულეების მინიმიზაციისთვის.

II.I ქართველ ქალთა მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში

ოდითგანვე ქართული ზეპირსიტყვიერება და წერილობითი ძეგლები ქალთა საკითხებში ჩვენს გათვითცნობიერებას უზრუნველყოფდნენ. ფეოდალურ საქართველოში ქალთა სოციალური სტატუსი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, რთული პოლიტიკური ვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, აგრეთვე გეოგრაფიული ფაქტორების, კულტურული და ისტორიული თავისებურებების ფონზე ვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში შოთა რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებ „ვეფხისტყაოსანში“ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეის ხაზგასმა ხდებოდა, ხოლო დიდი ქართველი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის აზრით, ქალის ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში მის თავისუფლების დეტერმინანტად, ქვეყნის ნორმალური განვითარების საწინდრად აღიქმებოდა, საქართველოში გენდერული ბალანსი მაინც არასდროს ყოფილა დაცული. სახელდობრ, 1959 წლიდან ანუ სტატისტიკის დეპარტამენტის ათვლის დაწყებიდან, რაც ნიშნავს, რომ უკვე განვლილი წლების მანძილზე შესისხლხორცებულ იქნა გენდერული ბალანსის რღვევის დინამიკა. მიუხედავად ამისა, საქართველო, რომელიც თავისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მახასიათებლების გათვალისწინებით, ასწლეულების მანძილზე, უდიდესი იმპერიების სამიზნეს წარმოადგენდა და არაერთი ქარტეხილის მიუხედავად, მუდამ მედგრად იბრძოდა თვითიდენტობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გზაზე.[82]

საბჭოთა კავშირი იყო ღრმა იდეოლოგიის მქონე და ტოტალიტარული რეჟიმის გამტარებელი გაერთიანება, რომლის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ კრედოდ იქცა ახალი სახელმწიფოსა და ადამიანების შექმნა. საბჭოთა კავშირი

[82] გაფრინდაშვილი ლ. „ქალები პოლიტიკაში“. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2009, გვ. 9

არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზედაპირული მოდერნიზაციით და დაარსების დროიდან პოლიტიკური მანიპულაციების საშუალებებით იღწვოდა მასში შემავალი ქვეყნების უპირობო მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენები, ისევე როგორც მის მიერ მიღებული კონსტიტუცია და სხვა გატარებული რეფორმები გარკვეულწილად აისახებოდა მის საფარველ ქვეშ მყოფი ქართული საზოგადოების ცხოვრებაზე.[83] აღსანიშნავია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო დოტაციური სახელმწიფოს სტატუსს ატარებდა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მკვიდრ ქალებთან შედარებით, ქართველი ქალები ლიდერობდნენ განათლებით, კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით. 1989 წლის აღწერამ ცხადყო, რომ 1000 ქალიდან 204 იყო განათლებული და დიპლომირებული.[84]

ქალების უფლებრივი მდგომარეობა შეიცვალა და, შესაბამისად, ისინი ინტეგრირდნენ ხელმძღვანელობით პოსტებზე სამოქალაქო განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ქალების ნირი დაფუძნებული იყო მაღალ სტანდარტებსა და ისტორიულ ნარატივებზე, აქედან გამომდინარე, მათ პროფესიულ მახასიათებლებს წარმოადგენდა კომპეტენტურობა, საქმისადმი ერთგულება, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მაღალი პროფესიონალიზმი და ხელმძღვანელობის კარგი უნარი.

საქართველოში 1990 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე ქალების ღვაწლი წარუშლელია ფართომასშტაბიან ეკონომიკურ საქმიანობაში. ქალთა შრომით საქმიანობაში ჩაბმის მასშტაბები განსაკუთრებით დიდი იყო სოფლის მეურნეობაში, საზოგადოებრივი კვების სისტემაში, კომუნიკაციების არეალსა

---

[83] Bridger S. „Women in the Soviet Countryside“. Cambridge, United Kingdom: Cambridge University Press, 1987, p. 6

[84] კიკნაძე თ. „თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ტრასფორმაციის გენდერული ასპექტი“. თბილისი, 2003, გვ. 98

და მრეწველობის დარგებში (მსუბუქი, კვების, ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობა), აგრეთვე ეკონომიკის ყველა ძირითად არაინდუსტრიულ სექტორში. ეროვნული ეკონომიკის მამაკაცურ სექტორშიც კი 30-40%-ით გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა. კერძოდ, მშენებლობა, ტრანსპორტი, საშენი მასალები და სხვ.

ამასთანავე, ქალები უმრავლესობას წარმოადგენდნენ სხვადასხვა პრესტიჟულ პროფესიათა წარმომადგენლის ამპლუაში: ექიმი, მასწავლებელი, კულტურისა და ხელოვნების მუშაკი, მსუბუქი და კვების მრეწველობის ინჟინერი. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სექტორებში ქართველ ქალებს ჰქონდათ კონკრეტული ასპარეზი და შესაძლებლობები კარიერის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ ტოტალიტარული სახელმწიფოს გამო თითქმის არ იყვნენ წარმოდგენილნი მმართველობით და პოლიტიკურ სტრუქტურებში. უმაღლეს პოსტებზე ძირითადად მამაკაცები ინიშნებოდნენ, ხოლო ქალები მართვის შუალედურ რგოლში იყვნენ წარმოდგენილები. თუმცა საბჭოთა კავშირში გავრცელებული მითის თანახმად, ქალთა პრობლემები რომანტიზებას არ საჭიროებდა და ფემინიზმის ნებისმიერი მცდელობა ნეგატიურ ბურჟუაზიულ მოძრაობად აღიქმებოდა. მაშასადამე, საბჭოთა ქალების დასაქმების მიუხედავად, მმართველი რგოლი მონოპოლიზებული იყო საბჭოთა მამაკაცების მიერ, ამდენად გადაწყვეტილების მიღების არეალი მთლიანად დაკავშირებული იყო მასკულინურ ფენომენთან.[85]

ამ პერიოდში ქალთა პრობლემების შესახებ არსებული ცნობები აგებული იყო სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოების მიერ ქალთა მიმართ გატარებული პოლიტიკის დაპირისპირებაზე. უფრო მეტიც, სოციალისტური პოლიტიკა სიმართლეს არ ამბობდა და სათქმელს შელამაზებული ფორმით

[85] წერეთელი ე. „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში". თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2009, გვ. 59

გადმოსცემდა. ამასთანავე, რეალობასთან შეუსაბამო იყო საზოგადოებრივ სპექტრში ქალის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის ასახვა, ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მსოფლმხედველობისა და მასშტაბების აღწერა. ფაქტია, ცხადი და გროტესკული უსამართლობაა საკითხის ამგვარი შეფარვა.

რეალობაა, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასა და ორგანულ კანონებში ჩაწერილი ქალთა და მამაკაცთა უფლებების ფორმალური თანასწორობა შორეულ პერსპექტივად გვისახავდა რეალურ თანასწორობასთან იდენტიფიცირებას. მიუხედავად იმისა, რომ 1981 წელს გაერომ მზაობა გამოთქვა ქალთა დასახმარებლად და ხელი შეუწყო „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირებას, ის მაინც ვერ გახდა ქვეყნის საშინაო ცხოვრების განმსაზღვრელი. პარალელურად, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა ადმინისტრაციულმა რეალაქტმაც ვერ მიაღწია შედეგს.[86]

ქალთა მამაკაცებთან ემანსიპაცია და თანაბარ პირობებში ყოფნა მოხდა განათლების სფეროში. ამგვარად, საშუალო, უმაღლესი და სპეციალური განათლების მიღების საშუალებამ განაპირობა ქალთა და მამაკაცთა საგანმანათლებლო სფეროში გათანაბრება. თუმცა სოციალურმა საგანმანათლებლო პრაქტიკამ გამოავლინა მთელი რიგი პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის თითქმის არცერთ სფეროში ქალები არ ფიგურირებდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, წილად ხვდათ მეტი დაბრკოლების გადალახვა პროფესიული ზრდისა და კარიერული აღმავლობის გზაზე. სახელდობრ, თვალსაწიერის გასაფართოებლად,

[86] არჯევანიძე ნ. (2016) „ადრეული საბჭოთა კავშირი (20-30-იანი წლები) და გენდერი“, გვ. 2

ქალებისთვის რეალურად მხოლოდ ჰორიზონტალური პროფესიული გადანაცვლებები არსებობდა, ხოლო ვერტიკალური ანუ ძალაუფლების უმაღლესი ეშელონებისკენ სწრაფვა წარმოადგენდა მამაკაცების პრეროგატივას. მაგალითად, სხვადასხვა რანგის წარმომადგენელ მამაკაც სპეციალისტებს შორის არსებული ხელმძღვანელების მაჩვენებელი იყო 48%, ხოლო ქალების - 2%. აღსანიშნავია ისიც, რომ შემცირების პირველ ტალღაში ყოველთვის ქალები ხვდებოდნენ.

გარდა იმისა, რომ საბჭოთა ნარატივებში ნაკლებად შევხვდებოდით ტოლერანტულ პოლიტიკას ან მერიტოკრატიულ მმართველობის წახნაგებს, ამასთან, არსებობდა ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებებს შორის გარკვეული სხვაობა, რაც პროფესიული დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის შედეგად წარმოიშვა. 1980-იანი წლების ბოლოს მინიმალურ ხელფასის მქონე დასაქმებულთა უდიდეს ნაწილს ქალები შეადგენდნენ. ერთნაირ სამუშაო ადგილსა და პოზიციაზე დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებებს შორის სხვაობა 35-40%-მდე მერყეობდა. რაც მიგვანიშნებს შემდეგზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება 1980-იან წლებში საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის ლიბერალიზაციასთან არის დაკავშირებული, რომელიც მიხეილ გორბაჩოვის მიერ განხორციელებულმა „პერესტროიკისა“ და „გლასტნოსტის“ (გარდაქმნა და საჯაროობა) პოლიტიკამ მოიტანა, აღნიშნული გარემოებაც ვერ გახდა მნიშვნელოვანი ცვლილებების დასაბამი.

ტრადიციული საზოგადოების კონსერვატიულ-პატრიარქალურმა საფუძვლებმა, რომლებმაც მაღალი სიცოცხლისუნარიანობა და სოციო-კულტურულ პროცესებში ქალთა ინტეგრაციაზე რეალური ლობირების უნარი გამოავლინეს, გამოიწვია ქალთა მნიშვნელოვანი კლება პოლიტიკური სფეროდან და, შესაბამისად, ისინი ჩამოცილებულნი იყვნენ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში სრულფასოვანი

მონაწილეობიდან. გამოდის, რომ არსებულმა პატრიარქალურმა სარჩულმა, დაძაბულობის კერამ გამოიწვია ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობის შეფერხება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში.[87]

ქალების მიმართ გატარებული პატერნალისტული პოლიტიკის ღრმა სარჩული მიზნად ისახავდა გარკვეულ შეღავათებსა და ოჯახების დახმარებას. 90-იანი წლების დასაწყისში დაწესებულებები და საწარმოები უნდა დახმარებოდნენ მათთან მომუშავე ქალებს და გამოეყოთ 15-ზე მეტი შეღავათი და ფულადი დახმარება.

აღსანიშნავია, გარდაქმნის პერიოდის ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპირობა დასაქმებულ ქალთა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რაც სამუშაო ადგილებიდან მათი დათხოვნით და ამონაგების გარეშე დარჩენით გამოიხატა.

მამაკაცთა დისტანციამ და პასიურმა ჩართულობამ საშინაო მეურნეობასა და ბავშვების აღზრდის საქმეში შეაფერხა მომსახურების, საზოგადოებრივი კვების სამსახურის აქსელერაცია. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით შემუშავებულმა სახელმწიფო პროგრამებმა ვერ უზრუნველყო ქალთა განცალკევება საყოფაცხოვრებო დატვირთვისგან.

ქვეყანაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ მიჩნეულ იქნა და განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა დედებისა და ბავშვების დაცვის სისტემის განვითარება. ომის ეპოქის დასასრულს გაიხსნა არაერთი საავადმყოფო და სამშობიარო სახლი, საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობით განისაზღვრა მამის მოვალეობები, დაწესდა საალიმენტო გადასახადები განქორწინების შემთხვევაში, ამასთან, ცოლ-შვილიც ქონების მოზიარენი გახდნენ. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები გაუთანაბრდა კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებს.

[87] ტუკვაძე ა. "საქართველოს პოლიტიკური კულტურა". თბილისი: „უნივერსალი", 2004, გვ. 78

საბჭოთა სახელმწიფოში დაინერგა ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის სისტემა. მართვის ცენტრალიზაციისა და გეგმიანობის მიუხედავად, ყოველ რესპუბლიკას საკუთარი პოლიტიკური მანევრირების სივრცე და ინდივიდუალური მიდგომა ჰქონდა ბავშვთა აღზრდის პრობლემის გამოწვევებზე რეაგირების მოსახდენად. თუმცა ქალთა საკითხის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას დეკლარაციულობა ახასიათებდა და იგი არ ითვალისწინებდა სხვადასხვა რეგიონის სპეციფიკურობას, სახასიათო ნიშნებსა და განსხვავებულ ცხოვრების წესს.[88]

აღსანიშნავია, საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის გენდერული ასპექტის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:

- საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფაზასა და სფეროში ქალების მონაწილეობისადმი მზაობა და მათი უფლებების საკანონმდებლო დონეზე აყვანა-აღიარება;
- ადმინისტრაციული მეთოდების დახმარებით სქესთა თანასწორობის პრინციპის რეალიზაცია;
- ქალის დედობრივი და სოციალური ფუნქციის ერთობის აღიარება;
- ქალების სტატუსის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის დეკლარაციული განწყობა.

[88] ჩხეიძე ქ. (2012) „ქალთა პოლტიკური წარმომადგენლობა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ", იხ. https://www.womensvoice.tsu.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.08.2021.

ქალებისა და მამაკაცების რეალური თანასწორობის მიღწევას ხელს უშლიდა სხვადასხვა ფაქტორები:

- ინტერესთა დაპირისპირების ნიადაგზე, კლასობრივ-პარტიული იდეოლოგიის მიერ ქალთა მოძრაობის იდეოლოგიის შთანთქმა, რაც მთელი საბჭოთა პერიოდის დამახასიათებელ იმპერატიულ ნორმას წარმოადგენდა. ამასთანავე, ქალთა პრობლემების დამოუკიდებელი სტატუსის მასკულინური უარყოფა და მათი კლასობრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარება;
- ქალზე მამაკაცურ-პატრიარქალური ძალაუფლების ჩანაცვლება ტოტალიტარული სახელმწიფოს ძალაუფლებით;
- ქალთა გარიყვა გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. ამასთანავე, სიძნელეების არსებობა პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების გზაზე. არსებული ინფორმაცია მეტყველებს ქალთა მხოლოდ ჰორიზონტალური პროფესიული გადანაცვლების რეალური შესაძლებლობის არსებობაზე და ყოვლად გამორიცხავს ვერტიკალური ეშელონებისკენ სვლას;
- საზოგადოების მიერ ქალთა სტიგმატიზება და მათი ჩამოცილება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში სრულფასოვანი მონაწილეობისაგან;
- ქალთა პოლიტიკის ეფექტიანი სოციალური პოლიტიკით გამყარების არაარსებობა, რომელიც ქალების უფლებრივ მდგომარეობას საგრძნობლად განამტკიცებდა. ქალების ოჯახითა და საყოფაცხოვრებო საქმეებით დატვირთვის მაღალი მაჩვენებელი.

ნათელია, რომ საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო ქალების მიმართ პატერნალისტურ-დეკლარაციული ხასიათი, რომელიც ქალთა დახმარებით პირადი სარგებლის მიღებას გულისხმობდა.

გარდამავალი პერიოდის დემოკრატიულმა პროცესებმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია ერთგვარი პოლიტიკური ქაოსი, რასაც სიტუაციის დაძაბვა, ცხოვრების დონის უკიდურესი გაუარესება მოჰყვა. დაირღვა ღირებულებათა ადრე არსებული სისტემა და ვერ მოხერხდა ახალი ღირებულებათა სისტემის დანერგვა. რადიკალურმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა ღრმა კვალი დააჩნია ადამიანთა ცხოვრების წესს. წარსულის მარწუხებიდან თავის დაღწევა ქვეყნის მნიშვნელოვან პრეროგატივას წარმოადგენდა. სათანადო გამოცდილებასა და სამართლებრივ დაცვით მექანიზმებს მოკლებული საზოგადოება რისკის სიტუაციაში აღმოჩნდა - ინიციატივისა და პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრმა სახელმწიფოდან საზოგადოებაზე გადაინაცვლა. მოშლილი ეკონომიკისა და ქაოსური სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებში პიროვნებისათვის, ფაქტობრივად, უმთავრეს პრობლემად ახალ ისტორიულ ვითარებასთან შეგუება იქცა.[89]

პოსტსაბჭოთა საქართველოს თავისებურებანი დაკავშირებულია ეკონომიკის კრიზისულ ხასიათთან, რთულ პოლიტიკურ სიტუაციასა და ეთნიკურ კონფლიქტებთან, რაც, თავისთავად, სოციალური სტრუქტურის, ღირებულებათა სისტემის მკვეთრი ცვლილებისა და ინდივიდთა რესოციალიზაციის მიზეზი გახდა. სოციალური სტრუქტურის ნორმები ითვალისწინებს შესაძლო კონფლიქტს კოგნიტურ, ემოციურსა და ქცევით კომპონენტებს შორის. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ითვალისწინებს იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც აღნიშნული პროცესების დეტერმინირებას ახდენენ.[90]

რეგიონის მრავალფეროვანი კონიუნქტურის - პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის, მრავალი გაუთვალისწინებელი კონფლიქტის

[89] Lauer R. H. "Social problems and the quality of life". Boston: McGraw-Hill, 1998, p. 60
[90] Ashmore R. D., Delboca F. K. (1979) "Sex stereotypes and implicit personality theory: Toward a cognitive-social psychological conceptualization", p. 82

გათვალისწინებით, რასაკვირველია, ღრმა კვალი დააჩნდა ქალთა ცხოვრება-მოღვაწეობას. აღნიშნულმა კონფლიქტებმა ქალები დააზარალა და, ერთი მხრივ, ისინი გახდნენ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, ხოლო, მეორე მხრივ, მათ დღის წესრიგში დადგა მიგრაციის გაუთვალისწინებელი პრობლემა. კერძოდ, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთის რეგიონიდან ლტოლვილ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 54.4%-ს (აფხაზეთიდან - 97%, ხოლო ცხინვალის რეგიონიდან - 3%) შეადგენდა, რაც ფრიად დასაფიქრებელ მოცემულობათა კატეგორიაშია.[91]

შექმნილმა ვითარებამ განაპირობა ქალთა ცხოვრების წესის სახეცვლილება - ქალმა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, როგორც ღირებულებითი და ორიენტაციის, ისე ხარისხობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით და შეაჩერა მათი პერსონალური და სოციალური განვითარება, რამაც უზრუნველყო საზოგადოებიდან იმ მნიშვნელოვანი სეგმენტის განდევნა, რომელთა ინტერესები არასრულყოფილად აისახა ახალ ინსტიტუტებში.

ქალები, რომლებმაც ვერ გაითავისეს ახალი რეალობა, აღმოჩნდნენ არასახარბიელო მდგომარეობაში, სამსახურისა და ყველანაირი სახსარის გარეშე. მკვეთრად შემცირდა დასაქმებულ ქალთა რიცხვი. 1989-1994 წლებში დასაქმებული ქალების რაოდენობა 1250 ათასი ქალიდან 750 ათას ქალამდე შემცირდა. უფრო მეტიც, 1990 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ დეპუტატებს შორის 16% იყვნენ ქალები, ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში მაჩვენებელი შემცირდა (საპარლამენტო ხელისუფლება - 7%, აღმასრულებელი ხელისუფლება - 10%, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო - 11%). ამასთანავე, ქალთა პრესტიჟულ სამსახურებში (სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა, მედიცინა,

[91] ზურიკაშვილი ფ., ჯორბენაძე რ. „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“, თბილისი, პოლიგრაფ+, 2011, გვ. 7

კულტურა და კვების მრეწველობა) არსებულმა მცირე სარგებელმა გამოიწვია ქალთა მასობრივი გაღატაკება. ქალთა პროფესიული მარცხი მის რეპროდუქციულ ქცევაშიც გამოჩნდა, რაც, თავისთავად, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე.[92]

მიუხედავად იმისა, რომ ქალები წლების მანძილზე ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ, ისინი უფრო მომზადებულები შეხვდნენ არსებულ სირთულეებს და გულისყურით მოეკიდნენ პოსტსაბჭოთა პერიოდთან მორგების საკითხსაც. ეს ნიშნავს, რომ ქალი არ დაბნეულა კრიტიკულ მომენტში და მან საკუთარ თავზე აიღო ოჯახის ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. კერძოდ, იცვლება ქალის ცხოვრების წესი, როდესაც ის უარს ამბობს პროფესიაზე და ფოკუსირდება არარეგისტრირებულ ბიზნესზე (ცხობა, წვრილი ვაჭრობა, შრომითი მიგრაცია). დღეს, ხშირად სწორედ ქალი ხდება ოჯახის მთავარი მარჩენალი, თუმცა ეს ძვირად უჯდება - იცვლება მისი ცხოვრების ნირი და ხელი ეშლება მის პიროვნულ, საზოგადოებრივ და სოციალურ განვითარებას. თუმცა ქალი ყველაზე ნაკლებად ფიქრობს თავის ინტერესებზე და მათ ლობირებაზე, ამის შედეგად საზოგადოება კარგავს მოსახლეობის საკმაოდ დიდ სეგმენტს, რომლის ინტერესები ადეკვატურად არ აისახება ახალ ინსტიტუტებში. მეორე მხრივ, იკარგება განათლებული და ერუდირებული კადრები. კადრების დანაკარგი და სქესთა დისბალანსი დასაქმების სფეროში გარკვეულად ხელს უწყობს სოციალურ უკმაყოფილებას და სოციალურ-პოლიტიკურ არასტაბილურობას.

მაშასადამე, ქალებს აქვთ მიზნების, პროგრამების, იდეოლოგიის ჩამოყალიბების შესაძლებლობა იმ პირობებშიც კი, როდესაც ძველი ორიენტირი დაკარგულია, საზოგადოება გაყოფილია და მასში აპათია და

[92] ბაქრაძე დ. „ქართველი ქალები", „საბჭოთა საქართველო". თბილისი, 1891, გვ. 3

ანარქია სუფევს. კონკრეტული ისტორიული პერიოდისთვის ფუნდამენტური ეროვნული ფასეულობების პერსონიფიკაციის შესაძლებლობა.

დღევანდელ პირობებში, გენდერული თანასწორობა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. თუმცა გარკვეული წინსვლა არსებობს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის თვალსაზრისით, რაც ნიშნავს, რომ ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში გარკვეულ პროგრესს განიცდის წინა წლებთან შედარებით. თუ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, დეპუტატი ქალების მაჩვენებელი 16%-დან 7%-მდე დაეცა, დღეს ეს მაჩვენებელი 20.67%-მდე (31/150 დეპუტატი ქალი) გაიზარდა. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2016-2017 წლებში იყო დაახლოებით 16%, რაც ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ წინსვლასთან. ამასთანავე, 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში 4 ქალი მინისტრია წარმოდგენილი, ერთი მერი და არცერთი გუბერნატორი, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტიც ქალია.

II.II გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმები

საქართველო უძველესი და მრავალსაუკუნოვანი სულიერი საგანძურითა და კულტურული ფასეულობებით ცნობილ სახელმწიფოს წარმოადგენს, სადაც ეპოქის მაჯისცემა და დინამიზმის გრძნობა ღრმად ერწყმის ერთმანეთს. წლების მანძილზე საქართველოს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდა და მისი ბედიც არაერთხელ დამდგარა სასწორზე, რაც მის იერსახეს მეტნაკლებად აყალიბებდა. ერთ-ერთ ამგვარ დაბრკოლებათაგანს წარმოადგენს მისი დემოკრატიულ ფასეულობებთან ზიარება, რომლის მიღწევაც რთულია გენდერული პრობლემების აღმოფხვრის გარეშე. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მიზნობრივად შემუშავებული ეროვნული მექანიზმები და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები ვერ გახდა სიტუაციის რადიკალური გარდაქმნის გარანტი.

საქართველოს კანონმდებლობით გენდერული თანასწორობა დაცულია, ქალები და მამაკაცები თანაბარ პირობებში იმყოფებიან, რაც კონსტიტუციასა და სხვა კანონებშია არეკლილი. საქართველოს რატიფიცირებული აქვს შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი“, „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“ და სხვ. თუმცა საქართველოში შესაძლებლობების თანასწორობა ჯერ კიდევ მიუღწევადია.[93]

ისიც ფაქტია, რომ გენდერული თანასწორობა ხშირ შემთხვევაში დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და არ ხდება კანონების პრაქტიკაში გატარება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში ვერ ნახავთ სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ ხარვეზებს, რეალობაში სახეზეა გენდერული ასიმეტრია, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება პოლიტიკაში, ზოგადად

[93] ბექიშვილი ნ. „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში“. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2009, გვ. 11

ყველა სფეროს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში. სწორედ ამიტომ, მსოფლიო გამოცდილების გაზიარების კვალდაკვალ, უნდა გავამკაცროთ კანონმდებლობა და კანონის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, ჩავდოთ იძულების გარკვეული მექანიზმები. არსებული სიტუაციისა და ბარიერების გადალახვის მიზნით, საჭიროა გავცდეთ საერთო დებატების ჩარჩოებს და მოვახდინოთ ეფექტური პოლიტიკური მექანიზმების გენერირება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა მონაწილეობის და წარმომადგენლობის გაზრდას.[94]

გენდერული, ანუ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი, როგორც ინდივიდის კუთვნილი უფლებების უზრუნველყოფისა და თავისუფლებების მინიჭების საწინდარი, მსოფლიოს სამართლებრივი განვითარების ისტორიის ინტერესის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. გენდერული თანასწორობის საკითხის წონადობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ არა მხოლოდ ნაკლებდ ფემინურად მოდერნიზებული ქვეყნები ცდილობენ მის რეგლამენტაციას, არამედ ის ქვეყნებიც, სადაც ზედმეტი დათქმებისა და იმპერატიული ნორმების შემოღების გარეშეც ქალები ნაკლებად მარგინალიზებულნი არიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისაგან და ყველა მარაქაში მამაკაცების მსგავსად ერევიან.[95]

გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისაკენ მიმავალ გზაზე საქართველო მხოლოდ სამართლებრივი რეფორმების გატარებით არ შემოიფარგლებოდა, ამასთან, მიზანმიმართულად ცდილობდა საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, სხვადასხვა სტრატეგიების შემუშავებას (მაგალითად, კვოტა და სხვ.) და მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვას. თუმცა ამ დრომდე მეორეხარისხოვან რეფორმების

---

[94] Bem S. L. "The Lenses of Gender, Transforming the debate on sexual inequality". New Haven, Connecticut: Yale University Press, 1993, p. 89

[95] გონაშვილი ვ. „გენდერული თანასწორობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები". თბილისი, 2008, გვ. 5

გასაქანი არ გასცდენია სიტუაციის დროებით უმნიშვნელოდ გაუმჯობესების მასშტაბებს.

თითოეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარება კვალს ამჩნევს გენდერულ თანასწორობას. ამასთანავე, ქალების ისტორიულ-სოციალური მდგომარეობის ანალიზის თანახმად, ამგვარი ინტერნაციონალური ხასიათის პრობლემის რეალიზაცია საჭიროებს, როგორც ინოვაციური იდეების შემოღებას, აგრეთვე დამკვიდრებული კანონმდებლობის მხარდაჭერას. ამრიგად, პრობლემის მოგვარების გზად გვესახება ახალი მიდგომების დანერგვა და უკვე არსებული კანონების ქმედებაში მოყვანა, რაც ხელშეწყობილ იქნება საზოგადოების მიერ და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობას გაიზიარებენ სახელმწიფო ერთეულებთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობისა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე საქართველოში შექმნილ იქნას ისეთი რეალური გარანტიები, რომლებიც სამომავლოდ იზრუნებენ სქესთა დისბალანსირების აღმოფხვრაზე. ამგვარად, ცვლილებების შეტანას საჭიროებს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია, არამედ სამოღვაწეო სფეროების მომწესრიგებელი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები. ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ურიგო არ იქნება გენდერულ თანასწორობაზე მორგებული ცალკე კანონის შემოღება, რომელიც რთული გენდერული სიტუაციის ტრანსფორმაციას ეცდება.[96]

საქართველოში ქალთა დაცვის სისტემა გულისხმობს ორიენტირებას საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებსა და ეროვნულ მექანიზმებზე, აგრეთვე ხელის შეწყობას რეალურად მოქმედ ინსტრუმენტებისათვის.

---

[96] გონაშვილი ვ. „გენდერული თანასწორობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები“. თბილისი, 2008, გვ. 21

თანამედროვე ქალის ფენომენის შექმნაში, თავის მხრივ, წვლილი მიუძღვის ისტორიულ ნარატივებს, კულტურულ ატმოსფეროს, რელიგიურ ცნობიერებასა და ეროვნულ ფსიქოლოგიას, ამასთან, არანაკლები გავლენით სარგებლობს საზოგადოების პოლიტიზაციის და იდეოლოგიზაციის ერთობის დონე. ქალი შეიძლება წარმოდგენილ იქნას დედის, მეუღლის, საზოგადო მოღვაწისა და სამართლის უფლებებით აღვსილ სუბიექტის როლში, ის ცხოვრების მანძილზე არაერთ ეპიზოდურ როლს ირგებს. რეალობაა, რომ ქალის უფლებრივი მდგომარეობის მყარი გარანტი არის ძლიერი კონსტიტუცია, რაც სისრულეში უნდა მოიყვანოს რეალურად მოქმედმა მექანიზმებმა. კანონმდებლობა უნდა გვესახებოდეს როგორც ერთგვარი ხერხემალი, რომელიც უნდა გახდეს გარდამტეხი ძალა მრავალწლიანი უთანასწორობის აღმოფხვრის კვალდაკვალ, რომლის საშუალებით ქალი უნდა იყოს სამართლის ისეთივე სრულუფლებიანი სუბიექტი, როგორც მამაკაცი. აქედან გამომდინარე, აზრსმოკლებული არ იქნება არსებული სამართლებრივი ბაზის გადაფასება და არსებული ხარვეზების კორექტირება.

1992 წლის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება პარლამენტარ ქალთა კლუბის ფორმირება. კლუბის სამოქმედო გეგმა აგებული იყო პეკინის ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის თორმეტ პრიორიტეტზე.[97]

1994 წლის 22 სექტემბერს საქართველო მიზანმიმართულად გაეცნო და შეუერთდა კონვენციას, „ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.[98] ამ კონვენციის თანახმად, საქართველომ გარკვეული პასუხისმგებლობა აიღო ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინების აღკვეთის მიმართულებით. სახელდობრ, კონვენციის

[97] Blair Karen. J. “The Clubwoman as Feminist. True Womanhood Redefined, 1868-1914”. New York, London: Holmes and Meier Publishers, 1978, p. 5

[98] კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, 1994 წლის 22 სექტემბერი.

თანახმად, იმისათვის რომ ქალებმა შეძლონ მამაკაცებთან ემანსიპირება, სამთავრობო პოლიტიკის ფორმირების უპირობო მხარდაჭერა, აგრეთვე არჩევნებზე ხმის მიცემისა და საჯაროდ კანდიდატურის დაყენების შესაძლებლობა, სახელმწიფო პოსტების დაკავება და სამთავრობო დონეზე სახელმწიფოებრივი ფუნქციების აღსრულება, სახელმწიფო ვალდებულია მზაობა გამოხატოს მდედრობითი სქესის დასახმარებლად.[99]

1995 წელს საქართველოს მიერ მიღებული კონსტიტუციის მე-14 პუნქტის მიხედვით, „ადამიანები დაბადებიდან თავისუფალნი და კანონის წინაშე თანასწორნი არიან, განურჩევლად სქესის, რასის, შეხედულებებისა და პრინციპების, ეროვნებისა და სოციალური სტატუსისა“.[100] პარალელურად, პარლამენტში შეიქმნა როგორც ადამიანთა დაცვის, ამასთან, დედათა, ბავშვთა და ოჯახის უფლების დაცვის სპეციალური კომიტეტი. ჩამოყალიბდა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ადამიანების უფლებების დაცვის მონიტორინგს ახორციელებდა.

1995 წელს დაინერგა გაერთიანებული ერებისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი „გენდერული განვითარება“. აღნიშნული პროექტი ეყრდნობა პეკინის არასამთავრობო ფორუმებსა და კონფერენციებზე გამოთქმულ მოსაზრებებს, აგრეთვე მისი ინიციატივით მოხდა ინოვაციური პროექტის მომზადება ქალთა დღის წესრიგის და პრობლემების შესახებ. შეიქმნა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების საძიებო ცნობარი და ქალთა დახმარების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა შეხვედრები და კონფერენციები.

საქართველოში არსებული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაწერილი ანგარიში გაიგზავნა გაეროში და აგრეთვე უშიშროების

---

[99] კაპანაძე ლ., ხახუტაშვილი ე. “საზოგადოებასთან ურთიერთობა”, თბილისი: უნივერსალი, 2004, გვ. 68

[100] კაპანაძე ლ., ხახუტაშვილი ე. “საზოგადოებასთან ურთიერთობა”. თბილისი: უნივერსალი, 2004. გვ. 20

საბჭოს ადამიანის უფლებების განყოფილების მიერ შემუშავებულ იქნა ყველა სფეროში ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სპეციალური დოკუმენტი.

1995 წლის სექტემბერში საქართველო დაესწრო გაეროს IV მსოფლიო კონფერენციას - „თანასწორობის, გაერთიანებისა და მშვიდობისათვის“. 189 სახელმწიფოს წარმომადგენლობის შეთანხმების შედეგად დამტკიცდა ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელსაც, როგორც წესი, „პეკინის სამოქმედო პლატფორმასაც“ უწოდებენ. იგი მიზნად ისახავდა ქალებისთვის შესაძლებლობების გაზრდას და მათი რეალიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნას.

1996 წელს საქართველოშიც მიიღეს „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების“ შესახებ კონვენცია.[101]

პეკინის ქალთა კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრების თანახმად, 1997 წლის მიწურულს ყველა სახელმწიფოს უნდა მოემზადებინა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მორგებული იქნებოდა კონფერენციის სამოქმედო პლატფორმაზე. საქართველოსთვის გეგმა მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ პრეზიდენტთან შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული გეგმა პეკინის ქალთა კონფერენციის თორმეტი პრიორიტეტიდან შვიდს მოიცავდა. სამოქმედო გეგმის შთაგონებად იქცა გენდერული თანასწორობის მიღწევა და დამკვიდრება ყველა სფეროში.[102]

1997 წელს საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა სამოქალაქო კოდექსი. არსებული კოდექსი სისტემატიზებულია სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპებით.

---

[101] კონვენცია „თანაბარი ღირებულების შრომაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების შესახებ“, 1996 წლის 29 მაისი.

[102] გაეროს განვითარების პროგრამა. ქალთა მდგომარეობა საქართველოში.თბილისი: ნეკერი, 2000, გვ 2

1997 წელს პრეზიდენტის N48 ბრძანებულების შესაბამისად დაფუძნდა „სახელმწიფო კომისია სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფისათვის ქალების ხელშეწყობის მიზნით“, რომელიც უნდა ყოფილიყო მთავარი სამეთვალყურეო ორგანო სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად.

1998 წელს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა „საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ - „ქალები განვითარების პროცესში“. აღნიშნული გეგმა პეკინის პლატფორმის შვიდ პრიორიტეტზე იყო აგებული. სამოქმედო გეგმა ცდილობდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაემკვიდრებინა გენდერული თანასწორობა.

სამწუხაროდ, 1999 წელს N511 ბრძანებულების საფუძველზე შემუშავებულმა დებულებამ „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ ვერ მოახერხა სათანადო რეალიზაცია და მხოლოდ ქალთა უმნიშვნელო წინსვლის დასაბამი გახდა.

2000 წლის 25 თებერვლის პრეზიდენტის N64 ბრძანებულების თანახმად შეიქმნა სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ემსახურებოდა ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომელმაც თავისი კვალი დაამჩნია ქალთა წინსვლას. კერძოდ, გაუქმდა ქალთა წინსვლის კომისია, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულმა გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭომ ჩაანაცვლა.

2003 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა პარლამენტის დღის წესრიგში დააყენეს პოლიტიკურ პარტიებში კვოტების შემოღების საკითხი, რომელიც უგულებელყოფილ იქნა კენჭისყრის შედეგად.

2004 წელს პარლამენტის სპიკერის 105/3 ბრძანებულების და გაეროს პროექტის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ გავლენით, გენდერული თანასწორობის საბჭო ჩამოყალიბდა, რომელსაც უძღვებოდა სპიკერი 17 წევრთან ერთად.

2005 წლის 28 ივნისს შეიქმნა „დროებითი სამთავრობო კომისია გენდერული თანასწორობის პრობლემებზე“. კომისიის ამოცანას წარმოადგენდა ეროვნული კონცეფციის შემუშავება და გენდერული თანასწორობის მისაღწევი სტრატეგიის დასახვა.

2006 წელს პარლამენტმა განახორციელა მნიშვნელოვანი სვლა და შექმნა კონცეფცია გენდერულ თანასწორობის შესახებ, რაც ეფუძნებოდა საერთაშორისო დოკუმენტებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონცეფცია საპარლამენტო დონეზე დამტკიცებული პირველი ეროვნული დოკუმენტია, ის უფრო მეტად პრობლემის აღიარებას ემსახურება და არ წარმოადგენს ერთგვარ ქმედით მექანიზმს.[103] ის საერთაშორისო აქტები და დოკუმენტები, რომელსაც კონცეფცია ეყრდნობა:

- ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია;
- სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- პეკინის დეკლარაცია;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325.

კონცეფციის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ ქალსა და მამაკაცს თანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობის საშუალება ჰქონოდათ, აგრეთვე

[103] ჭითანავა ხ. “გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში”. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2009, გვ. 11

სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების შემუშავების გზით სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია განხორციელებულიყო. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს გენდერული თანასწორობის მიღწევა წარმოადგენს, რაც გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების დანერგვას და ამოქმედებას.

საქართველოს ხელისუფლების თვითდაკისრებული ვალდებულების თანახმად, მათ უნდა უზრუნველყონ ქალისა და მამაკაცის უფლებრივი მდგომარეობის განსხვავების მინიმიზაცია. აქედან გამომდინარე, ისინი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას ეცდებიან, რომელიც გენდერული პრინციპების ბაზაზე ფოკუსირდება და აგრეთვე ამ კონცეფციით განისაზღვრება მისი ძირითადი ვექტორები.

გენდერული თანასწორობის მიზნით, საერთაშორისო ვალდებულების, ეროვნული კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების აღსრულებისას მიზანშეწონილია მონიტორინგისა და ანგარიშგების გაკეთება.

გამოდის, რომ საქართველოს მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს სხვადასხვა ეროვნული მექანიზმებისა და გონივრული ღონისძიებების მეშვეობით ეფექტურად განახორციელოს კონცეფციაში ასახული გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულებები. საქართველოს ხელისუფლების გადმოსახედიდან, თანასწორობის პოლიტიკის შემუშავება უნდა მოხდეს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის აზრთა გაცვლის საფუძველზე, რაც გააღრმავებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერის კუთხით.

გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთი პირველადი რეფორმა არის საკანონმდებლო ბაზის გაძლიერება. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში განსაკუთრებით აქცენტი გაკეთდეს

გენდერულ მიმართულებებზე. კერძოდ, შეიქმნას სქესის ნიშნით დისკრიმინაციის უგულებელყოფაზე მორგებული გენდერული პროგრამები, რომელიც აერთიანებს სპეციალური ღონისძიებების გატარებას, სტატისტიკური მონაცემების მოძიებას და გენდერული საკითხების განხილვით დაკავებული სწავლებებისთვის ხელშეწყობას.

საქართველოში ორი გენდერულ საკითხებზე მომუშავე დროებითი სტრუქტურა ფუნქციონირებს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული საკონსულტაციო საბჭო და სამთავრობო კომისია. თუმცა თანასწორობის მიღწევის სირთულიდან გამომდინარე უმჯობესია მუდმივმოქმედი ინსტიტუციური სტრუქტურის დაარსება, რომელიც წარმატებულად იფუნქციონირებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ დონეებზე.

კონცეფციის მიხედვით, გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო ალტერნატივა არის უწყვეტი განათლების სისტემაზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოს ხელისუფლება ეგალიტარული პოლიტიკის გასაძლიერებლად:

- წაახალისოს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობები ყველა დონეზე;
- იზრუნოს მმართველობით და აღმასრულებელ განყოფილებებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ გადანაწილებაზე;
- ყურადღება მიმართოს ქალთა გააქტიურებისკენ კონფლიქტის დარეგულირების საკითხებსა და ქვეყნის აღმშენებლობის პროცესების კუთხით.

კონცეფცია აცხადებს, რომ თანასწორობის პოლიტიკა დიდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებაზე და აგრეთვე მიზანშეწონილი იქნება თუ ხელისუფლება სამართლიანობაზე დაფუძნებულ ბიუჯეტის დაარსებაზე გააკეთებს აქცენტს. კერძო სექტორის განვითარების საწინდარი იქნება სქესთა ბალანსის დაცვა, რაც გამოიხატება საფინანსო და საკრედიტო ვალდებულებების თანაბარ გამოყენებაში.

გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელ გზაზე მნიშვნელოვან კატალიზატორად გვევლინება უწყვეტი განათლება. ხელისუფლებამ, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს, როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი განათლება, ამასთან, შეძლოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

2007 წლის 20 ივლისს N97/3 ბრძანებულებით განახლდა გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო და დამტკიცდა ეროვნული სამოქმედო გეგმა (2007-2009).

2008 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტს წარედგინა ჯგუფის ინიციატივა, რომელიც ემსახურებოდა პოლიტიკურ პარტიებში კვოტების დანერგვას. მისი შემოღების შემთხვევაში, პარლამენტის ყოველი მეორე წევრი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნებოდა.[104]

აღსანიშნავია, რომ 1995 წლიდან მოყოლებული არაერთი ნაბიჯი გადაიდგა თანასწორუფლებიანობის მოპოვების კუთხით. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობამ ნაყოფი გამოიღო და 2006 წელს შეიქმნა კონცეფცია, ხოლო 2009 წელს - კანონპროექტი.

[104] ჯავახიშვილი ნ. „წინააღმდეგობა პოზიტიური ქმედებისადმი: სტუდენტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების პოზიციები“. თბილისი, 2009, გვ. 19

2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონპროექტი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტის შესაქმნელად ძალისხმევა გაწიეს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარესთან არსებულმა საკონსულტაციო საბჭომ, UNDP-მ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. კანონი ხელს უწყობდა გენდერული სტატისტიკის დამუშავებას, მუდმივმოქმედი ორგანოსა და უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის შექმნას.

საკანონმდებლო პაკეტი მოიცავს გარკვეულ ცვლილებებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კუთხით, რომელიც დამნაშავეებს შესაბამის ვალდებულებას აკისრებს გენდერული თანასწორობის დარღვევის ჭრილში. ამასთანავე, პაკეტი შეიცავს გარკვეულ ცვლილებებს ამ კანონიდან გამომდინარე განვითარებულ საკანონმდებლო აქტებში.

კანონში ფოკუსი კეთდება შემდეგ მიმართულებებზე, ცვლილებების შეტანის მიზნით: სოციალური და დასაქმების სფერო, საოჯახო ურთიერთობები, განათლების და ჯანდაცვის სფერო.

კანონში აგრეთვე ხდება პრობლემის არტიკულირება საოჯახო ურთიერთობების მიმართულებით, ხაზს უსვამს, რომ ქალი და მამაკაცი პირადი და ქონებრივი უფლებების თანაბარი მოსარგებლენი არიან და აგრეთვე შესაძლებლობა ეძლევათ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხი თვითნებურად გადაწყვიტონ. საინტერესოა, რომ კანონი განსაკუთრებულად კონცენტრირდება თანაბარ ქონებრივ საკითხებზე, რადგან მიუხედავად ქალისა და მამაკაცის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური რესურსების წვდომისა, ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უმეტესად მემკვიდრეობის გადაცემა მამაკაცის სასარგებლოდ წყდება.

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ იქნა კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ. ამ კანონის

ინტერესებშია, რომ აღმოფხვრილ იქნას დისკრიმინაციული ქმედებანი, ამასთან, ერთგვარი სარჩულის შექმნა მამაკაცისა და ქალის თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის რეალიზაციისათვის.

საქართველოს კანონმდებლობა მხარს უჭერს ქალთა რაოდენობის გაზრდისკენ მიმართულ პოზიტიურ ღონისძიებების გატარებას.[105] გენდერული კვოტირების საკითხი საქართველოში 1999 წლიდან შემოვიდა პარლამენტში განსახილველად და ეს მასკულინური ბარიერი მხოლოდ მეექვსე მცდელობის შემდეგ, 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღებით გადაილახა. ცვლილებები გულისხმობდა სავალდებულო გენდერული კვოტირების დაწესებას პოლიტიკური პარტიებისთვის მომავალი ოთხი საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში. კერძოდ, ინიციატივის თანახმად, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი სია, რომლის ყოველ ოთხეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. 2028 წლის 28 ოქტომბერს და მის შემდგომ, 2032 წლამდე, ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი პარტიული სია, რომლის ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. რაც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობების დონეს, პროპორციულ სიაში ყოველი მეორე უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. თუმცა 2021 წელს პარლამენტმა არსებითად შეცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტიული (პროპორციული) სიების შედგენის წესი და ცვლილების თანახმად: პოლიტიკური პარტია ვალდებული იქნება 2028 წლამდე ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა არჩევნებისთვის ისე შეადგინოს პარტიული სია, რომ სამი კანდიდატიდან ერთი მაინც იყოს განსხვავებული

[105] საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ, 30-ე მუხლი.

სქესის წარმომადგენელი, რამაც არსებითად გააუარესა საარჩევნო კოდექსის არსებული ნორმა.

მსოფლიოში დანერგილი პრაქტიკიდან გამომდინარე, ქალების პოლიტიკაში ინტეგრაციის საწინდარია ეგალიტარული პოლიტიკის დემონსტრირება და საზოგადოებრივი მასების აქტიურობა ქალების ემანსიპაციის პროცესში.[106] უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა რაოდენობის გაზრდაზე მორგებული და წარმატებული ეროვნული მექანიზმები არსებობს. კერძოდ:

- პარტიული კვოტა, რაც პროპორციული საარჩევნო სისტემით ქალების რაოდენობის ზრდას გულისხმობს პარლამენტში. მას ქალთა რაოდენობის გაზრდის რეალურ ბერკეტად მოიაზრებენ, რომელიც ხანმოკლე დროში აღწევს დასახულ მიზანს;
- სახელმწიფოს მმართველობის გადასვლა მაჟორიტარულიდან პროპორციულ წარმომადგენლობაზე.

აღსანიშნავია, რომ გენდერული კვოტის ეფექტურად მუშაობის შემთხვევაში, ის ფოკუსირდება ქალთა სამართლიანი წარმომადგენლობის უზრუნველყოფაზე, სტრუქტურული ჩაგვრის აღმოფხვრის ხელშეწობასა და დემოკრატიის დეფიციტის მინიმიზაციაზე. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერების კომპენსირებისა და მათი აქტივაციის უზრუნველსაყოფად, არსებითი თანასწორობის მიღწევის ეფექტური მდგენელი გახდა სავალდებულო გენდერული კვოტა, როგორც ქალთა პოლიტიკური სიჩუმისა და წარმომადგენლობის დეფიციტის პასუხი სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში.[107]

---

[106] Феминизм: перспективы социального знания, 1993, стр. 11

[107] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), გენდერული კვოტა და მისი მნიშვნელობა, თბილისი, 2020, გვ. 3

თუმცა კვოტირების სისტემას ხშირად აკრიტიკებენ მისი ბუნებიდან გამომდინარე. კრიტიკოსები ამბობენ, რომ აღნიშნული ქმედება უსამართლოა მამრობითი სქესის მიმართ, რადგან ხელისუფლებაში მოდიან არაკვალიფიციური კანდიდატი ქალები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მზად კონსტრუქციული მიმართულებით სვლისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად 1995 წლიდან დღემდე არაერთი ქმედება განხორციელდა, ზოგადი ფონი მეტ-ნაკლებად უცვლელი რჩება. საქართველოს კანონმდებლობის გენდერულად ნეიტრალურმა ცნობიერებამ, სათანადო გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების არარსებობამ განაპირობა საქართველოს გენდერული თვალსაზრისით შეფერხება. პარალელურად, გენდერული თანასწორობის განვითარებას ოდიოზური კვალი დაამჩნია ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული როლების შესახებ გავრცელებულმა ტრადიციულმა შეხედულებებმა.

ცნობისთვის, გარკვეული სფეროები მგრძნობიარე ცვლილებების გატარებას საჭიროებს ქალთა ჩართულობის ზრდის მასშტაბების მიმართულებით:

- ქალთა გააქტიურება ადგილობრივ და საპარლამენტო თვითმმართველობის არჩევნებში;
- ქალთა დასაქმება აღმასრულებელ ორგანოში.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იზრუნოს გენდერული თანასწორობის მიღწევასა და სამართლიანობის პრინციპის გამოყენებაზე დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში. საქართველოს მთავრობამ გამოხატოს პოლიტიკური ნება და თანასწორუფლებიანობის მისაღწევად კანონში თუ კანონქვემდებარე აქტებში რეალური მექანიზმები ჩადოს, რაც უზრუნველყოფს სიტუაციის თანდათან

გარდასახვას და ქალის ჩართულობას საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვა შემთხვევაში ყველა გატარებული სამართლებრივი რეფორმა ჩაითვლება ქვეყნის წინაშე აღებული საერთაშორისო ვალდებულებების გამოხატულებად.[108] სახელმწიფომ საზოგადოების გენდერული გათვითცნობიერების მიზნით უნდა გააძლიეროს განათლების დონე, მიმართოს საინფორმაციო კამპანიებს. ამასთანავე, პრობლემის გადაჭრის პრიორიტეტულ გზას წარმოადგენს განათლების თანაბარი შესაძლებლობები. ხელისუფლების მიერ გატარაბულმა რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ქალებისა და მამაკაცებისათვის უწყვეტი განათლების მიცემა, როგორც საბაზისო, აგრეთვე უმაღლესი განათლების დონეზე.

მიზანშეწონილია უთანასწორობის აღმოფხვრა სპეციალურად მისთვის განკუთვნილი ღონისძიებების საშუალებით, სტატისტიკური მონაცემების მოძიება და ანალიტიკური შეფასება, სქესთა დისკრიმინაციის შესახებ განხორციელებული კვლევების დაფინანსება და მხარდაჭერა.

იქიდან გამომდინარე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გენდერულ საკითხებში გაწეული ღვაწლი დიდია, რაც გამოიხატება გენდერული ბალანსის მისაღწევად გატარებულ ღონისძიებების ინიცირებასა და ლობირებაში, მიზანშეწონილი და გამართლებული ქმედება იქნება ხელისუფლების მიერ მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციები ოპერირებდნენ ჰუმანიტარული პროგრამების გაძლიერების მიმართულებით, ბოლო დროს ისინი ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისაკენ იხრებიან. ამასთანავე, აუცილებელ მექანიზმს წარმოადგენს მასმედიის მხარდაჭერა თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებისათვის. მასმედიას შეუძლია

[108] ჭითანავა ხ. "საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა გენდერული თანასწორობის სფეროში", გვ. 16

პრობლემის არტიკულირება და მიზანმიმართული პროპაგანდის გატარება არსებული პრობლემის გარშემო. თუმცა დღეს მასმედიას არასამთავრობო ორგანიზაციების სტატისტიკა და ცხრილები მოსაწყენი ეჩვენებათ, რაც იწვევს სხვა უფრო აქტუალური საკითხების წინა პლანზე წამოწევას.

და ბოლოს, მნიშვნელოვანი ბარიერები გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე:

- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;
- გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმების ნაკლები ეფექტიანობა;
- ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ნეგატიური გავლენა;
- სამშვიდობო პროცესებში ქალთა ჩართულობის უგულებელყოფა;
- სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ ფორმალურად შესრულებული საერთაშორისო ვალდებულება;
- პოლიტიკურ პარტიებში ნაკლებად განვითარებული შიდა პარტიული დემოკრატიის გამო გამოწვეული ქალების შეფერხება შიდა პარტიულ იერარქიებში;
- საარჩევნო კოდექსის პასიური მიდგომა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა როლის გაზრდისადმი.

საქართველოს ხელისუფლებამ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სახელმწიფო კონცეფციის უზრუნველსაყოფად:

- გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებისათვის სპეციალური ღონისძიებების დანერგვა;
- ყველა სახელმწიფო სტრატეგიაში გენდერული ელემენტების შეტანა;

- შემუშავებული ღონისძიებების სისტემატური კონტროლის განხორციელება, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმის დაარსება.

II.III ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმის მახასიათებლები

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სფეროების განვითარების პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხარისხი მეტად მცირეა. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ისევ ეთნიკურ ცნობიერებაში უნდა ვეძებოთ - ქალები არ აღიქმებიან თანასწორუფლებიან პარტნიორებად და მათი პროფესიული, ინტელექტუალური და პირადი ღირსებები სათანადოდ არ ფასდება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რეალურად არ არსებობს გენდერული თანასწორობა, რადგან კანონმდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, თუ იგი განმტკიცებულია მთელი რიგი ღონისძიებებით, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სფეროში ერთდროულ ფუნდამენტურ გარდაქმნებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალებს აქვთ ხმის უფლება, საარჩევნო პროცესებში მათი მონაწილეობა კიდევ უფრო დაბალია. გაბატონებული შეხედულება, რომლის თანახმად ქალთა აქტიურობა პოლიტიკაში არც ისე სასურველია - იგი მხოლოდ დიასახლისად, მზრუნველ დედად, მეუღლედ და ქალიშვილად მოიაზრება, განაპირობებს ამ მდგომარეობას.[109]

საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებობს გარკვეული ასიმეტრია კაცისა და ქალის, როგორც წამყვანი პოლიტიკოსისა და ხელმძღვანელის შეფასებაში. ერთი მხრივ, როგორც წესი, საზოგადოების მიერ საკმაოდ რთულად აღიქმება ქალის შესაძლებლობები, როგორც ლიდერისა, დამოუკიდებელი და ობიექტური პიროვნებისა, რომლებიც თავისი გამჭრიახობით, გონებრივი შესაძლებლობებით, მასშტაბურად ფიქრისა და პოლიტიკური მანევრირების უნარით არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს. მეორე მხრივ, ხელმძღვანელი მუშაკის სტერეოტიპული მოდელი, რომელიც აგებულია „მამაკაცური“ სტანდარტის საფუძველზე, ქალთა გარკვეული გარდასახვის და მათი „მასკულინიზებული“

[109] Kanter R. M. „Men and Woman of the Corporation“. New York: Basic Books, 1977, p. 73

მოდელის შექმნის საწინდარია. აღსანიშნავია, რომ ქალები ცდილობენ მუშაკის სტერეოტიპული მოდელის მიხედვით შექმნან ქალი-ლიდერი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიხისტე, მედიდურობა, თვითდაჯერებულობა და რამდენადმე მოქნილი ქმედებანი, აგრეთვე ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ ტანსაცმლისა და ქცევის მანერის თანხვედრაში მოყვანას მამაკაცის ქმედებებთან.

ქალის ცხოვრებისეულ ციკლზე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა მხარე, საზოგადოებრივი ყოფის ყველა ელემენტი და ფაქტორი. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ქალების მიმართ უფრო მკაცრი მორალური სტანდარტები და შეფასების კრიტერიუმები არსებობს, ვიდრე მამაკაცების მიმართ. როგორც წესი, მათ გაცილებით უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, ვიდრე მამაკაც პოლიტიკოსებს. ქალს უნდა ჰქონდეს კოსმოპოლიტურ-გლობალისტური აზროვნება, ინტელექტი და ორგანიზატორული შესაძლებლობანი, აგრეთვე მისი როლი უნდა იყოს მნიშვნელოვანი საზოგადოების კონსოლიდაციის და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში.[110] შედეგად კომპრომეტირებულია ქალი-ლიდერის იდეა. ფანი ჰერსტის მტკიცებით, „ქალი კაცზე ორჯერ უფრო უკეთესი უნდა იყოს, რომ მიაღწიოს ორჯერ უფრო ნაკლებს“. ზემოაღნიშნული ვითარების შეცვლის მიზნით, სასურველია დღის წესრიგში დადგეს ტრადიციულად გამომუშავებული ნორმებისა და ქცევის ჩვეული რიტუალის შეცვლა.

აღსანიშნავია, დღეს სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება პოლიტიკაში ქალური სუბკულტურის შემოღების შესახებ, როდესაც ერთად იქნება მამაკაცური ძალა, სწრაფვა ბატონობისაკენ და ქალის საწყისი - აღზრდა, დაქვემდებარება აქტიურობის სტიმულირების გზით. აღნიშნულმა ახალი

[110] ლაზარაშვილი ე. (2014) „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, თბილისი. იხ. http://www.intermedia.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2021.

პოლიტიკური წესრიგისაკენ, ქალის როლისა და სტატუსის ცვლილების, მისი ინტელექტუალური პოტენციალის სრული გამოყენებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნისაკენ უნდა მიგვიყვანოს.

XX საუკუნემ პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვანი ძვრები განახორციელა. ქალები ეკონომიურად დამოუკიდებლები გახდნენ, რამაც გარკვეული პოზიტიური ელფერი შესძინა გარემოს. დღეს ქალებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მართონ თავისი ბედი. მამაკაცების მიერ შემუშავებული პარადიგმული წესი დიდად არ შეცვლილა. ეკონომიკურად და პოლიტიკურად საზოგადოებას კვლავ მამაკაცი მართავს, ხოლო ქალი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ქალების ეპიზოდური გამოჩენა მართვის ორგანოებში ხელმძღვანელის თანამდებობაზე საერთო სურათის ცვლილებას რეალურად ვერ ახერხებს, რადგანაც გარემო და ღირებულებრივ-მსოფლმხედველობრივი კლიმატი „მამაკაცური სულით არის გაჟღენთილი“.[111]

მამაკაცები მიმდინარე პროცესებს ხშირად ძალაუფლების დამახინჯებული პრიზმიდან აანალიზებენ, რის შედეგადაც ძალაუფლება მათთვის თვითმიზნად არის ქცეული. ჩვენი ეპოქისათვის კი, რომლისთვისაც ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ „ძალისა“ და „ფლობის“ სტრატეგიული პარადიგმა არ გამოდგება. აუცილებელია ისეთი პარადიგმა, რომელიც დამყარებული იქნება არა „ფლობაზე“, არამედ „ყოფაზე“ და გაითვალისწინებს რაციონალურისა და ემოციურ-ინტუიციურის ერთიანობას. აღნიშნულ იმპერატივს კარგად ერგებიან ქალები, რადგანაც მათ ბუნებით უფრო ჰარმონიული სტრუქტურა აქვთ და შეუძლიათ, რომ გაითვალისწინონ ფლობასა და ძალაზე დამყარებული ცივილიზაციის პრინციპული ხარვეზები.[112]

---

[111] Хорни К. “О психологии женщины, Психология и культура”, 1995, стр. 234

[112] Elias N. „On Human Beings and Their Emotions: A Process – Sociological Essay“. 1987, p. 48

სქესის პრობლემა აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც ცივილიზაცია ისეთი პრინციპული სიძნელეების წინაშე დგება, რომლებიც ვერ გადაიჭრება არსებული პირობებისა და კულტურული ნორმების ჩარჩოებში. სწორედ ინდუსტრიული ცივილიზაციის კრიზისულ სიტუაციაში, რომელმაც სხვადასხვა სფეროში იჩინა თავი, აიძულა საზოგადოება მიემართა გენდერული პრობლემისათვის. ამერიკელი ფემინისტი ქალი ანე კენტ რუში თავის წიგნში „ფემინიზმი და თერაპია“ (1974 წ.) წერს, რომ ფემინიზმი პოლიტიკის თერაპიად მოგვევლინა, იგი მას მორალური დაცემისაგან იხსნის. ეს შემთხვევით არ არის და რთულ სიტუაციაში, რომელიც თავადვე შექმნეს, მამაკაცები ყოველთვის ქალებს მიმართავენ.[113]

მრავალი ქვეყნის კონსიტიტუციაში დაფიქსირებულია ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივ, კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში. არცერთი ქვეყნის პრეროგატივა არ ყოფილა ისეთი სამართლებრივი აქტის შემუშავება, რომლის დღის წესრიგში იდგებოდა ქალების პოლიტიკურ და მმართველობით სტრუქტურებში მონაწილეობის შეზღუდვა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის სინამდვილეში იქმნებოდა ნორმატიული აქტები სხვადასხვა შრომითი შეღავათის შესახებ, რაც პირდაპირ კავშირშია მშობლის ინსტიტუტთან და ფოკუსირდება მხოლოდ ერთ მშობელზე - დედაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ქალს უხდება ოჯახური და სამსახურებრივი ფუნქციების შეთავსება და, შესაბამისად, ეძლევა გარკვეული შეღავათები, ის არ აღიქმება მმართველობით სტრუქტურებში საიმედო კანდიდატად. მაშასადამე, ქალი ითვლება არასაიმედო კანდიდატად, რომელმაც ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება ვერ მოახდინოს სათანადო მობილიზება, სამუშაო გარემოზე კონცენტრირება.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მოქმედებაში მოდის სოციალურ-კულტურული ნორმაც, რომელიც

[113] Rush A. K. „Feminism as Therapy“. New York: Random House, 1974, p. 12

საჭიროებისამებრ არეგულირებს ადამიანის ქმედებას გარკვეულ სიტუაციაში და გეზს აძლევს სწორი მიმართულებით სვლისკენ. მის საფუძველს წარმოადგენს შეზღუდვები და აკრძალვები, რომელთა გამოყენებით საზოგადოება ცდილობს თავისი წევრების ქმედებათა სტანდარტიზება მოახდინოს. ამრიგად, იგი შეიცავს დადებით განაწესსაც, რომელიც დაგეგმარებას უწევს ადამიანთა ქმედების სწორი მიმართულებით განვითარების პერსპექტივებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. ამ ნორმების შესრულებას მეტწილად განაპირობებს შინაგანი ფსიქოლოგიური განაწესის არსებობა. ლიდერის ქცევის ნორმები საზოგადოების სოციო-ნორმატიული კულტურით არის შთაგონებული.

ყურადსაღებია ი. კონის ნააზრევი იმის თაობაზე, რომ სქესთა შორის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათი დამოკიდებულია არა იმდენად შრომის განაწილებაზე სქესის მიხედვით, რამდენადაც ძალაუფლების განაწილების მიმდინარეობასა და საზოგადოების აღქმადობის მასშტაბზე მამაკაცისა და ქალის მიერ შეტანილი ორგანული წვრილის მიხედვით.[114]

ტრადიციული დამოკიდებულება ქალისადმი მთელი სიცხადით მმართველობითი სფეროში ვლინდება. აღსანიშნავია, რომ იგი მოიაზრება ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და პრივილეგირებულ დარგად, რომელიც მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს უზრუნველყოფს [115]

ქალთა პოზიციების გამყარება და მმართველობით რგოლში მოხვედრა ცხადყოფს მათ მიერ რამდენიმე ფაქტორთან გაცნობის საჭიროებას. კერძოდ, პროფესიული ზრდა და პროფესიული კომპეტენტურობა, ინდივიდის კონკურენტუნარიანობა, სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროს სტრუქტურის ხარისხი.

---

[114] Almond G., Powell B. „Dalton Comparative Politics Today“. A World View. 2008, p. 44

[115] ზურიკაშვილი ფ. „ქალი და პოლიტიკა”. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 1999, გვ. 2

საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც მაღალ პასუხისმგებლობასა და დროის ზედმეტ დანახარჯს მოითხოვს. იმისათვის, რომ ქალს მიეცეს პოტენციალის ზრდის, ინდივიდუალიზმის წარმოჩენისა და რეალიზაციის პროცესის დაჩქარების საშუალება, უნდა მოხდეს მისი სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროს და გარემო პირობების კარდინალური გარდაქმნა. ამრიგად, ვითარების ეპისტემოლოგიური და სოციალურ სამართლიანობის პრიზმიდან შეფასება ნათელს ფენს ქალის პირადი სივრცისა და სამსახურის დაბალანსების აუცილებლობას, რადგან ქალმა მაქსიმალურად გაითავისოს საკითხის სიღრმე და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაც შეძლოს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალის ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯს ახალი სოციალური როლის ათვისების გზაზე თან სდევდა უარყოფითი განწყობა და კრიტიკის ქარცეცხლში გავლა, ისინი არ წყვეტდნენ განათლებისთვის, სამუშაოსთვისა და პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლას. საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში სადაც მაღალ თანამდებობრივ პოსტებს იკავებენ ქალები, მეტად მშვიდობიანი და სტაბილური გარემოა. ამრიგად, მმართველობით სტრუქტურაში დაფიქსირებულ ქალთა მინიმუმ 40%-იანი წარმომადგენლობის შემთხვევაში საზოგადოება უფრო სტაბილურად ვითარდება და სოციალურად არის ორიენტირებული, რასაც უზრუნველყოფს ქალების მხრიდან კონფრონტაციის ნაკლებობა და საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების ალტერნატივის მხარდაჭერა. მართვის პროცესში ქალები ნაკლებად ავტორიტარულები არიან და ხშირად უარს ამბობენ ძვირადღირებული ანტურაჟის შექმნაზე. მაშასადამე, ქალებს პოლიტიკაში შემოაქვთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღირებულებები და დამატებითი კომპეტენტურობა. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, ამერიკელი ანთროპოლოგი უ. მონტეგიუ თავის წიგნში „ქალის ბუნებრივი უპირატესობა“ წერდა, რომ ინტელექტუალობის საშუალო კოეფიციენტი

ქალებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. ისინი თავიანთ ინტელექტს უკეთ ინარჩუნებენ, უფრო ემოციურები არიან, დიდხანსაც ცხოვრობენ.

სხვადასხვა გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, მეტად გაჯერებულნი არიან ალტრუისტული ელემენტებით გაჭირვებულ ფენასთან მიმართებაში. ისინი ყოველთვის განსაკუთრებულ მზაობას გამოთქვამენ, გულდასმით ეკიდებიან ადამიანების პრობლემებს. უფრო მეტიც, საზოგადოების გაჭირვების ჟამს, მათ შესწევთ უნარი არსებული პრობლემები უფრო ადვილად მიაწოდონ ხელისუფლების წარმომადგენლებს და, რაც მთავარია, მათი გადაჭრაც აიძულონ. გამოდის, ქალების ჰაბიტუსი გაჯერებულია სიტუაციის კონსტატაციის უნარით და აგრეთვე ორიენტირებულია მისი მიზნობრივი აუდიტორიის მიმართვისკენ.

განსხვავებულია ინფორმაციის აღქმა ქალისა და მამაკაცის მიერ, რაც ნიშნავს, რომ ქალს უფრო ხელეწიფება მსმენლის როლის მორგება. იმ დროს, როდესაც მამაკაცი მხოლოდ საუბრის ინფორმაციულ დონის გაანალიზებას ახდენს, ქალი - ორიენტირებულია მოსაუბრესთან უკუკავშირზე.[116]

აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსი ქალი ფლობს უფრო რთულ იმიჯს, ვიდრე მამაკაცი. ერთი მხრივ, მას უნდა ჰქონდეს მასკულინიზებული იმიჯი და მამაკაცური თვისებები, რაც მის სიხისტეში იქნება გამოხატული და, მეორე მხრივ, უნდა ხდებოდეს მათი ქალურობის ხაზგასმა. გამოდის, რომ ამგვარი პულსირებული იმიჯი განაპირობებს პოლიტიკოსი ქალის იმიჯის ანალიზის სირთულეს. სწორედ ამიტომ, რთულია ქალის რეალური იმიჯის გაგება, ვინაიდან ის სიტუაციიდან გამომდინარე ირჩევს საჭირო როლს.

ფაქტია, რომ ქალებს მრავალი ბარიერის დაძლევა უწევთ პოლიტიკური კარიერის გზაზე. კერძოდ, სულიერი და ფსიქოლოგიური განწყობების (თვითრწმენის ნაკლებობა, დამარცხების და სიმულაციების ქსელში გაბმის

[116] ლომაია ნ. „გენდერის საკითხები“. თბილისი: უნივერსალი, 2009, გვ. 4

შიში, პოლიტიკისადმი უნდობლობა) და პრაქტიკულ-ყოფითი (დროის სიმწირე, დაფინანსების არქონა, მიზანშეწონილ ტრენინგებთან უკონტაქტობა) სიძნელეების გადალახვა დგას მათ დღის წესრიგში.[117]

თუმცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალების ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად ჩამორჩება მამაკაცებისას. აქედან გამომდინარე, ქალებს უწევთ ყოველდღიური ბრძოლა არსებობისთვის და, ძირითადად, ნაკლებად ფიქრობენ პოლიტიკურ კარიერაზე. აღსანიშნავია, რომ ქალებისთვის, თვით ყველაზე განვითარებად ქვეყნებშიც კი, მატერიალური მხარდაჭერის ნაკლებობა განუზომელ ბარიერს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ საუბრობენ ქალებისა და მამაკაცების პოლიტიკაში თავის დამკვიდრების თანაბარ შესაძლებლობებზე, თუმცა რეალობას ნაკლებად შეესაბამება, რადგან ოჯახური ცხოვრების თანმხლებ მარწუხებში ძირითადად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ექცევიან. გამოდის, ქალებზე ორმაგი დატვირთვა მოდის და, თავის მხრივ, ეს ყველაფერი აძნელებს მათ პოლიტიკურ ცხოვრებაში შესვლის შესაძლებლობას, ამასთან, ქალს გაცილებით დიდი ძალისხმევა სჭირდება საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

პოლიტიკურ პარტიებში ქალების ნაკლებობას მათი დაკავებულობით ხსნიან, აგრეთვე ხაზს უსვამენ ქალების ნეგატიურ დამოკიდებულებას შეკრებებთან მიმართებაში. თუმცა, იმ ქვეყნებშიც კი, რომელთა პოლიტიკურ პარტიებში ქალების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, არ შეიმჩნევა არანაირი ძვრა ოჯახური პასუხისმგებლობების გადანაწილების კუთხით.

არსებული დაბრკოლებების მიუხედავად, ქალები მედგრად იღებენ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილებას. ისინი ხაზს უსვამენ, მამაკაცების

[117] ბანჩი შ. „ქალის ადამიანის უფლებები/გენდერული თეორიების ანტოლოგია“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2002, გვ. 16

ტრადიციულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ქალის ადგილი მხოლოდ და მხოლოდ ოჯახისა და შვილების მოვლით შემოიფარგლება.

იმ შემთხვევაში, თუ ქალები მყარად იცავენ საკუთარ პოზიციას, მაშინ პარტიათა წარმომადგენლები ზოგადი და პარტიაში დამკვიდრებული კანონების დარღვევაში სდებენ ბრალს. უფრო მეტიც, ქალთა დავალებათა დიაპაზონი მოიცავს ნაკლებად პრესტიჟულ სფეროებსა და ისეთ ადგილებს, სადაც ქალთა მონაწილეობა მხოლოდ სტატისტიკისთვისაა საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ ქალების რაოდენობის გაზრდას საპარლამენტო სივრცეში მამაკაცების სიტყვიერი თანხმობა აქვს დართული, მათი თანხმობის პრაქტიკაში დანერგვა და ამ სისტემის მხარდაჭერის დეკლარირება არ ხდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქალების რაოდენობის ზრდა პირდაპირპროპორციულია მამაკაცების რაოდენობის შემცირების. მამაკაცების გადმოსახედიდან, ადამიანები თანამდებობაზე გამოცდილებისა და კომპეტენტურობის მიხედვით უნდა ინიშნებოდნენ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალი ან მამაკაცია.

ქალებს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უწევთ პოლიტიკაში ინტეგრირების გზაზე და, განსაკუთრებით, ეს ვლინდება საარჩევნო სიის პირველი ადგილებზე ჩაწერის მცდელობის პროცესში. სირთულის პირისპირ აღმოჩნდებიან, თუ მათთვის განკუთვნილ ადგილს უმიზნებს სხვა ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წევრი მამაკაცი. ამასთანავე, ქალები გარკვეულ სირთულეს აწყდებიან მხარდამჭერისა და სპონსორის მოძიების ჟამს.[118]

ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედვით, ქალები რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რა თქმა უნდა, აწყდებიან სხვადასხვა ბარიერებს, რაც მათი მხრიდან მყისიერ რეაგირებას მოითხოვს სიტუაციის შესაცვლელად. კერძოდ, ძლიერი კანონმდებლობის არარსებობა, საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი

[118] Gordon A. D., Buhle M. J., Dye N. S. "The Problems of Women's History". ed.: Liberating Women's History, 1976, p. 56

სტერეოტიპები, უდროობა და უსახსრობა. ზემოაღნიშნული ბარიერები კოლოსალურად აფერხებს ქალების წინსვლას, რადგან ისინი ვერ უზრუნველყოფენ მხარდამჭერებისა და პოტენციური სპონსორების მოძიებას, რომელზე დაყრდნობაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რეალობასთან შეუსაბამოა, რომ პარტიები ქალთა უფლებების შეძლებისდაგვარად გაზრდაზე ფიქრობენ. მნიშვნელოვანია, რომ პარტიის ლიდერებს ჰქონდეთ პოლიტიკური ნება, რომელსაც მიზნობრივად გამოიყენებენ. სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ-ტრადიციულ მდგომარეობას საფრთხეს უქმნის ქალის ჩამორჩენა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე მათ რიგებში მათ ნება-სურვილზე უფრო ყოვლისმომცველ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ისინი თვლიან, რომ მხოლოდ პოლიტიკური ბარიერები ქალებს ღრმა კვალს ვერ დაამჩნევდა.[119]

პოლიტიკური სივრცის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა გააქტიურება უნდა მოხდეს ორგანიზებული ჯგუფების ინიცირების გზით. ერთ-ერთ საუკეთესო სტრატეგიად მიიჩნევენ ქალების წახალისებას, რომ მათი წინსვლისკენ სწრაფვის სურვილი გამძაფრდეს, რაც გამოიხატება დატრენინგებასა და არსებული პოლიტიკისათვის საჭირო უნარების დახვეწაში, რათა კონკურენცია გაუწიონ მამაკაცებს.[120]

მრავალ ქვეყანაში არ აღიარებენ ბარიერებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წილი მიუძღვით ქალთა პოლიტიკურ ასპარეზზე პასიურობაში. თუმცა, იმ ქვეყნებში, სადაც პრობლემის აღიარება ხდება, მამაკაცები გამოსავლის ძიების ნაცვლად თავის გამართლების მეთოდს მიმართავენ. იმ შემთხვევაში, თუ

[119] კიკნაძე თ. „კულტურა, სქესი, რელიგია“. თბილისი: „ღია საზოგადოება - საქართველო“, 2005, გვ. 13
[120] ქალის უფლებები. II ნაწილი - საკითხები საოჯახო კანონმდებლობიდან, 2004, გვ. 5

პოლიტიკას გენდერულად ნეიტრალურად მონათლავენ, დაიკარგება ქალებისა და მამაკაცების ინდივიდუალურად აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.

დღესდღეობით, გენდერული ასიმეტრია არსებობს პოლიტიკურ სივრცეში, რაც ვერ აღმოიფხვრება განათლების პრაქტიკის დამკვიდრების გარეშე (ქალთა ლიდერობის სკოლები, ტრენინგები. და სხვ.). აღნიშნული სკოლების დაარსების ინიციატორი შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები ან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები.[121] პარტიებს შორის ან არაპარტიულ დონეზე მოწყობილი სწავლებები შესაძლოა ორიენტირებული იქნეს საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევებზე, საარჩევნო კამპანიის წარმოებაზე, საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობებზე, დონორების მოზიდვის ხერხებზე და ა.შ.

პოლიტიკური კარიერის მენეჯმენტში მიზნობრივი სწავლების კურსის გავლის შემდეგ ქალების უმეტესობას ემატება საკუთარი თავის რწმენა და პოლიტიკურ ცხოვრებაში შესვლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს იძენენ. თუმცა, ქალები იმასაც აღიარებენ, რომ მხოლოდ სწავლება ვერ შეძლებს სიტუაციის გამოსწორებას, სხვა ბევრი სირთულის გადალახვაც მოუწევთ პოლიტიკური კარიერისკენ მიმავალ გზაზე. ამასთანავე, გარკვეულ შემთხვევებში, ქალები ფიქრობენ, რომ მათი მუდმივი დატრენინგება დასტურია იმისა, რომ ქალები იმგვარ მოწოდების სიმაღლეზე არ დგანან, როგორზეც მამაკაცები, მათ მუდმივი სწავლება ესაჭიროებათ. ისინი ვერ ხსნიან თუ რატომ არ უხდებათ მამაკაცებს იგივე ეტაპების გავლა.[122] სხვანი, მეტად კონსერვატულად განწყობილნი, აცხადებენ, რომ რიგ საკითხებში მრავალი ქალის

[121] რუსეცკი ე., გოგოლაძე თ. "საქართველოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასება", კვლევის ანგარიში, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011, გვ. 2

[122] შულერი მ. „ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ". თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი", 2001, გვ. 5

კომპეტენციისა და სივრცული აზროვნების შესაძლებლობის მიუხედავად, ისინი მაინც საჭიროებენ პროფესიულ დონეზე გადამზადებას სპეციალური პოლიტიკური ინსტრუმენტული ტაქტიკა-სტრატეგიების მეშვეობით, რაც განაპირობებს მათი რწმენისა და თვითდაჯერებულობის გაზრდას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს მეურვეობა (მენტორობა). აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ქალებისთვის გამოცდილების გაზიარებას უკვე შემდგარი და წარმატებული ქალი პარლამენტარების მხრიდან. მიზნობრივ სწავლების მეშვეობით ქალები უფრო თეორიული მიმართულებით ვითარდებიან, ხოლო მსგავსი სწავლებისა და გამოცდილების გაზიარების მეთოდი ქალებს საშუალებას აძლევს, გათვითცნობიერდნენ პოლიტიკური ცხოვრების იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც მათ მიერ გავლილ კურსებზე არ განიხილებოდა. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტარი ქალები მეურვეობას უწევდნენ პრეტენდენტებს, აგრეთვე არ იშურებდნენ პრაქტიკულ რჩევებსა და მორალურ მხარდაჭერას.

არსებობს ურთიერთმოლაპარაკების სხვადასხვა თანამედროვე სკოლები. საყურადღებოა, მოლაპარაკების აღმოსავლური სტილი სახეცვლილია დასავლური სტილისგან. აღმოსავლური სტილის თანახმად, წინა პლანზე წამოწეულია კარგი ურთიერთობის დამყარება მომლაპარაკებლებს შორის, შემდეგ პრობლემის შეცნობა და გადაჭრა. დასავლეთის მოდელის მსოფლმხედველობით, ყურადღება უნდა დაეთმოს პრობლემას და არა ინდივიდთა ურთიერთობებს. პოლიტიკოს ქალს, როგორც წესი, იმპულსურობა არ შეშვენის, რაც ჩვეულებრივ მისი ერთ-ერთი მახასიათებელია. უფრო მეტიც, მათი ხასიათის მრავალფეროვნება უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ ანალიზს, რადგანაც მათ გამოსვლა უწევთ პოლიტიკაში არსებული წესების ჩარჩოებში. ამასთანავე, საპასუხისმგებლო შეხვედრისას ქალები უნდა იყვნენ მრჩეველთა გარემოცვაში, რომლებიც მოხაზავენ

მოქმედების კონტურს, ხოლო მიმიკები, გამოხედვა და არტისტიზმი - პოლიტიკოს ქალების მიზნის მიღწევისა და წარმატების გარანტიაა.

თუმცა პოლიტიკოს ქალს განგება მხოლოდ დედინაცვლობას არ უწევს. პოლიტიკოს ქალს პოლიტიკოს მამაკაცთან მიმართებაში უპირატესობა აქვს. მას მუშაობა უხდება მამაკაცების გარემოცვაში, ამიტომ აუცილებელია გამოიყენოს ქალური თვისებები - ბუნებრივი არტისტიზმი, სინაზე, მომნუსხავი ღიმილი, რაც ზეგავლენის მოხდენის კარგი საშუალებაა.

ცნობილი რუსი პოლიტიკოსი ირინა ხაკამადა გვთავაზობს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიური კანონზომიერების ანალიზს, რომლის თანახმად, გაკრიტიკებულ იქნა ყველა მანდილოსანი, რომელნიც ქალთა დიდ წარმატებას მხოლოდ მის ვიზუალს მიაწერენ.

დღესაც კი, მასის ცნობიერება მნიშვნელოვან კონსერვატიზმს ფლობს. ამ მიზეზით ის ეყრდნობა წარმოდგენას, რომ ქალი არის „ოჯახური კერის მფარველი“ და არა „პოლიტიკური მონადირე“. ამასთანავე, მამაკაცები დომინირებენ პოლიტიკურ არენაზე, ადგენენ პოლიტიკური თამაშის წესებს და შეფასების სტანდარტებს. ამ მოდელის პირობებში ქალები უარს ამბობენ პოლიტიკაში მონაწილეობაზე და უარყოფენ პოლიტიკის ისეთ სტილს, სადაც მამაკაცები დომინირებენ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებული ქალისა და მამაკაცის აღქმის მახასიათებლების შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას, ამასთან, ახალი პოლიტიკური კულტურის ფორმირებას.[123]

პოლიტიკური კულტურა, როგორც სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი, მრავალმხრივი და უნივერსალური ფენომენია, რომელიც თავისთავად დემოკრატიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ინდიკატორიცაა. უფრო მეტიც, დემოკრატიული საზოგადოება აგებულია ადამიანების უფლებებსა და კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებზე.

რეალობაა, რომ პოლიტიკური კულტურა და მოქალაქეთა პოლიტიკური შეგნება არ არის მაღალ დონეზე. ამას სჭირდება მეტად ინფორმირებულობა, საზოგადოების ჩართულობა, მოქალაქეთა აქტიური ქმედებების ხელშეწყობა, განსხვავებულობის მიმღებობა, ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ოპონენტების განეიტრალების დასრულება, პოლიტიკაში მერიტოკრატიული მმართველობის შემოტანა და დამკვიდრება, სამართლიანი სასამართლოსკენ სვლა, ობიექტური მედიის მრავალფეროვნება და აგრეთვე ტოლერანტული გარემო, სადაც სამოქალაქო კულტურის განვითარება პოლიტიკური სპექტრის გაახლების საწინდარია.

მიუხედავად პოლიტიკური კულტურის დიდი ღვაწლისა, ის პოლიტიკაში მიმდინარე ყველა მოვლენას მაინც ვერ ხსნის. ადამიანები, რომლებიც ამავდროულად ეროვნული პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელნი არიან, ქცევის ხასიათს სიტუაციის ნაირგვარობას არგებენ. ანალოგიურად, საზოგადოებრივი ღირებულებები, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებს განსაზღვრავენ, სიტუაციის შესაბამისად იცვლებიან. ეროვნული პოლიტიკური კულტურის ანალიზი შეიძლება შეფასდეს, როგორც საბაზისო

[123] მეტრეველი ე. „პოლიტიკური კულტურის გენდერული ასპექტი (პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე)“. გრიგოლ რობაქაძის უნივერსიტეტი, 2010, გვ. 15

ელემენტი ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების აღქმის პროცესის დროით და სივრცობრივ ასპექტში.[124]

სოციალურ-პოლიტიკური სწავლების მნიშვნელოვან ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სქესისადმი კუთვნილება. ბიოლოგიური განსხვავებულობა პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელიც გახდა, რამაც განაპირობა პოლიტიკის ფორმირება მამაკაცის საქმიანობის სფეროდ და პოლიტიკური მართვის სადავეები მთლიანად მამაკაცთა ხელში აღმოჩნდა, ხოლო ქალების ინტერესთა სფერო შემოსაზღვრულ იქნა ოჯახითა და საყოფაცხოვრებო პრობლემებით. თუმცა ინდუსტრიულ ქვეყნებში არის გარკვეული წინსვლა გენდერული როლების გადანაწილებისა და ქალთა აქტივიზაციის მხრივ, რასაც საფუძველი დაუდო ქალთა ორგანიზებული მოძრაობების დაარსებამ.

ჰუმანიტარული მიმართულებების წარმომადგენელნი ერთსულოვნად ისწრაფვიან ადამიანური თანაცხოვრების შესაძლო პარამეტრების მოხაზვისკენ, რაც ახალი პოლიტიკური კულტურის შექმნისა და პატრიარქატიდან დაბალანსებულ ბიარქატიზმამდე გადასვლის საწინდარი გახდება.[125]

XX საუკუნეში მოხდა გარკვეული ცვლილებები პოლიტიკური კულტურის ამაღლების თვალსაზრისით. ქალების ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ განაპირობა გარკვეული პოზიტიური ძვრები. ასე რომ, მათ საკუთარი ბედის განკარგვის შესაძლებლობა მიეცათ, ხოლო მამაკაცთა მიერ დანერგილი პარადიგმული წესი უცვლელი დარჩა. სხვა მხრივ სიტუაცია არ შეცვლილა და ქალი კვლავ ეპიზოდურ როლში იყო, მაშინ როცა მამაკაცები მმართველ რგოლში არსებულ მაღალ ეშელონებს ესწრაფვოდნენ. მიუხედავად

[124] Women, Culture and Society. A reader, Edited by B.B Ballet, P. McDaniel. For The Women's studies Program. Rutgers University – New Brunswick, p. 68

[125] Феминизм: Восток . Запад. Россия. М., Наука. Издательская фирма «Восточная Литература". 1993, стр. 5

გარკვეული სახეცვლილებისა, საერთო კლიმატს ცვლილება არ განუცდია, რადგან გარემო და ღირებულებრივ-მსოფლმხედველობრივი კლიმატი მამაკაცური სულით არის გაჟღენთილი. კლიმატის სარჩულად კვლავაც უთანასწორო გარემო გვევლინება. ინსტიტუციონალიზებული სახელმწიფო მექანიზმების დეფიციტი და არსებული სტერეოტიპები შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა ქალის წინსვლის გზად.

მამაკაცები უმეტესად მოვლენებს თვითმიზნად ქცეულ ძალაუფლების დამახინჯებული პრიზმიდან აანალიზებენ. ჩვენი ეპოქა, რომლის სასიცოცხლო არტერიად ინფორმაცია იქცა, აანალიზებს იმ გარემოებას, რომ „ძალისა“ და „ფლობის“ სტრატეგიული პარადიგმა გაიცვითა და ახალი პარადიგმით ჩანაცვლებას საჭიროებს, რომელიც დაშენებული იქნება „ყოფაზე“ და გაითავისებს რაციონალურისა და ემოციურ-ინტუიციურის სინთეზს. აღნიშნულ იმპერატივთან ჰარმონიულ უკუკავშირს ამყარებენ ქალები, რადგან შეუძლიათ გაითავისონ ფლობასა და ძალაზე დაფუძნებული ცივილიზაციის პრინციპული ნაკლოვანებები.[126]

გენდერული საკითხების აქტუალურობა იზრდება, როდესაც ცივილიზაცია არსებულ პირობებსა და კულტურული ნორმების ჩარჩოებში გადაუჭრელ პრინციპულ სიძნელეების წინაშე დგება. უფრო მეტიც, ინდუსტრიული ცივილიზაციის კრიზისმა განაპირობა საზოგადოების დაინტერესება სქესის პრობლემებით.

ქალთა სპეციფიკური თვისებების გაანალიზება განაპირობებს აზროვნების არეალის გაფართოებას, ჰარმონიული სოციუმის შექმნის დასაბამიც გახდება.

გლობალურად, ქალს, როგორც კომპეტენტურსა და მნიშვნელოვან ღირებულებების მატარებელს, დიდი წვლილი მიუძღვის პოლიტიკური

[126] Wellmer A. „Models of Freedom in the modern world – The Philosophical Forum“, 1989-1990, p. 9

პროცესების აღსრულებაში. ისინი გამოირჩევიან კომუნიკაბელურობით, მიზნის მიღწევის თანამიმდევრულობითა და ინოვაციური გეზით. ამასთანავე, ქალები ნაკლებად მიდრეკილნი არიან კონფრონტაციისადმი და უპირატესობას ანიჭებენ სამშვიდობო მოლაპარაკებებს. აღმასრულებელ ორგანოში ქალები ნაკლებად ავლენენ ავტორიტარულ ხასიათს და, როგორც წესი, უკუაგდებენ ფასეული ანტურაჟის შექმნის იდეას. და ბოლოს, მაღალ იერარქიულ სტრუქტურებში ქალთა სიმრავლე დადებითად აისახება მამაკაცებზე, რაც მათ დისციპლინირებულ, კეთილშობილურ და მოზომილ ქმედებებში გამოიხატება. საინტერესოა, ქალთა პოლიტიკური საკადრო პოლიტიკის შესწავლა, რაზეც მხოლოდ ინტუიციასა და იმპროვიზაციაზე დამყარებული ინფორმაცია გვაქვს.

საქართველოს მოსაგვარებელ პრობლემათა ნუსხაში ძირეულ ადგილს იკავებს გენდერული დისბალანსი.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობა. დღესდღეობით, კანონმდებლობაში არ არსებობს დებულება, რომელიც ხელს შეუწყობს ან ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ქალთა კონკრეტულ პოზიციაზე დანიშვნას. უფრო მეტიც, არ არსებობს ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკურ პროცესებში თანაბარი ჩართულობის ხელშემწყობი გარანტიები, რაც იწვევს ქალთა წარმომადგენლობის დეფიციტს პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ქალები აქტიურად ჩაერთვნენ ქვეყნის განვითარების საქმეში, ინსტიტუციონალიზებული სახელმწიფო მექანიზმების ნაკლებობამ და ღრმად შესისხლხორცებულმა სტერეოტიპებმა მაინც შეაფერხეს ქალთა თვითრეალიზაცია, პოლიტიკის აქტიურ ფაზაში ჩართვა, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური კულტურის განვითარებაზეც ნეგატიურად აისახა.

III თავი: გენდერული თანასწორობის პრობლემები პოსტსაბჭოთა სომხეთში

ამ თავში შესწავლილია ქალის როლის ევოლუციის ისტორიული მიმდინარეობა სომხურ საზოგადოებასა და მის პოლიტიკურ პროცესებში, რასაც ხელი შეუწყო რეტროსპექტულმა ანალიზმა. იგი პრობლემების უფრო ღრმად არტიკულირების შესაძლებლობებს იძლევა, დეტალური და თანმიმდევრული სინთეზური ანალიზით. საბჭოთა სომხეთი იყო რთულ მდგომარეობაში, რადგან ის რეალურად პატრიარქალურ საწყისებზე იდგა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქალები აღმოჩნდნენ ერთგვარ გზაჯვარედინზე. ერთი მხრივ, მათ უნდა დაეძლიათ ტრადიციული ეროვნული როლი და პატრიარქალური ღირებულებები, მეორე მხრივ, უნდა მომხდარიყო ახალი ღირებულებათა სისტემის დანერგვა, რომელიც მკაფიოდ გამიჯნული იქნებოდა საბჭოთა პათოსისგან. ცხადია, საბჭოთა კავშირში დანერგილი სისტემა ნიველირდებოდა და მოითხოვდა ცვლილებებს. შესაბამისად შესწავლილია ის გარდატეხა, რომელიც XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა და აგრეთვე ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი გენდერული სირთულეებიც. ამასთანავე, გაანალიზებულია თანამედროვე სომხეთის გენდერული პრობლემების თავისებურებები. კერძოდ, ასახულია საბჭოთა კავშირის ნაკვალევი პოსტსაბჭოთა სომხეთზე და ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე სომხეთი.

III.I ქალის როლი სომხური საზოგადოების ცხოვრებაში

(რეტროსპექტული ანალიზი)

სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ პატარა ქვეყანას წარმოადგენს სომხეთის რესპუბლიკა, რომელიც კულტურულ-მრავალათასწლოვანი ერია და, ამავდროულად, საკუთარი ისტორიული მეხსიერების ტყვეა. სომხების ეროვნული იდენტობის განსაზღვრა მიზანშეწონილია მის წიაღში არსებული მოვლენების ანალიზით. კერძოდ, ეს უკანასკნელი ეფუძნება როგორც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს, აგრეთვე 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში განვითარებულ გენოციდს.[127]

გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, სომხეთში რთულ ვითარებას ქმნის გარკვეული ბარიერები, როგორიც არის, დამკვიდრებული სტერეოტიპები, სოციალ-კულტურული ღირებულებები, ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცოდნის დაბალი დონე და არსებული წინასწარგანწყობები. სომხეთის სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალის და მამაკაცის თანასწორობის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის მიუხედავად, იგი ვერ ახერხებს გენდერული ბალანსის უზრუნველყოფას და მათ თანასწორ საწყისებზე გადაწყობას. გამოდის, რომ აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების არაარსებობამ უგულებელყო და აზრსმოკლებულად გამოაცხადა მიღებული კანონი თუ კონსტიტუცია და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ მცირე წინსვლა აღინიშნება ქალთა პოლიტიკურ ავანსცენაზე.[128] მაშასადამე, სომხურ საზოგადოებაში მამაკაცები და ქალები არ არიან თანასწორ დონეზე. ქალების და მამაკაცების თანასწორი პოლიტიკური უფლებების აღიარების მიუხედავად, სომეხი ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილები

[127] ბერდიანაშვილი ზ. „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა ცენტრი და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი“. თბილისი: გამომცემლობა „გლობუსი“, 2015, გვ. 45

[128] რეგიონული კვლევა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. თბილისი, 2015, გვ. 11

ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. უფრო მეტიც, ქალები ხშირად განიცდიან გენდერულ სეგრეგაციას დასაქმების დროს. რაც ნიშნავს, რომ ისინი ძირითადად წარმოდგენილები არიან დაბალანაზღაურებად სამსახურებში. კერძოდ, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში.[129]

სომხეთში ქალების უფლებრივი მდგომარეობა შეზღუდულია. სახელდობრ, ისინი ვერ ინტეგრირდებიან მათთვის სასურველ პოლიტიკურ თანამდებობაზე, რაც მათში არასრულფასოვნების განცდას იწვევს და, როგორც წესი, არჩევანის შესაძლებლობაც ნაკლებად ეძლევათ. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცებთან შედარებით, მეტ ქალს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული, ის მაინც ვერ იქცა გარდამტეხ ბერკეტად ქალებისთვის, ამასთან, ისინი ნაკლებად ჩნდებიან ცენტრალურ ადმინისტრაციაში. უფრო მეტიც, სომხეთის პარლამენტში ქალთა მაჩვენებელი 25%-ზე ნაკლებია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხურმა საზოგადოებამ განაგრძო კანონმდებლობის, რეფორმებისა და პოლიტიკის რეგულირება ქალებისადმი პოზიციის შესანარჩუნებლად, მაგრამ ტრადიციული გენდერული შეხედულებებისა და ღირებულებების ხელმეორედ გამოჩენამ ხელი შეუშალა სომეხი ქალების წარმომადგენლობას მთავრობაში. თუმცა 2018 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, სომხეთში გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ დონეზე გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, პროპორციული წარმომადგენლობის, გადაწყვეტილებების მიღებისა და მმართველობის გაუმჯობესება სათუოდ რჩებოდა. ეს მოცემულობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება სტრუქტურული და სოციალური ბარიერები, რომლებიც მამაკაცებს წარმოადგენენ პოლიტიკურ ერთეულებად და ქალებს - მხოლოდ ამომრჩევლებად. ქალთა გაძლიერების სტრატეგიების

[129] Gender Barometer Survey. Center for the Gender and leadership studies. Armenia, 2015, p. 7

მიღება მიზანშეწონილი იქნება მას შემდეგ, რაც მოხდება აღნიშნული რეალური ცვლადების აღმოფხვრა.[130]

2019 წლის მონაცემებით, სომხეთის მოსახლეობის 64%-ს სჯერა, რომ მამაკაცები ქალებზე უკეთესი პოლიტიკოსები არიან. სომხეთში ქალები მოსახლეობის 52,2%-ს და უმაღლესი განათლების მქონეთა 56%-ს წარმოადგენენ და აგრეთვე ხილულნი არიან განათლების სექტორში. განათლების დონის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ქალთა წარმომადგენლობა მთავრობაში და მაღალ პოზიციებზე კვლავ დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ 25%-იანი კვოტირების სისტემა ამჟამად უზრუნველყოფს ქალების წარმომადგენლობას პოლიტიკურ პარტიებში, ისინი კვლავ აწყდებიან გარკვეულ ბარიერებს საჯარო სამსახურებში შესვლისას მთავრობის ყველა დონეზე.

2019 წელს 31/132 დეპუტატი (23,4%) ქალი იყო ეროვნულ ასამბლეაში, ხოლო 2021 წელს ეს მაჩვენებელი 23,48%-მდე გაიზარდა. 2015 წელს სომხეთის ეროვნულ პარლამენტში 131 წევრიდან 14 ქალია (10,68%), ხოლო ეს რიცხვი 10% იყო 2012 წლის არჩევნების შემდეგ.[131] გამოდის, რომ სომხეთს აქვს გარკვეული პროგრესი ქალების პარლამენტში ჩართულობის კუთხით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

2019 წელს სომხეთს ჰყავდა 1/14 ქალი მინისტრი და არ ჰყავდა ქალი პრეზიდენტი ან პრემიერ მინისტრი. სუბეროვნულ დონეზე, არ არსებობენ ქალი მერები და არც ადგილობრივი გუბერნატორები. მინისტრი ქალებისა და მოადგილეების პროცენტული მაჩვენებელი 2010-2015 წლებში არ აღემატებოდა 11%-ს. 2015 წელს ქალები იკავებდნენ კაბინეტის ორ პოსტს, მსახურობდნენ

---

[130] Mckee J. P., Sheriffs A. C. (1957) "The Differential Evaluation of males and females. Journal of Personality", p. 77

[131] Hajinazarian G. "Where Do Women Standin Armenian Politics", 2021. იხ. https://www.watchdogsgazette.com, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

სამინისტროებში, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ კულტურისა და დიასპორას საკითხებით.

ამრიგად, 2019 წლის მონაცემების მიხედვით, ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკურ ასპარეზზე:

- 2%-ზე ნაკლები, როგორც ხელმძღვანელები;
- ადგილობრივი საბჭოს წევრებად დაახლოებით 10%;
- 24%, როგორც ეროვნული ასამბლეის წევრები, მთავრობის მინისტრების 8% და მინისტრთა მოადგილეების - 26%;
- არცერთი ქალი გუბერნატორი და 18% ვიცე-გუბერნატორად.[132]

2007 წელს განხორციელებული რეფორმების შედეგად, პოლიტიკური პარტიების სიებში ქალების მინიმალური წილი 5%-დან 15%-მდე გაიზარდა. 2011 წელს ეს რიცხვი 20%-მდე გაიზარდა გენდერული კვოტების ახალი სისტემის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ სომხეთში იმ დროს არსებობდა პოლიტიკური პარტიების გენდერული კვოტირების სისტემა, რომელიც მოითხოვდა, რომ საარჩევნო სიებში ყოველი მეხუთე პირი მეორე პოზიციიდან დაწყებული ყოფილიყო ქალი.

2016 წელს სომხეთისა და აზერბაიჯანის პარტიების უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებში წარმოდგენილ ქალების პროცენტული მაჩვენებელი ცირკულირებდა 40%-სა და 5-10%-ს შორის. 40% დაფიქსირდა აზერბაიჯანის პარტიაში, ხოლო 5-10% ფიგურირებდა სომხეთში. მიუხედავად იმისა, რომ პარტიაში არიან ქალები, მათ არ გააჩნიათ სათანადო წონა/სტატუსი და გავლენა. პარტიები არ არიან ორიენტირებულნი ქალთა რაოდენობისა და მათი გავლენის გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებისკენ.

[132] Women in Politics. UNDP in Armenia. იხ. https://www.am.undp.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2021.

2016 წელს სომხეთის გენდერული თანასწორობის ინდექსი იმყოფებოდა 61-ე ადგილზე 159 ქვეყნიდან, რაც არც თუ ისე ურიგო მაჩვენებლად ითვლებოდა. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში სომხეთის გენდერულმა თანასწორობის ინდექსმა გადაუსწრო არა მხოლოდ ევროპისა და ცენტრალური აზიის გენდერული თანასწორობის ინდექსის საშუალო მაჩვენებელს, არამედ იმ ქვეყნებსაც, სადაც პიროვნების განვითარების მაღალი მაჩვენებელია დაფიქსირებული. თუმცა სომხეთის გენდერული თანასწორობის ინდექსი სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელ აზერბაიჯანთან და საქართველოსთან შედარებით, იყო შედარებით დაბალი (სომხეთი - 10.7%, საქართველო - 11.4% და აზერბაიჯანი - 16.9%). ეს მდგომარეობა განაპირობა სომხეთის ქალთა პასიურობამ პოლიტიკასა და შრომით ბაზარზე ჩართულობის მხრივ.[133] თუმცა 2017 წლიდან სიტუაცია იცვლება და სომხეთი წინაურდება, საქართველოსა და აზერბაიჯანთან შედარებით.

მრავალი წლის მანძილზე სომხეთმა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, სტრატეგია და ღონისძიება განახორციელა სიტუაციის გამოსასწორებლად, პოლიტიკურ სფეროში ქალების ჩართვისათვის.

1997 წელს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საკითხების დეპარტამენტი (DFWCI). DFWCI-ის ძირითადი პასუხისმგებლობა მდგომარეობდა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. დეპარტამენტი აქტიური იყო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩარჩოს გასაძლიერებლად 2010 წლის გენდერული პოლიტიკის კონცეფციის დოკუმენტისა და 2011-2015 წლების გენდერული პოლიტიკის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პროტოკოლური წინადადებების მეშვეობით. DFWCI-ის აქტიური ძალისხმევა გენდერული საკითხების შეფასებაში, სტრატეგიებისა და

[133] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), სომხეთისა და საქართველოს შრომის ბაზრის რეგულაციების გენდერული ანალიზი, თბილისი, 2018, გვ. 18

ჩარჩოების ორგანიზებაში და გეგმების პრიორიტეტიზაციაში გაგრძელდა, რადგან მთავრობამ მიიღო ეს პროტოკოლური წინადადებები და მოახდინა მრავალი პოლიტიკის რეფორმირება.

გენდერული პოლიტიკის განხორციელება სექტორებსა თუ სამინისტროებში მოითხოვს ადგილობრივ დონეზე ინტეგრირებული ძალისხმევის ქსელს. ვინაიდან DFWCI-ს არ გააჩნია სრულ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალი, რომელიც მუშაობს მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ადგილობრივ დეპარტამენტებთან კოორდინაცია შეზღუდულია. ამასთანავე, ვინაიდან ადგილობრივ დეპარტამენტებსა და სამინისტროებს არ აქვთ გამოყოფილი ბიუჯეტი ან პერსონალი, რომელიც ეძღვნება გენდერული ინტეგრირების საკითხს სექტორის დაგეგმვაში, ეროვნულ დონეზე წამოჭრილი გენდერული საკითხები მიკრო დონეზე არარეალიზებული დარჩება.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს სომხეთი ჩართულ იქნა ევროკავშირის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში, ხოლო 2009 წელს უკვე გაფართოებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში. 2017 წელს სომხეთის რესპუბლიკისა და ევროკავშირის მიერ შეთანხმება მიღწეულ იქნა, რაც მათ ყოვლისმომცველ და გაძლიერებულ პარტნიორობას განაპირობებდა. ევროკავშირი ორიენტირებულია დასაქმების სფეროს არეალის გავრცელებაზე, ინკლუზიური შრომის ბაზრებისა და სოციალური დაცვის სისტემების არსებობაზე, სოციალური პოლიტიკის გატარებასა და საზოგადოებაში თანასწორი შესაძლებლობების გავრცობაზე. ის ყურადღებას ამახვილებს თანასწორი შესაძლებლობების დანერგვასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე.[134]

---

[134] კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი - „ევროინტეგრაციის საკითხები - ვიშეგრადის ქვეყნები და სამხრეთ კავკასია“. თბილისი, 2013, გვ. 63

სამომავლოდ სომხეთს ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოება სწადია, პერსპექტივაში კონვერგენციის პოლიტიკური გამოხატულება დემოკრატიული ფასეულობების, სამართლიანობის, ეკონომიკურად ძლიერ ფუნდამენტზე აშენებული ევროპული დასავლური სახელმწიფო უნდა იყოს, აგრეთვე მჭიდრო სავაჭრო და ეკონომიკურ ინტეგრაციისაკენ ისწრაფვის. აღსანიშნავია, რომ სომხეთი ევროკავშირის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა პლიუსით სარგებლობს, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც ფოკუსირებულები არიან შრომისა და ადამიანთა უფლებების დაცვაზე. ამრიგად, სომხეთი ცდილობს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები საერთაშორისო ინსტრუმენტების მეშვეობით. კერძოდ, კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და აგრეთვე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N 100 და N 111.

სომხეთის სამოქალაქო ჯგუფებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სომხეთის მთავრობაში ქალთა არსებითი წარმომადგენლობის ადვოკატირებაში. 50-ზე მეტი ქალების არასამთავრობო ორგანიზაცია არის რეგისტრირებული სომხეთის იუსტიციის სამინისტროში. ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაცია მდებარეობს ერევანში, კერძოდ, ქალთა უფლებების ცენტრი.

სომხეთმა დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2019-2023 პროექტი ევროპის საბჭოსგან, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული საკითხების გაშუქებას ხუთ პრიორიტეტულ სფეროში: პოლიტიკა, სოციალურ-ეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა და მედია.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით სომხეთი ჩამორჩებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს, დღეს ის საგრძნობლად დაწინაურდა. რაც ნიშნავს, რომ სომხეთში ქალთა გააქტიურობა პოლიტიკურ ასპარეზზე შესამჩნევია. გარდა ამისა, NDI-ის კვლევა აჩვენებს, რომ ამომრჩევლები კანდიდატის ინდივიდუალიზმით,

დამახასიათებელი თვისებებითა და უნარებით, პოლიტიკური ხედვით, დაგროვილი კვალიფიკაციით მეტად დაინტერესებულები არიან ვიდრე სქესით, რაც ერთობ იმედისმომცემ პერსპექტივებს შლის ჩვენს წინაშე.

III.II ქალის როლი საბჭოთა სომხეთში

ქალთა საკითხისა და ქალთა მოძრაობის დასავლური გამოცდილება, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენელი ქალებისთვის ხელმისაწვდომი იყო მანამ, სანამ რუსეთის იმპერიამ და ბოლშევიკურმა/კომუნისტურმა რეჟიმმა საბოლოოდ არ გადაჭრა ამ ქვეყნების ცივილიზებულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ყველა არტერია. უფრო მეტიც, საბჭოთა გაერთიანება ბოლო ათწლეულებში სახეცვლილ სურათს გვთავაზობდა. კერძოდ, კომუნიზმის შთაგონებისა და დამახასიათებელი იდეების ნაკლებად ეჯერათ, მაგრამ თავი ისე ეჭირათ თითქოს ყველაფერი ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა, ძველებური ელფერი სდევდა.

სომხეთში ქალთა უფლებებს ყურადღება ექცეოდა უძველესი დროიდან. თანამედროვე რესპუბლიკის დადგომასთან ერთად, ისინი ხელახლა აკურთხეს და საბჭოთა ეპოქაში გაფართოვდნენ. სომხეთის უძველესი კოდექსები და სამართლებრივი რეგულაციები იძლევა ირიბ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ ძველად ქალები განიხილებოდნენ, როგორც საზოგადოების თანაბარი წევრები.[135] XVIII საუკუნის ცნობილი სომეხი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ფილოსოფოსი შაჰამირ შამამირიანი ამბობს: „თითოეული ადამიანი, სომეხი თუ სხვა ეროვნების, კაცი თუ ქალი, სომხეთში დაბადებული ან სხვა ქვეყნებიდან სომხეთში გადასახლებული, თანაბრად და ნებით იცხოვრებს. თავისუფლები იქნებიან ყველა საქმიანობაში. არავის ექნება ბატონობის უფლება სხვა პირზე, ხოლო მათი ხელფასი ანაზღაურდება ნებისმიერი სხვა სამუშაოს შესაბამისად, როგორც ამას სომხური კანონი მოითხოვს.“[136]

---

[135] კობახიძე ბ. „ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწყმო, მომავალი“. თბილისი, 2020, გვ. 3

[136] Aslanyan S. Women’s rights in Armenia. Center for the Development of Civil Society. იხ. https://www.socialwatch.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2021.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქალთა ხმის მიცემის უფლების მოძრაობამ მოიცვა მთელი მსოფლიო, თუმცა სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკები ამ მხრივ უკვე უსწრებდნენ ისტორიას. ასე რომ, საქართველოში ქალებმა ხმის მიცემის უფლება 1918 წელს მოიპოვეს, ხოლო 1919 წლისთვის — ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში ქალებს ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდათ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრებაში 130 დეპუტატიდან 5 ქალი იყო. იმავე 1919 წელს სომხეთში ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე: 20 წელს გადაცილებულ მოქალაქეს ჰქონდა ხმის უფლება განურჩევლად სქესისა, ეთნიკურობისა და რელიგიური მრწამსისა. მაშინ სომხეთში პირველად 80 წევრიან პარლამენტში 3 ქალი-დეპუტატი აირჩიეს. მაშასადამე, 1918-1920 წლების სომხეთის პირველმა რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა მისცა ქალებს ხმის მიცემისა და არჩევის უფლება, ხოლო პარლამენტის წევრთა 8% იყო ქალი. ამასთანავე, 1918 წელს აზერბაიჯანი გახდა პირველი მუსლიმური ქვეყანა, სადაც ქალებს მიენიჭათ ხმის მიცემის უფლება.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებები გამოცხადდა სამსახურებრივ, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. სახელმწიფომ უზრუნველყო უფასო და სავალდებულო სასკოლო განათლება, უფასო და ხელმისაწვდომი საუნივერსიტეტო განათლება და სამედიცინო მომსახურება, ანაზღაურებადი 24 დღიანი შვებულება, პრენატალური და მშობიარობის შემდგომი შვებულება და ა.შ.[137]

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად, საბჭოთა სომხეთში ქალებმა ორმაგი დატვირთვა განიცადეს და სტრუქტურული დისკრიმინაციის წინაშე აღმოჩნდნენ. გამოდის, რომ საბჭოთა რეჟიმის „მიღწევად“ უნდა ჩავთვალოთ

[137] Lorber J. „Women Physicians: Careers, Status and Power“. New York and London: Tavistock, 1984, p. 51

ის, რომ საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად მან ფაქტობრივად იძულებით, გამოაცხადა ქალების ემანსიპაცია და შემოიყვანა ქალები პოლიტიკაში. ასე წარმოიშვა სრულიად ახალი ფენომენი „სახელმწიფო ფემინიზმი“ ან სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკა ქალებთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საბჭოთა ქალების „ემანსიპაცია“.[138]

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, სამყაროში ახალი პერიოდი დაიწყო. ბიპოლარული სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებობდა, დაიშალა ერთ-ერთი პოლუსის თვითგანადგურების შედეგად. შეიძლება დიდხანს ვიკამათოთ იმაზე, თუ რატომ მოხდა ეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საბჭოთა კომუნისტურმა პროექტმა ვერ გაუძლო კონკურენციას და დაიმსხვრა. სიტუაცია, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა სამხრეთ კავკასიაში, შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მნიშვნელოვანი, თუ არა გადამწვეტი გავლენით ხასიათდებოდა, სადაც სოციალური თანასწორობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეგიონის სამივე ქვეყანაში დაიწყო გარდაქმნის პროცესები ცენტრალური გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და კომუნისტური რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასასვლელად. გარდაქმნას თან მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტები. რუსეთი ყოველგვარი მექანიზმებით ცდილობს რეგიონში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ხელოვნურ ინსპირირებასა და საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ აძლევს „მზრუნველი უფროსი ძმისგან“ დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობს ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებას, ზრდის ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას აღნიშნული ქვეყნების მიმართ და

[138] Gelb J. “Feminism and Politics”. Berkley: University of California Press, 1989, p. 33

აქტიურად ლობირებს უდიდესი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას რეგიონში. რეგიონზე კონტროლის შენარჩუნებისა და თავისი გეოპოლიტიკური ამბიციების განხორციელების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა არაერთხელ განიზრახა. აღნიშნული პროცესები თან დაერთო მნიშვნელოვან გამოწვევებს. რეგიონის სამივე ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მათ შორის ორი - აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი საქართველოს, ხოლო - „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტი კი, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.[139]

სამხრეთ კავკასია იქცა კონფლიქტებით, უმუშევრობითა და უკიდურესი სიღარიბით დამძიმებულ რეგიონად, სადაც უამრავი იძულებით გადაადგილებული ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გენდერულ თანასწორობას წერტილი დაესვა, რაც უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნებოდა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა გადარჩენისთვის დაიწყეს ბრძოლა.[140]

ამ პერიოდში ქალებმა ოჯახის მარჩენალის როლი იკისრეს, ხშირ შემთხვევაში, იმის ხარჯზე, რომ დაბალხელფასიან სამუშაოზე უარს არ ამბობდნენ. გაზრდილმა ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ მათ გარკვეულწილად ძალაუფლებაც შეჰმატა. შეიქმნა ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და, ამავდროულად, ერთი მხრივ, ქალები იაზრებდნენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში, სახელმწიფოში და მეორე მხრივ - იბრძოდნენ ჩაგვრის განმაპირობებელი კულტურული ნორმების შესაცვლელად. თუმცა ქალების აქტიურობამ რეგიონის ქვეყნების ეროვნული

[139] Wood E. “Gender and Politics in Revolutionary Russia”. Bloomington: Indiana University Press, 1997, p. 16
[140] Sjoberg L. “Gender and international security”. London and New York: Routledge, 2010, p. 10

გამოღვიძების პირველ ეტაპზე, შრომით ბაზარზე მასიურად შემოსვლამ ვერ უზრუნველყო ქალების აქტიური ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის და სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ შრომის ბაზარზე ქალის ხვედრითი წილის მნიშვნელოვნად შემცირება აღინიშნება. თუმცა განსხვავებული მაჩვენებელი ფიქსირდება საქართველოსა და აზერბაიჯანში.

ქვეყანა	1990	2014
სომხეთი	60	55
აზერბაიჯანი	54	63
საქართველო	55	57

მსოფლიოს ბანკის ანალიზი ცხადყოფს, შრომის ბაზრის ძირითადი ტენდენციის მიხედვით იკვეთება ქალთა მონაწილეობის კლება. თუმცა იკვეთება განსხვავებული შემთხვევებიც. კერძოდ, დაფიქსირდა აზერბაიჯანში 9%-იანი და საქართველოში 2%-იანი ზრდა, რაც დაკავშირებულია პერიოდთან, როდესაც მოხდა საბჭოთა გაერთიანების დაშლა და აღნიშნული ქვეყნების დამოუკიდებლობის ასპარეზზე გასვლა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანში ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით ერთგვარი რეგრესი შეინიშნებოდა. 2013 წელს, სომხეთში კონსერვატიულმა ძალებმა მიაღწიეს იმას, რომ ტერმინები გენდერი და გენდერული თანასწორობა გაქრა პოლიტიკური და სამართლებრივი სფეროდან.

2018 წლის რევოლუციამდე სომეხი ქალები ცხოვრების ყველა ასპექტში განიცდიდნენ დისკრიმინაციას, ხოლო რევოლუციის შემდეგ შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ძვრები ქალების პოლიტიკაში ჩართვის

მიმართულებით.[141] მიუხედავად მცირე პროგრესისა, მთავრობა ვერ აცნობიერებს პრობლემის სრულ მოცულობასა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მცდელობები არის სუსტი და არასაკმარისად დაფინანსებული. დემოკრატიასა და თავისუფალ ბაზარზე გადასვლამ გამოიწვია სომეხი ქალების სტატუსის გაუარესება საზოგადოებაში, აგრეთვე მათი ეკონომიკური მდგომარეობისაც. დღეს არ არსებობს ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ეხება ქალის სტატუსს. საჭიროა პროცესები, რომლებიც გენდერულ უთანასწორობას ეხება. მთავრობას არ უცდია ამ სიტუაციის შეცვლა, რადგან თვლის, რომ გენდერული თანასწორობა არის საკითხი, რომელიც გადაჭრილ იქნა საბჭოთა პერიოდში. ეფექტური მექანიზმების არარსებობა კანონმდებლობის სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად, იწვევს ქალთა დისკრიმინაციას ყველა სფეროში, მათ შორის პოლიტიკაშიც.[142]

სომეხი ქალები ხშირად გარიყულები არიან ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებისგან, ისინი განაახლებენ ტრადიციულ როლებს საზოგადოებაში და განიცდიან ტოტალიტარული საზოგადოებიდან (ცენტრალურად დაგეგმილი და ხისტი ეკონომიკის მქონე) დემოკრატიის საფუძველზე დაარსებულ თავისუფალ ბაზარზე გადასვლის არასასურველ შედეგებს. დღეს სომხეთში არ არსებობს ქალთა წარმომადგენლობითი ორგანოები, საპარლამენტო ჯგუფები ან ოფიციალური გენდერული მრჩევლები. გამონაკლისი იყო 2002 წელს მინისტრი ქალი მოადგილის დანიშვნა სოციალური დაცვის სამინისტროში, მას დაევალა კოორდინატიული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა პრობლემების მოგვარებას. ამის მიუხედავად, იგი მალევე გაათავისუფლეს.

---

[141] კონრად ადენაუერის ფონდი - „სამხრეთ კავკასია 2018: ფაქტები, ტენდენციები და სამომავლო სცენარები“. თბილისი, 2018, გვ. 20

[142] Epstein C. F. “Deceptive Distinctions: Sex, Gender and the Social Order”. New Haven: Yale University Press, 1988, p. 11

ამგვარად, სომხეთის პოლიტიკურ არენაზე გენდერულ უთანასწორობის განმაპირობებელ ფაქტორად ითვლება, ის ფაქტი, რომ არ მოიძებნება ეფექტური ინსტიტუციური, სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო. ნაკლებად გათვითცნობიერებულები არიან ისეთ საკითხებში, როგორიც არის ფორმალური და რეალური თანასწორობა, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია და სხვ. ქალების ირიბი დისკრიმინაციის ფორმად არ მოიაზრება განსხვავებული ანაზღაურება, ქალთა დაბალი აქტივობა ეკონომიკასა და პოლიტიკაში, პროფესიული სეგრეგაცია შრომის ბაზარზე.

III.III პოსტსაბჭოთა სომხეთის გენდერული პრობლემების თავისებურებები

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად სამხრეთ კავკასია დაძაბულობის არეალად იქცა და სომხეთსაც, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თავად მოუხდა საკუთარი ეროვნული პრობლემებისა და გამოწვევების მართვა.[143]

საბჭოთა სტაგნაციას მოჰყვა „პერესტროიკა“ და ბოლოს საბჭოთა კავშირის დანგრევა, რამაც გამოიწვია ლიბერალური ეიფორია და გარკვეული სოციალური სიდუხჭირეც. ყოველი ახალი რეჟიმი დასაბამი ხდება წარსულის გარდაქმნის. დღესდღეობით, ყოფილი საბჭოთა ქვეყნები და მათ შორის სომხეთის რესპუბლიკა გარდამავალი პერიოდის სირთულეებს აწყდებიან, სანამ ლიბერალურ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის სასურველ წერტილს მიუახლოვდებიან.[144]

გარდამავალ პერიოდში მძაფრმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა, ფასეულობების ცვლილებამ და ახალ ღირებულებით სისტემაზე გადასვლამ გამოიწვია პოსტსაბჭოთა ქალის გარკვეული დისკრიმინაცია და სტიგმატიზება, რაზეც მეტყველებს ქალისა და მამაკაცის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული დისბალანსი. 1992-1993 წლებში, სომეხმა მამაკაცებმა გამოხატეს გაურკვევლობა მომავალ საარსებო წყაროსთან დაკავშირებით, ხოლო ქალებმა აჩვენეს ოპტიმიზმისა და ენერგიის არაჩვეულებრივი დონე. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი პერიოდის მნიშვნელოვან გამოწვევას დემოკრატიულ

[143] ასათიანი ს., ლეჟავა ნ. „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2014, გვ. 11

[144] Хабермас Ю. „Демократия, разум, нравственность“, 1995, стр. 78

ფასეულობებთან ზიარება წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი გენდერული თანასწორობის დამყარებაა.[145]

სომხეთის რესპუბლიკა დემოკრატიულ ფასეულობებს ვერ ეზიარება თუ არ მოხდება მრავალწლიანი გაყინული კონფლიქტის კონსტანცია, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა და საზოგადოების მიერ შესისხლხორცებული სტერეოტიპების დამსხვრევა. რეალობაა, რომ ყარაბაღის კონფლიქტი აქილევსის ქუსლად იქცა სომხეთ-აზერბაიჯანის ტანდემისთვის, რაც გენდერულ უთანასწორობასთან ერთად დამაბრკოლებელ წინაპირობას წარმოადგენს მათ დემოკრატიულ ღირებულებებთან ზიარების გზაზე.[146]

აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება კვლავ რჩება სომხეთის განვითარების მნიშვნელოვან პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ ქალები სომხეთში მოსახლეობის 52,2%-ს და უმაღლესი განათლების მქონე პირების 56%-ს შეადგენენ, მათი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების სფეროებში მაინც დაბალია.[147]

მიუხედავად იმისა, რომ ქალები მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან განათლებისა და სოციალურ საკითხებში და მრავლად არიან წარმოდგენილნი აკადემიურ სფეროებში, პოლიტიკაში გარკვეული ბარიერები უცვლელი რჩება. სახელდობრ, ადგილობრივ დონეზე არსებობს გარკვეული შეზღუდვები პოლიტიკურ ავანსცენაზე და პოლიტიკურ პარტიებში ყოფნის მსურველი ქალების მიმართ. სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალთა და მამაკაცთა როლების მიმართ და ქალთა შორის ნდობის ნაკლებობა ბარიერებს უქმნის ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას. მაშასადამე, წამყვან პოზიციებზე შეზღუდული წარმომადგენლობის გამო ქალებს ძალიან მცირე გავლენა აქვთ

---

[145] სტივენსონი მ. „გენდერი და დემოკრატია“. თბილისი, 2004, გვ. 8

[146] მალაშხია შ. „კონფლიქტების ანატომია“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 69

[147] UNDP in Armenia, “Women In politics” 2018. იხ. https://www.am.unpd.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ 25%-იანი კვოტების სისტემა უზრუნველყოფს ქალების წარმომადგენლობას პოლიტიკურ პარტიებში, მათ ადგილობრივი ხელისუფლების ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მკაფიო ბარიერები აქვთ. ამრიგად, სომხეთში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელ სხვადასხვა დაბრკოლებებს შორისაა: გენდერული სტერეოტიპები, გენდერული როლები, ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სოციალური კაპიტალის ნაკლებობა, ქალებში დაბალი თავდაჯერებულობა და პოლიტიკური კულტურის დეფიციტი. ამასთანავე, სომხეთის პოლიტიკური ინსტიტუტები, საარჩევნო სისტემა და პარტიული კონკურენციის დონე ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შეფერხებას.

ღრმად გამჯდარი სტერეოტიპული დოგმები და კულტურული დამოკიდებულებები, რომლებიც საზოგადოების ინფორმირებულობას განაპირობებს ქალის როლის შესახებ, დიდ გავლენას ახდენენ სომხეთში პოლიტიკური თანამდებობების დაკავებით დაინტერესებულ ქალებსა და ამომრჩეველთა სეგმენტზე. კერძოდ, გავრცელებული სტერეოტიპების თანახმად, ქალის უფლება-მოვალეობები შემოსაზღვრულია სახლისა და ოჯახის მოვლით, ხოლო მამაკაცი ჩართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აგრეთვე ოჯახის მარჩენალის ფუნქციაც აქვს შეთავსებული. არსებული იდეოლოგიები აისახება ქალ კანდიდატების ბედსა და სამომავლო პერსპექტივებზე გეოპოლიტიკურ ველზე.[148]

ეკონომიკური თვალსაზრისით, სომეხი ქალები არცთუ ისე კარგ მდგომარეობაში არიან. ისინი, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებად ინტეგრირებულები არიან შრომის ბაზარზე და აგრეთვე მამაკაცების ხელფასებიც აღემატება მათ ანაზღაურებას მთლიანი ეროვნული შემოსავლის

[148] Lamphere L. „Woman, Culture and Society“. Stanford University Press, 1974, p. 29

მაჩვენებლის გათვალისწინებით. მაშასადამე, გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას, ძირითადი აქცენტი, როგორც წესი, ქალებისა და მამაკაცების ხელფასებს შორის განსხვავებაზეა, „შუშის ჭერის“ არსებობაზე, იმაზე, რომ სამუშაოს მიღებისას ქალს ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე იგივე უნარის მქონე კაცს და ა.შ.[149]

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალების რიცხობრივი მაჩვენებელი აღემატება მამაკაცებისას, მათი პოზიციები მაინც არ არის იმავე თანაფარდობით გამყარებული ცენტრალურ ადმინისტრაციაში დაწინაურების მიმართულებით.

დღეს ქალები იძულებულები არიან შეურიგდნენ თავიანთ ტრადიციულ როლს, როგორც მეუღლესა და დედას, ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობაში შეტანილი პრაქტიკული მოთხოვნებით. ეს უდავოდ სერიოზული და რთული პრობლემაა, ხაზგასმული ტრადიციებით და კონსერვატიზმით. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს ახალ მიდგომას, მიზანმიმართულ და დაჟინებულ პოლიტიკას. რეალობაა, რომ ქალების დიდი ნაწილი, რომლებიც აკრიტიკებენ სახელმწიფო უწყებების საქმიანობას, ერთდროულად მიიჩნევენ სახელმწიფო ორგანოებს, როგორც ერთადერთ სუბიექტებს, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემების მოგვარება.[150]

აშკარაა, რომ სამართლიან და სოციალურ საფუძვლებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისთვის აუცილებელია სომხეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ სფეროებში ქალების ჩართვა და, ფაქტობრივად, დისკრიმინაციისა და უთანასწორობის აღმოფხვრა. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ქალსა და მამაკაცს

[149] „ქალები ბიზნესსა და მენეჯმენტში: ძალებს იკრებენ“, ILO, 2015, გვ. 1
[150] Kert B. “The Women in the Family”. New York: Rondom House Trade Paperbacks, 2003, p. 64

თანაბარი უფლებები აქვთ, სამწუხაროდ, ისინი უგულებელყოფილია სომხეთის რეალობაში.[151]

მიუხედავად ყველა სირთულისა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოება გარკვეული დოზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობა პირდაპირ კავშირშია ქალთა უფლებების ყოველმხრივ დაცვასთან და ქვეყანაში სამართლიანობის შენარჩუნებასთან, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარია. აღსანიშნავია, რომ კვოტირების იდეა მიზანმიმართულია პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართვისკენ. იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ და აგრეთვე ქვეყანაში „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ბაზისს ქმნის.

ქვეყანაში ჩატარებული კვლევები მიგვითითებს გარკვეულ პროგრესზე. კერძოდ, ქალს აღარ მიიჩნევენ პოლიტიკური თანამდებობისთვის შეუფერებელ სუბიექტად და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარის არ ქონაშიც უფრო ნაკლებად შეაქვთ ეჭვი, რაც ვითარების გარკვეულ ცვლილებაზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, ახალგაზრდები ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალებს პოლიტიკოსობა არ ხელეწიფებათ. გასათვალისწინებელია, რომ მომავალში სწორედ ეს ახალგაზრდები იქნებიან ამომრჩეველთა რიგებში, რომლებიც გარკვეულ გარდაქმნას მოახდენენ ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის კუთხით. რაც შეეხება მედიას, მისი წვლილი და პრულარული მოსაზრებები უმნიშვნელოა ქალთა მიმართ გაბატონებული სტერეოტიპების გარდაქმნის პროცესში.

[151] Women's Role and Position in Armenia. იხ. https://www.core.ac.uk, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

სომხეთში არსებობს შემდეგი ეროვნული მექანიზმები, რომლებიც გენდერული პრობლემების აღმოფხვრას ემსახურებიან:

სომხეთში დამკვიდრებული პოლიტიკა და ინსტიტუციური გარემო არ არის საკმარისი წინაპირობა გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად. ამასთანავე, სომხეთმა ოფიციალურად შემდეგი კონვენციების რატიფიცირება მოახდინა: ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N 100 და N 111 კონვენციები.

სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, იკრძალება ყოველგვარი დისკრიმინაციული ქმედება სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ გენეტიკური მახასიათებლების, რელიგიის, მრწამსის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ხედვის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, საზოგადოებრივი მდგომარეობის და სხვა მსგავსი სოციალური გარემოებების მიხედვით.

კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ.

სომხეთი მიზანმიმართულია სხვადასხვა რესურსების მოძიებასა და დანერგვისაკენ. კერძოდ, ეროვნულ გენდერული მექანიზმი, ემანსიპაციის პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო. თუმცა არსებული მექანიზმების აღსრულება-ფუნქციონირება არ არის გამართული და ბოლომდე ეფექტიანი.

2010 წლის 11 თებერვალს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ეროვნული დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა გენდერული პოლიტიკის კონცეფციაზე დაყრდნობით. შედგენილი დოკუმენტი მიზანმიმართული იყო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში შესაბამისი პირობების დანერგვისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობდა ქალებისა და მამაკაცების თანაბარ შესაძლებლობებით აღჭურვას. კონცეფციამ ასევე განსაზღვრა ეგალიტარული

პოლიტიკის მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფდა ქალთა პრობლემების მოგვარებას სოციალურ-ეკონომიკურ არეალზე. 2011 წელს მიიღეს 2011-2015 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელიც წინ უძღოდა კონცეფციის განხორციელების პროცესს. აღნიშნულ დოკუმენტს თუ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას სურდა გენდერის კომპონენტის აფიშირება, გენდერული საკითხების დამკვიდრება ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებში. ამასთანავე, სომხეთის რესპუბლიკის მიერ შემუშავებულ იქნა „სომხეთის რესპუბლიკაში ქალებისა და მამაკაცების მიერ თანასწორი უფლებებითა და თანასწორი შესაძლებლობებით სარგებლობის სტრატეგია 2018-2022 წლებისათვის“.

2013 წელს სომხეთის რესპუბლიკის მიერ გამოიცა კანონი „მამაკაცებისა და ქალებისათვის თანასწორი უფლებებისა და თანასწორი შესაძლებლობების შესახებ“. კანონში ხაზგასმით აღნიშნულია სხვადასხვა დისკრიმინაცია გენდერულ ასპექტში. მაგალითისთვის, ორსულებისა და ოჯახის მქონე ქალების შეზღუდვა, ქალის და მამაკაცის განსხვავებული ანაზღაურება, ანაზღაურების შემცირება ან პირობების გაუარესება სქესის გამო. კანონი საკმაოდ შეზღუდულია და არ კვეთს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებს. ამის საპირწონედ, ის საუბრობს შეზღუდულ წრეებში, სახელმწიფო ადმინისტრირებისა და საჯარო მომსახურების სფეროებში. კანონი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაში თუ ქალი გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდება, მაშინ ის უფლებამოსილია მიზნობრივად მიმართოს კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოებს, ადგილობრივ თვითმმართველობათა ოფისებს, სასამართლოს ან ადამიანთა უფლებათა დამცველებს.

კანონი მოითხოვს ექსპერტიზის გატარებას გენდერული ნიშნით ყველა კანონპროექტზე, რომელსაც წარადგენენ. მათ მიერ ყურადღება უნდა გამახვილდეს კანონპროექტებში არსებულ გარღვევებზე, აგრეთვე უნდა

მოხდეს ქვეყნის კანონის გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებთან თანხვედრა, ქალებისა და მამაკაცების უფლებების პრინციპის დაფასება და დისკრიმინაციის თავიდან არიდება. თუმცა ეს ყველაფერი არ არის გამყარებული კანონქვემდებარე აქტით.

მხოლოდ 2017-2022 წლების სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის პროგრამაში შეიძლება მოვიძიოთ ის მოხსენება, სადაც გენდერული საკითხები გათვალისწინებულია. 2022 წლისათვის მოიაზრებოდა სომხეთის სოციალურ-დემოგრაფიულ განვითარების პროგრამებში გენდერის ფაქტორის ჩართვაც, რადგან ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობის კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას. ასევე შემოღებულ იქნას მონიტორინგის ინსტრუმენტებიც. თუმცა ამ პროგრამის გაუქმებამ განაპირობა 2018 წლის ივნისში ახალი სამთავრობო პროგრამის მიღება.

სომხეთის ეროვნულ გენდერულ მექანიზმში შედის ქალთა საქმეების საბჭო, რომელიც პრემიერ-მინისტრის აპარატის დაქვემდებარებაში იმყოფება, აგრეთვე ოჯახის, ქალებისა და ბავშვების დეპარტამენტი, რომელიც იმყოფება შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს გავლენის ქვეშ და სომხეთის პროვინციების ადამიანთა უფლებებზე მომუშავე მუდმივმოქმედი კომიტეტები. თუმცა ამ მექანიზმს გარკვეული შეზღუდვები ახლავს. მაგალითად, შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ოჯახის, ქალებისა და ბავშვების საკითხების დეპარტამენტს არ შესწევს ძალა სურვილისამებრ იმოქმედოს თანასწორობის დასამკვიდრებლად, განახორციელოს სათანადო მონიტორინგი და კოორდინირება, რაც გამოიწვია იმან, რომ მათ ერგოთ შეზღუდული მანდატი, ამასთან, გენდერული კოორდინატორების ქსელი არ არსებობს სამინისტროებში, რომელიც განახორციელებდა პროექტების გენდერულ ექსპერტიზას.

სომხეთი იღწვის ახალ ანტიდისკრიმინაციულ კანონის დანერგვისაკენ, რომელიც მორგებული იქნება შრომის ბაზარზე არსებულ გენდერულ უთანასწორობის აღმოფხვრაზე. აღნიშნულ კანონის სახელწოდებათ „კანონი თანასწორობის შესახებ“ მოიაზრებენ.

ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი თანმიმდევრული საკანონმდებლო ბაზა, რომლის მიხედვით არეგულირებს ქალთა თანაბარი უფლებების უზრუნველყოფას. თუმცა სომხეთისა და საქართველოსთვის დამახასიათებელ კონკრეტულ კანონმდებლობაში ნაგულისხმევია ქალთა უფლებების დაცვა არჩევნებში.

სომხეთის მიერ შემუშავებულ დროებით ღონისძიებებს შორის იკვეთება მოთხოვნა, რომელიც მიზანმიმართულია პოლიტიკურ პროცესებში ქალთა რაოდენობის ზრდაზე. ის კანდიდატთა პროპორციულ სიებში, ყოველ ხუთ კანდიდატს შორის ორივე სქესის წარმომადგენლის ყოფნას მოითხოვს. არსებული დროებითი ღონისძიება მეტად ეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ პირველადი გენდერული თანაფარდობის მოთხოვნა იარსებებდა. ამასთანავე, 12-დან 3 მაჟორიტარ ქალს არ დაუფიქსირებია კამპანიის ხარჯები, რაც მათ რეალურ მონაწილეობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს.[152] არსებული კვოტის სისუსტეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პარტიული სიის წარდგენის შემდეგ ქალები ხსნიან კანდიდატურას და სავალდებულო ხასიათს არ ატარებს ვაკანტური ადგილის ჩანაცვლება მოხდეს კვლავ ქალი კანდიდატით.

2007 წელს, საკანონმდებლო განკარგულების ანუ გენდერული კვოტის მეშვეობით მოხდა ქალთა წახალისება და, შესაბამისად, შვიდი ქალი იქნა წარმოდგენილი საპარლამენტო თანამდებობებზე.

[152] OSCE/ODIHR/EOM საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიში, 2012, გვ. 10

სომხეთის რესპუბლიკის მიერ შემუშავებული 2011-2015 წლის გენდერული პოლიტიკის სტრატეგიული პროგრამა ემსახურება კანონმდებლობასა და მთავრობის გეგმებში გენდერული საკითხების გააქტიურებას. თუმცა ღონისძიებათა უმრავლესობა საჭიროებს საერთაშორისო დონორების ფინანსურ მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნული გამოწვევების გადასაჭრელად, UNDP ახორციელებს პროექტს „ქალი პოლიტიკაში“, რომლის მიზანია ქალებისა და ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება ადგილობრივი განვითარების პროცესებში. პროექტი ხორციელდება სომხეთის ტერიტორიული მართვისა და განვითარების სამინისტროსა, ანდა OxYGen ფონდთან პარტნიორობით. პროექტი, რომელიც გაერთიანებულია დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის პრიორიტეტებზე, ემყარება UNDP-ის წინა პროექტებში მიღებულ შედეგებს ევროკავშირისა და SDC-ს მიერ მხარდაჭერილ პროექტებში „ქალები ადგილობრივ დემოკრატიაში“ (20122-2018), აგრეთვე OxYGen-ის ადვოკატირების სამუშაო ქალთა პოლიტიკურ გაძლიერების საკითხებში.

თუმცა სომხეთში არსებობს ქალ კანდიდატების ხელშემწყობი გარკვეული ღონისძიებები მათ წარდგენისა და არჩევის პროცესში:

სომხეთის მთავრობა მიზანმიმართულად ცდილობს ყოველწლიურ კონკურსის გამართვას არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, რომლის მიზანია გენდერული ცნობიერების ამაღლება თითოეული მოქალაქისთვის. ჯილდოების გადაცემა ხდება შემდეგ ნომინაციებში:

- გენდერული პოლიტიკის განმახორციელებელი ურბანული და სოფლის თემი;
- გამორჩეული მეწარმე (ქალი);

- საუკეთესო მედია საშუალება, რომელიც ზრუნავს გენდერული საკითხების ღიად და ეფექტურად გაშუქებაზე.

ხელშემწყობ ღონისძიებებს შორის ყველაზე წარმატებული მექანიზმი არის სოფელში გავრცელებული სტერეოტიპების ტრანსფორმაცია.

IV თავი: პოლიტიკური პროცესები პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანში და მისი გენდერული მახასიათებლები

ამ თავში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მისი გენდერული მახასიათებლები. ქალის მდგომარეობის სახეცვლილების აღქმაში დაგვეხმარა გარდამავალი პერიოდის ციკლის შესწავლა. გამოიკვეთა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების საერთო მახასიათებლები და ერთგვარი ჯაჭვური ბმაც, რაც დაგვეხმარა მთლიანი გენდერული სურათის აღქმაში. კერძოდ, შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოხდა ვითარებათა ობიექტური შეფასება. ეს ნიშნავს, რომ წარსულის გაანალიზების საფუძველზე საშუალება გვქონდა გაგვეანალიზებინა თანამედროვე საზოგადოებაში არსებული პრობლემები და გამოწვევები. ამასთანავე, შევისწავლეთ აზერბაიჯანის ის ეროვნული მექანიზმები, რომლებიც მიმართულია ქალის ემანსიპაციისა და ეგალიტარული პოლიტიკის სრულფასოვნად გატარებისკენ.

IV.I ქალის როლის ევოლუციის ისტორიული ეტაპები

აზერბაიჯანი მუსლიმურ და ლაიცისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის დამოუკიდებელი საერო სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში, რომელიც მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზების გასაყარზე, სადაც შორეული წარსულიდან გეოპოლიტიკური ინტერესები, ეკონომიკური კონკურენცია და კულტურული კონტაქტები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი საერო ქვეყანაა, აზერბაიჯანელი ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში გენდერული განსხვავებებია.

მუსლიმური ქვეყნებისთვის ქალთა სპეციფიკური პრობლემებია დამახასიათებელი - შრომისა და პოლიტიკური უფლებების პრობლემა და სხვ. მიუხედავად ქალების აქტიური მონაწილეობისა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში აზერბაიჯანელი ქალების მონაწილეობას ფორმალური ხასიათი აქვს, რაც ორი ფაქტორით არის განპირობებული: უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მმართველ რეჟიმს არ გააჩნია დემოკრატიული ტრადიციებისა და რაციონალური პოლიტიკის გამოცდილება და მეორე - თვით ქალებს არა აქვთ სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობისათვის საჭირო პროფესიული და ფსიქოლოგიური ჩვევები.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში ქალთა პოლიტიკური უფლებები კონსტიტუციით არის გამყარებული, მათი პოლიტიკური აქტიურობა მაინც საკმაოდ დაბალია. პრაქტიკა თეორიისაგან შორს დგას არა მარტო ქალების აქტიურობის, არამედ საზოგადოებაში მათი მდგომარეობის და სტატუსის თვალსაზრისით.

ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა თვით ქალების მცდელობები თანამედროვე საზოგადოებაში შეცვალონ არსებული მდგომარეობა. სულ უფრო იზრდება ქალთა ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაცია „ქალთა პლატფორმაში“ არიან გაერთიანებულები.

ისტორიული წყაროების თანახმად, საბჭოთა კავშირის შექმნამდე, გასული საუკუნის 20-იან წლებში, აზერბაიჯანელ ქალებსა და მამაკაცებს შორის დიდი გენდერული დისბალანსი არსებობდა და სოციალისტური მმართველობის პირობებში თანდათანობით შემცირდა, თანაბარი პირობების შექმნის შედეგად.[153]

კომუნისტურმა რეჟიმმა მოიტანა მასობრივი დასაქმება, სავალდებულო განათლება და თანაბარი უფლებები ქალისა და მამაკაცისათვის. უფრო მეტიც, საბჭოთა რეჟიმის დროს შემცირდა პატრიარქალური სტერეოტიპები და ტრადიციული აზროვნება, რასაც მოჰყვა ქალთა გაუნათლებლობის აღმოფხვრა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სამრეწველო წარმოებაში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტების მიუხედავად, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში არ იყო ისეთივე თანაბარი, როგორც ეს გარედან ჩანდა. პოლიტიკურ პარტიასა და სამთავრობო ადმინისტრაციაში მაღალი, მაგრამ არა გადამწყვეტი სტატუსის მქონე ქალების უზრუნველყოფა, ეს იყო პოლიტიკურ სფეროში თანაბარი მონაწილეობის ილუზია. აღსანიშნავია, რომ თხუთმეტი ქალი წევრიდან მხოლოდ ერთი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნაწილი. აზერბაიჯანის შემთხვევაში, ოჯახური ტრადიციების გამო, ქალები უმეტეს დროს მუშათა კლასში იყვნენ, აგრეთვე ასრულებდნენ საშინაო საქმეებს, როგორიცაა ბავშვების მომზადება, დასუფთავება და სხვ.

[153] Najafizadeh M. “Gender and Ideology: social change and Islam in post-soviet Azerbaijan”. University Press of Florida, 2012, p. 13

აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები განსაკუთრებით აისახებოდა ქალთა განმანათლებლობისა და საზოგადოებრივ მოღვაწეობის კუთხით.

1917 წლის თებერვალში მომხდარმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების საკითხში. ამასთანავე, 1917 წლის 26 ოქტომბერს გამართულ „მუსავათის“ პარტიის ყრილობის მიერ შეიქმნა პროგრამა, რომელიც 14 პუნქტს მოიცავდა. პროგრამის შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა: ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდებოდა ოცი წელი, ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, განურჩევლად სქესის, ეროვნებისა და დამკვიდრებული მრწამსის.

1918 წელს აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, გარკვეული გარდაქმნები მოხდა. კერძოდ, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. 1918 წელს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ იქნა შემოღებული საერთო ამომრჩეველთა უფლებების შესახებ. ამასთანავე, მიიღეს კანონი „აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამფუძნებლობით კრებაზე არჩევნების შესახებ“, სადაც განმარტებული იყო რომ კრების წევრები იქნებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების (ამომრჩევლის) მიერ არჩეული პირები, განურჩევლად სქესისა.[154] გამოდის, რომ აზერბაიჯანი პირველ მუსლიმურ ქვეყანად გამოცხადდა, სადაც ქალები მსგავსი უფლებებით სარგებლობდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ევროპასა და ამერიკაში განსხვავებული სურათი იშლებოდა ჩვენი თვალთახედვისათვის, რაც ნიშნავს, რომ მათი მკვიდრი ქალები მსგავსი უფლებებით არ სარგებლობდნენ.

[154] Buffaloe M. “Examining women’s rights in Azerbaijan”, 2020. იხ. https://www.borgenproject.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

ქვეყნის ისტორიაში შემავალ პირველ ქალთა ყრილობის თარიღად გამოცხადდა 1921 წელს შემდგარი ყრილობა, რომლის არსი მდგომარეობდა ქალთა განთავისუფლებაში, ხოლო 1923 წელს გამოიცა ჟურნალი „შარგ გადინი“ (იგივე აღმოსავლელი ქალი), რომელმაც გარდამტეხი როლი შეასრულა აზერბაიჯანელ ქალების ცხოვრებაში.

1998 წელი დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებთან, როგორიც არის ქალთა, ბავშვთა და საოჯახო საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნა. 2011 წელს ქალთა და ბავშვთა სახელმწიფო კომიტეტი მეტად უღრმავდებოდა გენდერულ საკითხებს და ცდილობდა მიეღო მასთან საბრძოლველად ვარგისი ზომები, იმისთვის რომ გასულიყო სასურველ შედეგზე. აღნიშნული საკითხის მიმართ დაინტერესების გაღრმავება გამოიწვია მედიის გააქტიურებამ და მისი მხრიდან საკითხის გაშუქებამ.

პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანი და მისი კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები:

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აზერბაიჯანის საზოგადოებაში ქალის პოზიციაზე გავლენას ახდენს სამი ძირითადი ფაქტორი: დასავლური იდეოლოგია, ისლამისტური იდეალი ქალებისთვის და სოციალურ-პოლიტიკური ძალების დესტაბილიზაცია, რაც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გამოჩნდა. სავაჭრო საქმიანობა შემოსავლის მთავარ წყაროდ 1991 წლიდან განიხილება, ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმების ნაცვლად, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელზე მოთხოვნა შემცირდა. მკვეთრად გაიზარდა აზერბაიჯანელი ქალების უპირატესობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგალითად, მაღაზიის თანაშემწე, სტილისტი ან მიმტანი, 1990-იან წლებთან შედარებით, როდესაც აზერბაიჯანელ ქალებს

არ ჰქონდათ მსახურების უფლება მამაკაცთა საზოგადოებრივ და სერვისულ ცენტრებში.[155]

საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეაფასეს არსებული ვითარება და სამომავლო ტენდენციები, მათ მიიღეს ჰუმანიტარული და დემოკრატიული პრინციპების უნივერსალური ღირებულება, რომლებიც ადამიანის უფლებების საფუძველს წარმოადგენს: განსხვავებულობის უფლება, ღირსეული ცხოვრების უფლება, პირადი თვითრეალიზაციისა და კულტურული იდენტურობის უფლება, განვითარების უფლება და ძალადობისგან გათავისუფლება.

ამ გზაზე აზერბაიჯანის პროგრესის შეფასებამ, რომელიც ჩატარდა გენდერული ურთიერთობების შესწავლის კონტექსტში, დაადასტურა, რომ გენდერის საკითხი, თუმც უნივერსალურია თავისი წარმოშობიდან, აგრეთვე დამოკიდებულია კულტურულ და დროულ ფაქტორებზე. კერძოდ, ამ პრობლემას აზერბაიჯანში არაერთი მანიფესტაცია აქვს, რომელსაც მისი ისტორია, პოლიტიკა და ეკონომიკა აყალიბებს.

აზერბაიჯანის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დისკურსში გენდერული თანასწორობაა. ერთი მხრივ, სახელმწიფო უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის ძირითად პრინციპებს და მექანიზმებს, რომ ცხოვრებაში ეს თანასწორობა განხორციელდეს. კერძოდ, პარლამენტის მიერ მიღებული უახლესი კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ არის ამგვარი განსაზღვრის ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორი. მეორე მხრივ, არსებული აზერბაიჯანული საზოგადოება საკმაოდ ტოლერანტულია გენდერული სტერეოტიპების მიმართ.

აზერბაიჯანში გენდერული თანასწორობის იდეას ისტორიული ფესვები აქვს. საბჭოთა გენდერული პოლიტიკა აცხადებდა ქალთა უფლებების დაცვას

[155] Элиас Н. “Отношения между мужчиной и женщиной: изменение установки”, 1994, стр. 6

და უზრუნველყოფდა განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას და სამუშაო ადგილებზე მონაწილეობას სქესის მიუხედავად. თუმცა თანასწორუფლებიანი იდეალების გავრცელების ხელშეწყობის მიუხედავად, მან მხოლოდ ფორმალურად განამტკიცა გენდერული თანასწორობა.

დღევანდელ აზერბაიჯანულ საზოგადოებაში სახელმწიფო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. დღესდღეობით აზერბაიჯანი დატვირთულია ისეთი პრობლემებით, როგორიც არის ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობა, კორუფცია, ეკონომიკური სიდუხჭირე და ქალთა ემანსიპაციის საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს აზერბაიჯანს მდიდარი ქვეყნის სტატუსი აქვს და ერთობ სწარაფად ვითარდება, მოსახლეობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მაინც არ იგრძნობა აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით.[156] ამასთანავე, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები ეხება გარდამავალ ეკონომიკასა და პოლიტიკას, აგრეთვე მოუგვარებელ შეიარაღებულ კონფლიქტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთიანი ყარაბაღის რეგიონში და მის გარშემო, რამაც გამოიწვია ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია და ქვეყნის მოსახლეობის ერთი მეათედის დევნილობა. ქვეყანა ასევე ერის მშენებლობის პროცესშია, ხოლო ოჯახი და სქესი ის ორი ძირითადი საკითხია, რომლებიც განსაზღვრავს აზერბაიჯანის ეროვნულ იდენტობას.[157]

ქვეყანას აქვს ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ნავთობისა და გაზის, ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი და მნიშვნელოვანი ადამიანური პოტენციალი - ახალგაზრდა და ძლიერი მოსახლეობა. აზერბაიჯანმა უამრავი ნაბიჯი გადადგა დემოკრატიზაციისკენ. უფრო მეტიც, სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება აღიარებს, რომ გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა შემდგომი განვითარებისათვის.

---

[156] აზიზოვა მ. „აზერბაიჯანი დღეს - მათანათ აზიზოვას თვალით“. თბილისი, 2014, გვ. 18
[157] Cornell S. “Azerbaijan since independence”. Routledge, 2015, p. 15

აზერბაიჯანის რესპუბლიკა სრულად ერთგულია გენდერული თანასწორობის საერთაშორისო ნორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კანონისა. მან მოახდინა CEDAW რატიფიცირება და შესაბამის უწყებებს წარუდგენს ანგარიშებს კონვენციის განხორციელების შესახებ და სხვა საჭირო დოკუმენტები, როგორც ევროპის საბჭოს და ეუთოს მხარე. ამასთან, აზერბაიჯანში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, განსხვავებაა საკანონმდებლო კანონებსა და მათ რეალიზაციას შორის. მიუხედავად იმ თანასწორობისა, რომელიც კონსტიტუციაში და სხვა იურიდიულ დოკუმენტებშია ნათქვამი, მათ შორის ბოლოდროინდელი კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მაინც არსებობს გენდერული უთანასწორობა სოციალური ცხოვრების, პოლიტიკისა და ეკონომიკის მრავალ სფეროში. ვინაიდან აზერბაიჯანში კანონები და საზოგადოებრივი ქცევის წესები საკმაოდ თანასწორუფლებიანია, ამ განწყობებისა და უთანასწორობის წყარო უნდა ვეძებოთ პიროვნულ ურთიერთობებში.

გადაუჭრელ კონფლიქტმა, ასიათასობით ლტოლვილმა და იძულებით გადაადგილებულმა პირმა, ეკონომიკური კრიზისის შედეგებმა და სოციალური უსაფრთხოების არეალების განადგურებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შექმნა ახალი დაბრკოლებები და გაამხნევა პატრიარქალური სოციალური სტრუქტურები. ამ მოვლენებზე გავლენა მოახდინა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დადასტურების რთულმა პროცესმაც.[158]

გენდერული განვითარების სპეციფიკური მიღწევები არ ამცირებს სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. პრაქტიკული გაგებით, ჩვენ უნდა ვისაუბროთ რეალური მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების

[158] Sen G., Grown C. “Development Crisis and Alternative visions: Trird World Women’s Perspective“. New York: Monthly Review Press, 1987, p. 11

გათანაბრებას. კერძოდ, დასაქმების სფეროში დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრა, სიღარიბის შემცირება, ძალადობის პრევენცია, გენდერული განათლება თანაბარი მონაწილეობა სამთავრობო და პოლიტიკურ ინსტიტუტებში. მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევა უნდა იყოს კოორდინირებული, რათა შესძლონ ერთმანეთის გაძლიერება და შედეგის მიღწევა. ამ კოორდინაციას შეიძლება დაეხმაროს, ერთი მხრივ, გენდერზე ორიენტირებული ეროვნული ბიუჯეტის რეალიზაცია და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსების კოორდინირებული განაწილება გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მიზნებისთვის.

გენდერული თანასწორობის საჭირო საერთაშორისო პრიორიტეტების შესაბამისად, აზერბაიჯანმა მიიღო გარკვეული ზომები, რაც ასევე ასახულია გაეროს მნიშვნელოვან დოკუმენტებში, როგორიცაა კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, პეკინის სამოქმედო პლატფორმა და ათასწლეულის დეკლარაცია. ამ შედარების საფუძველზე, კვლევაში მოცემულია რეკომენდაციები პოლიტიკისთვის, რომლებიც, ხელს შეუწყობს შემდგომ განვითარებასა და მშვიდობის მიღწევას, რითაც აზერბაიჯანი მიიღებს ჭეშმარიტ გენდერულ თანასწორობას. მაშასადამე, აზერბაიჯანმა მიაღწია გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას, გადადგა ნაბიჯები გენდერული პრობლემის გადაჭრის ინსტიტუციონალიზაციისაკენ და განმარტა გენდერული პოლიტიკა.

IV.II ეროვნული მექანიზმები და გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობისთვის მნიშვნელოვანია ქალის უფლებების ეფექტური დაცვის სისტემის შემუშავება, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს დემოკრატიის ხარისხს. ყველა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა იყოს ასახული ქალთა პრობლემები სიტყვიერი განფენილობით, რაც გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის საწინდარი იქნება.

თითოეული სახელმწიფო თავისებურად ზრუნავს ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს დანერგვაზე, საზოგადოებას მოუწოდებს შექმნილი მეინსტრიმის უპირობო მხარდაჭერას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას, აგრეთვე უფლებრივი მდგომარეობის ერთ დონეზე დაყვანას. უფრო მეტიც, საკანონმდებლო ბაზა, სადაც ჩადებულია გენდერული პარამეტრები, ეს არის ქალთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების რეალური გარანტია.[159]

აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის ხელმომწერი ყველა საერთაშორისო კონვენციისა ადამიანის უფლებების სფეროში, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, აგრეთვე კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და დაქორწინებული ქალბატონების მოქალაქეობის შესახებ, IOL კონვენცია ქალისა და მამაკაცის თანაბარი ანაზღაურების შესახებ და ა.შ. აზერბაიჯანის კონსტიტუციამ, რომელიც 1995 წლის 12 ნოემბერს მიიღო სახალხო რეფერენდუმმა, განამტკიცა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებები, შექმნა სამართლებრივი საფუძველი მათი აქტიური მონაწილეობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის

[159] Cook R. „Human Rights of Women: National and International Perspectives“. University of Pennsylvania Press, 1994. p. 55

პროცესში. ამასთანავე, 2002 წელს აირჩიეს ადამიანის უფლებებისთვის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი - ომბუდსმენი.

აზერბაიჯანში შეიქმნა ახალი სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საოჯახო, შრომითი და სხვა კანონმდებლობები, რომლებიც პასუხობენ დროის მოთხოვნებს. არსებულ კანონმდებლობაში კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული მოქალაქეთა თანასწორობა, განურჩევლად სქესისა. ზემოაღნიშნული კანონმდებლობა უკვე ფუნქციონირებს, მეტნაკლებად რეგულირდება ქალის ინტერესები და იცავს ქალთა უფლებებს, იცავს მათ ყველანაირი დისკრიმინაციისგან, ცილისწამებისა და ძალადობისგან, როგორც ოჯახში, აგრეთვე ცხოვრებაში და საზოგადოებაში.[160]

აზერბაიჯანის ქალთა პრობლემის მოგვარების **ეროვნული მექანიზმები:**

ეროვნული კანონმდებლობა

1919 წელს აზერბაიჯანი გახდა პირველი მუსლიმური ქვეყანა, რომელმაც მისცა ქალებს საარჩევნო უფლება. ამის შემდეგ ქვეყანამ განიცადა ნახევარი საუკუნის საბჭოთა მმართველობა, რომელმაც შეინარჩუნა ქალთა საარჩევნო უფლება, აგრეთვე დაადგინა მთავრობის დებულებები წარმომადგენლობითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. 1991 წელს, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, აზერბაიჯანული მთავრობის მიერ ქალების უფლებებისა და თანასწორობის უზრუნველყოფის მიუხედავად, სოციალური ნორმები და წესები მაინც აფერხებდა ქალებს თავიანთი სრული პოტენციალის მიღწევაში.

[160] Gamaghelyan P. "Challenging gender norms, dealing with the past, and protecting the environment". Caucasus Edition: Journal of Conflict Transformation, 2018, p. 157

აზერბაიჯანის კონსტიტუციური წყობილების ისტორია საბჭოთა კავშირში შესვლის შემდეგ იწყება. პირველი კონსტიტუციის მიღება თარიღდება 1921 წლის 19 მაისით, ეს მოხდა აზერბაიჯანის საბჭოების პირველ ყრილობაზე, ხოლო 1925 წლის 14 მარტს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც დაყრდნობილ იქნა 1921 წლის კონსტიტუციაზე, აზერბაიჯანის საბჭოების მეოთხე ყრილობაზე.

1978 წლის 21 აპრილს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებულ იქნა საბჭოთა აზერბაიჯანის კონსტიტუცია. კონსტიტუციის მეორე ნაწილში საუბარი იყო ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე.

აზერბაიჯანის კონსტიტუციის 25-ე (კანონი - გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ) მუხლის თანახმად, „მამაკაცები და ქალები უნდა იმყოფებოდნენ თანასწორ პოზიციაზე, რაც გულისხმობს უფლებებითა და თავისუფლებებით თანაბარ სარგებლობას, განურჩევლად რასის, ეროვნების, სქესის, რელიგიის, წარმოშობის, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის, აღმსარებლობის, პოლიტიკური პარტიისადმი, პროფესიული ორგანიზაციისა და სოციალური გაერთიანებისადმი კუთვნილებისა.“[161]

დღესდღეობით, ქალებს აზერბაიჯანში მფარველობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია. ეს არის საერთო სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე 1995 წლის 12 ნოემბერს მიღებული ძირითადი კანონი, რომელიც მიზანმიმართულად ცდილობს ქალების დაცვას. ამასთანავე, ეს არის დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირველი კონსტიტუცია, რაც ნიშნავს, რომ გენდერული პოლიტიკის განვითარება აზერბაიჯანში ემთხვევა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდს. ამას გარდა, ქალთა პეკინის მეოთხე მსოფლიო კონფერენციისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დროს სახელმწიფო და

[161] რეგიონული კვლევა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, 2015, თბილისი, გვ. 32

არასამთავრობო ორგანიზაციები მობილიზებულები იყვნენ ქალთა პრობლემების გადასაჭრელად.

ამასთან დაკავშირებით, 1994 წელს, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიქმნა ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ქალები, რომლებიც იკავებდნენ წამყვან პოზიციებს სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები. პეკინში მსოფლიო კონფერენციის წინ, კომიტეტმა ჩაატარა ფართომასშტაბიანი მოსამზადებელი სამუშაოები (კონფერენციები, სემინარები, გამოფენები, დისკუსიები). პეკინის კონფერენციის მუშაობაში აზერბაიჯანის დელეგაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

1995 წლის 10 ივლისს აზერბაიჯანი შეუერთდა გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), ხოლო 2001 წელს მან რატიფიცირება მოახდინა მასზე თანდართულ არჩევით პროტოკოლზე. ამ კონვენციის მე-2 მუხლი მასში გაწევრიანებულ ქვეყნებს ავალდებულებს, რომ ეროვნულ კონსტიტუციებში მოხდეს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპის აქტივაცია, შეძლონ მათი სისრულეში მოყვანა კანონების და სხვა მექანიზმების დახმარებით. აზერბაიჯანს და სხვა წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ინფორმაციის ანგარიშგება გაეროს კონვენციასთან მიღწეული პროგრესის შესახებ გენდერული თანასწორობის კუთხით. ამრიგად, 1998 წელს CEDAW კომიტეტის სხდომაზე მიიღეს აზერბაიჯანის წარმომადგენლის ანგარიში. CEDAW კომიტეტის დასკვნითი კომენტარების გათვალისწინებით აზერბაიჯანის ანგარიშიდან, განხორციელებულ იქნა რეფორმები გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით.

აზერბაიჯანის მიერ ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და მის ოქმს (ECHR). მე-14

მუხლის თანახმად, იკრძალება გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია იმ უფლებების მიმართ, რომელსაც იცავს კონვენცია.

აზერბაიჯანი თანამშრომლობს გაეროს საერთაშორისო პაქტთან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კუთხით. იგი მონაწილე სახელმწიფოებს მიუთითებს ქალთა და მამაკაცთა შორის აუცილებელ თანასწორუფლებიანობაზე, ამასთან, მათ უნდა შესძლონ პაქტით განსაზღვრული ყველა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებით სარგებლობა.

საერთაშორისო ვალდებულებები მოწმობს, რომ სახელმწიფოებისთვის იქმნება მეტნაკლებად მყარი საერთაშორისო სტანდარტთა სამართლებრივი საფუძველი, რომელიც მიზანმიმართულად ცდილობს სახელმწიფოების მიერ უზრუნველყოფილი იქნას ქალთა უფლებები თანასწორობისთვის - ხმის მიცემის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ არენაზე მოღვაწეობის უფლება.

სამართლებრივ ჩარჩოში არსებობს გარკვეული დებულებები, რომელიც ქალებს არახელსაყრელ პირობებში მოღვაწეობისაკენ უბიძგებს. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის კანონმდებლობაში არ არის ასახული ქალთა პოლიტიკურ ასპარეზზე მონაწილეობის ხელისშემშლელი დებულებები, ამგვარი დებულებები მაინც ფიქსირდება. მაგალითად, იძულებით გადაადგილებულ ქალთა სტატუსი, რაც არასასურველია ქალებისათვის. რაც შეეხება გენდერულად ნეიტრალურ კანონებს, ის ნაკლებად იცავს ქალებს და არ ანიჭებს უპირატესობას საკუთარი უფლებებში უკეთ გათვითცნობიერებასა და მათ გამოყენებაში.

აზერბაიჯანმა მოახდინა კონვენციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტისა და ევროპული სოციალური ქარტიის რატიფიცირება.

1997-2000 წლებში დაიწყო მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი აქტივობა პროექტის შესაბამისად, „გენდერის

განვითარება აზერბაიჯანში“. ამ პროექტის კონტექსტში, ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია გენდერული ინსტიტუციონალიზაციის ორგანიზაციული მუშაობის შესახებ, ხოლო ტექნიკური დახმარება მიეცა ახლად შექმნილ ქალთა პრობლემების სახელმწიფო კომიტეტს, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

1998 წელს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ქალთა პრობლემების სახელმწიფო კომიტეტი (SCWP) და გამოქვეყნდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „აზერბაიჯანში ქალთა როლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“, რაც აღიარებდა, რომ გენდერული პოლიტიკა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრეროგატივაა.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, უპირველეს ყოვლისა კი, მათი წარმომადგენლობის შესაბამის დონეზე გაზრდის მიზნით სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, პრეზიდენტმა 2000 წლის 6 მარტს ხელი მოაწერა ბრძანებულებას „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქალთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შესახებ“. ამ განკარგულებამ საფუძველი ჩაუყარა გენდერული თანასწორობისა და ქალებისთვის შესაძლებლობების გაფართოების სახელმწიფო სტრატეგიის შექმნას. დადგენილება ითვალისწინებს ქალების თანაბარი წარმომადგენლობის მიღწევას მამაკაცებთან მიმართებაში რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში და აგრეთვე აწესებს კანონმდებლობის ექსპერტიზის ჩატარებას გენდერული თვალსაზრისით. ამას გარდა, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა კანონი მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შესაძლებლობების შესახებ, რომელიც ამჟამად განიხილება პარლამენტში.

გადაწყვეტილების მიღების პოზიციებზე ქალების დაწინაურების აუცილებლობა აღინიშნა ქალთა პირველი და მეორე კონგრესის (1998-2003) დოკუმენტებში. კომიტეტის მთავარი მიზანი იყო ქალთა უფლებების დაცვა ქალთა უფლებების დაცვით და გენდერული თანასწორობის მიღწევებით. ეს

არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი გენდერული პოლიტიკის სფეროში.

ქალთა პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა აღინიშნა აზერბაიჯანის ქალთა პირველ კონგრესზე, რომელიც ჩატარდა 1998 წლის 25 სექტემბერს, რომელიც იყო ქალთა პირველი ფორუმი, რომელიც ჩატარდა ახლად დამოუკიდებელ რესპუბლიკაში.

1998 წლიდან, რესპუბლიკაში აღინიშნა საზოგადოებაში ქალის როლის განმტკიცების ტენდენცია. ამ პოლიტიკის შედეგად, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბოლო დროინდელი არჩევნების დროს, რამდენიმე ქალს მიენიჭა აკადემიის სტატუსი. პრემიერ მინისტრის სამი მოადგილიდან ერთი ქალი იყო. აზერბაიჯანის პარლამენტში - მილი მეჯლისში - 13 დეპუტატი ქალი ფიქსირდებოდა (10.4%), რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კანონმდებლობის შემუშავებაში, სქესთა შორის რეალური თანასწორობის სამართლებრივი პირობების შექმნისა და ქალთა ინდივიდუალური თავისუფლებების უზრუნველყოფაში. ამდენად, კომიტეტმა შექმნა მონაცემთა ბაზა ქალებისათვის, რომლებიც მუშაობენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე რეგიონებში, სამინისტროებსა და დეპარტამენტებში.

2000 წლის 6 მარტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სამოქმედო ეროვნული გეგმა ქალთა პრობლემების გადასაჭრელად 2000-2005 წლებში. ეს გეგმა შედგენილია პეკინის სამოქმედო პლატფორმის სტრატეგიების საფუძველზე, არსებული სიტუაციისა და რესპუბლიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით. მოქმედების ეროვნული გეგმა არის სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სამინისტროების, კომიტეტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით და

მიზნად ისახავს ქალთა თანასწორობის მიღწევას ყველა პრობლემურ სფეროში.[162]

ეს დოკუმენტი ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამების მომზადებას და ქალთა პრობლემებთან დაკავშირებული კონკრეტული, გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას.

ეროვნული გეგმის განსახორციელებლად და გენდერული მეინსტრიმინგის განსახორციელებლად, კომიტეტმა შექმნა საერთაშორისო მინისტრთა საბჭო, რომელიც შედგებოდა სახელმწიფო დეპარტამენტების წარმომადგენლებისაგან, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და აგრეთვე ასრულებდა კოორდინაციის ფუნქციას. მინისტრთა საბჭოს წევრებს აქვთ პერიოდული შეხვედრები, სადაც განიხილება პროგრესი, რომელიც მიღწეულია ეროვნული გეგმის განხორციელების პროცესში და იკვეთება მისი განხორციელების გზაზე არსებული დაბრკოლებები.

უნდა აღინიშნოს 2001 წლიდან დაწყებული ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მოხდა რესპუბლიკის საკანონმდებლო ბაზაში ქალთა სტატუსის შესახებ. კერძოდ, მიიღეს კანონი სხვადასხვა კატეგორიის სახელმწიფო მუშაკის სამუშაო დღის შემცირების შესახებ, სადაც ორსულთა და მცირეწლოვანი ქალების სამუშაო კვირა იყო არა უმეტეს 36 საათი კვირაში.

მიღებულ იქნა დასაქმების აქტი, რომელშიც მე-6 მუხლი ადგენს სახელმწიფო პოლიტიკას დასაქმების სფეროში - ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებები პროფესიის არჩევისას.

2000 წლის 2 ივლისს არჩეულ იქნა ადამიანის უფლებების სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი (სახალხო დამცველი). პრეზიდენტის

[162] Шинелева Л. Т. “Путь в XXI век”. IV всемирная конференция по положению женщин в Пекине, 1995, стр. 28

მიერ წამოყენებული სამი კანდიდატიდან პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით არჩევანი შეაჩერა ქალზე.

2000 წლიდან ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ახორციელებს პროექტს ქალთა ლიდერობისა და მათი მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში და ამ პროექტში SCWP-ის მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ.

სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელიც შედგება პარლამენტის, SCWP და არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებისგან, შეადგინა კანონპროექტი თანაბარი უფლებებისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ, რომლის განხილვა ამჟამად მიმდინარეობს პარლამენტის კომისიაში. კანონპროექტი ითვალისწინებს პოზიტიური ზომების მიღებას, რათა ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა უფრო დაბალანსებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრატეგიის განხორციელებაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები, საჭიროა დამატებითი ზომების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ქალისა და მამაკაცის გენდერულად დაბალანსებულ წარმომადგენლობას წამყვან თანამდებობებზე, რადგან ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი პირობაა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობის, სოციალური ერთიანობის და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე.

აუცილებელია დაიწყოს მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების საპარლამენტო კომისიის შექმნის მიმართულებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მრავალმხრივი მიდგომის მიღება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრობლემებისადმი, ქალთა

ლიდერების მომზადების პროგრამების განხორციელება და ხელშეწყობა. გოგოების მონაწილეობა სოციალური ორგანიზაციების საქმიანობაში, მათი გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მოპოვების მიზნით, რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ ინსტიტუციურ საქმიანობაში და პოლიტიკაში.

მიღებულია რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და ქალთა პრობლემები. მათ შორისაა სახელმწიფო პროგრამა სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანი არის ქვეყანა, სადაც დევნილთა უდიდესი რაოდენობაა, რესპუბლიკის მთვარობამ მიიღო სახელმწიფო პროგრამა „ლტოლვილთა და იძულებით მიგრანტთა პრობლემების მოგვარების შესახებ“, რომლის ერთ-ერთი განყოფილება ეძღვნება ქალთა პრობლემებისა და მათი შესაძლებლობების გაფართოებას.

ამ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა გლობალიზაციის გავლენის საკითხებს გენდერული თანასწორობის პერსპექტივებზე. შეიქმნა ინფორმაციულ-ანალიტიკური ცენტრი „გლობალიზაცია“, რომლის ერთ-ერთი მიზანია გენდერული ურთიერთობების პრობლემების კვლევა გლობალიზაციის კონტექსტში და პირობების შექმნა ქალთა მონაწილეობის პოზიტიური ასპექტების გასაზრდელად.[163]

მრავალ სფეროში მიღწეულ პროგრესთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში არსებობს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან განვითარებას. უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე, ძირითადად, აზერბაიჯანის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია სომხეთის აგრესიის შედეგად, აგრეთვე

[163] Hawkesworth M. “Globalization and Feminist Activism”. Lanhan: Rowman & littlefield Publishers, 2006, p. 17

მილიონზე მეტი ლტოლვილისა და იძულებითი მიგრანტების ყოფნა, რომ აღარაფერი ვთქვათ გარდამავალი პერიოდის სირთულეებზე.[164]

2006 წლის 6 თებერვალს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ოჯახის, ქალთა და ბავშვთა პრობლემების სახელმწიფო კომიტეტის ინსტიტუტების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს აზერბაიჯანში უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, რომლებიც მუშაობენ ქალის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე, აზერბაიჯანში დამკვიდრებული გენდერული პოლიტიკა კვლავ არაეფექტურია სხვადასხვა მიზეზების გამო. მაგალითად, ნავთობზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე დამოკიდებულება ავტომატურად იწვევს სხვა არა ნავთობპროდუქტების წარმოების შემცირებას, რაც გავლენას ახდენს სიღარიბის, უმუშევრობის შექმნაზე და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში პროსტიტუციის მაჩვენებელი გაიზარდა ამ პერიოდის განმავლობაში. ამრიგად, ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის ზემოხსენებული გამოწვევები მთავრობის სტრუქტურებისგან დიდ დროსა თუ რესურსს მოითხოვს და სახელმწიფოს არ შეუძლია მეტი ყურადღება დაუთმოს ქვეყნის შიგნით გენდერული პოლიტიკის ეფექტურ მუშაობას. მეორე მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის მამაკაცის უზენაესობის ცნება, რომელიც გავლენას ახდენს ქალის უფლებებზე, აგრეთვე რელიგიური და კონსერვატიულ-ნაციონალისტური შეხედულებაც უწყობს ხელს.

2012 წელს აზერბაიჯანის მიერ მიღებულ იქნა შემდეგი სახის დოკუმენტი „აზერბაიჯანი 2020: მომავლის ხედვა“. ის მოიცავს პუნქტს, რომელიც შემდეგნაირად სათაურდება „გენდერული თანასწორობის გარანტიები და ოჯახის ინსტიტუტის განვითარება“.

---

[164] Findings of Sociological Surveys, Prospects of Conflict Resolution in the South Caucasus, Friedrich Ebert Foundation, Tbilisi, 2002, p. 88

რთულია სიტუაცია აზერბაიჯანშიც. კერძოდ, 2014 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის მთავრობა შეეცადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უცხოური გრანტების მიღების პროცესი კონტროლქვეშ მოექცია. შედეგად, უცხოელი დონორები აზერბაიჯანიდან გადიან, ხოლო არასამთავრობო, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების უმრავლესობა, რომლებიც დონორების დახმარებით ფუნქციონირებდნენ, დაიკეტა ან საქმიანობა შეეზღუდათ.

ქვეყანაში დაახლოებით 200 ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელთა საქმიანობა მიზნად ისახავს ქალთა უფლებების დაცვას, ქალების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას და ლტოლვილების, ბავშვთა სახლებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებას. თუმცა მათგან ძალიან ცოტაა აქტიური. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე, შექმნეს მნიშვნელოვანი ურთიერთობა ოჯახის, ქალთა და ბავშვთა სახელმწიფო კომიტეტთან, რომელიც შეიქმნა 1998 წელს და გაფართოვდა 2006 წელს. ამ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის შემუშავებას 2006 წელს და კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, რომელიც მიღებულია 2010 წელს.

2002 წელს, გაეროს ქალთა განვითარების ფონდის კოალიცია 1325 შეიქმნა იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს გაეროს უშიშროების საბჭოს ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ 1325 რეზოლუციას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში. კოალიცია ახლახან გააქტიურდა UNSCR 1325-ის განხორციელების მონიტორინგში და მხარს უჭერს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც გააძლიერებს ქალთა როლს მშვიდობის მშენებლობაში და კონფლიქტების მოგვარებაში.

საერთაშორისო ვალდებულებები, როგორიცაა UNSCR 1325 და 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მექანიზმები პოლიტიკაში ქალთა

წინსვლის თვალსაზრისით. 2015 წლის თებერვალში გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა განიხილა აზერბაიჯანის კონვენციის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ მან აღნიშნა რამდენიმე პოზიტიური მიღწევა, აგრეთვე ყურადღება გაამახვილა საკანონმდებლო მოვლენებზე, 2014 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა საკანონმებლო საფუძველი, რომელიც ითვალისწინებს ქალთა უფლებების დაცვას, აუცილებელია შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც შეამცირებენ მანძილს კანონმდებლობასა და მის რეალიზაციას შორის. ამას გარდა, სისტემატურად უნდა ჩატარდეს კანონმდებლობის ექსპერტიზირება გენდერის თვალსაზრისით.

IV.III ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში და არსებული პრობლემები

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური რეალობა, როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ თანმდევი პროცესი. ბიპოლარული მსოფლიო, რომელშიც გავლენის სფეროები ორ დომინანტ აქტორს, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის იყო გადანაწილებული, XX საუკუნის მიწურულს ისტორიის კუთვნილება ხდება და კაცობრიობის ისტორიის ახალი ფურცელი იწერება.[165]

საბჭოთა კავშირის ეპოქის დასრულებისა და კომუნიზმის დამხობის შემდეგ, აზერბაიჯანში მოხდა საბჭოთა პერიოდში არსებული კვოტების სისტემის გაუქმება, რაც გახდა დასაბამი ქალთა წარმომადგენლობის კატასტროფულად შემცირების. თვალსაჩინოებისთვის, 1990 წელს ანუ ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის დროს, პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი 40% -ს უტოლდებოდა, ხოლო 1992 წლის მონაცემებით, 6%-მდე დაეცა წარმომადგენლობა. სიტუაცია შეიცვალა 1995 წელს, როდესაც ქალთა დეპუტატების წილი ახალ პარლამენტში 12%-მდე გაიზარდა. ეს პროპორცია იგივე დარჩა 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ამის შემდეგ ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში მხოლოდ 17%-მდე გაიზარდა, რაც მანიშნებელია, რომ ამ გადმოსახედიდან მდგომარეობის გამოსწორება გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების გარეშე შეუძლებელია.[166] მაშასადამე, გამოცდილებამ აჩვენა, რომ გარდამავალ პერიოდში მცხოვრებ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესში ყოველთვის არ ხდება ქალთა სოციალური აქტივიზმის ზრდა და მთავრობის არჩეულ

---

[165] აბაშიძე ზ. „ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა“. თბილისი, 2009, გვ. 22

[166] Conference on women's political representation in Azerbaijan, 2017. იხ. https://www.coe.int, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

ორგანოებში წარმომადგენლობის გაზრდა. აზერბაიჯანიც არ არის გამონაკლისი, გარდამავალ პერიოდში ქალთა წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად შემცირდა პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

2005 წლის ნოემბერში 2327 კანდიდატიდან, ვინც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპარლამენტო კანდიდატად მიმართა, 90% იყო მამაკაცი, ხოლო 10% - ქალი. ამ განცხადებებიდან 2063 მიიღეს და ოფიციალურად დარეგისტრირდნენ 89,7% მამაკაცი და 10,3% ქალი.[167] 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქალი დეპუტატები შეადგენდნენ 11,2%-ს პარლამენტში. არჩევნებამდე ჩატარდა ფართო საარჩევნო კამპანია, რომლის დროსაც ქალმა და ზოგიერთმა მამაკაცმა კანდიდატმა დღის წესრიგში დააყენა გენდერული საკითხები. შესაძლოა, ეს იყო იმ ფაქტორთა შორის, რომლებმაც საარჩევნო კამპანიის შემდეგ ეტაპებზე გავლენა მოახდინეს გენდერული ბალანსის მტკიცე განვითარებაზე. ქალი კანდიდატების/დეპუტატების წილი, შესაბამისად, 9.9% - 11.2%-მდე გაიზარდა, რაც პრაგმატულად მნიშვნელოვანია გენდერული თვალსაზრისით, წამახალისებელია საზოგადოების გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, 2007 წელს მოხდა გარკვეული გარდაქმნები აზერბაიჯანის ისტორიაში, ამ პერიოდში უკვე ქალები მეტად მნიშვნელოვან თანამდებობებს იკავებდნენ. ეს თანამდებობებია: პარლამენტის ვიცე - სპიკერი, მინისტრთა მოადგილე და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოადგილე.

აზერბაიჯანის კანონმდებლობაში არანაირად არ არის შეზღუდული ქალის მიერ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვა-აქტიურობა. 2011 წლის მიხედვით, აზერბაიჯანის ეროვნული ასამბლეის წევრთა რაოდენობა 125 შეადგენდა, საიდანაც 19 იყო ქალი.

---

[167] Gender attitudes in Azerbaijan: Trends and Challenges იხ. https://www.hdr.undp.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08.06.2021.

ქალები ხილულნი არიან სხვადასხვა დონეზე პოლიტიკური სისტემის შიგნით და თეორიულად, მათთვის კარი არ არის დახურული. მაგალითად, პირველი ლედი მეჰრიბან ალიევა არის ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტი, იუნესკოს და ISESCO-ს კეთილი ნების ელჩი და პარლამენტის წევრი. 2013 წელს იგი დაინიშნა ახალი აზერბაიჯანის პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ. ამასთანავე, 2020 წელს პარლამენტის სპიკერად არჩეულ იქნა ქალი - საჰიბა გაფაროვა, რომელიც 2010 წლიდან არის აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი და აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

პოლიტიკა აზერბაიჯანში მამაკაცების მიერ დომინირებული სფეროა. 2013 წლის ოქტომბერში, მესამე ვადით პრეზიდენტად ხელახალი არჩევის შემდეგ, პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დანიშნა 42 წევრი. მასში შედიოდა პრემიერ-მინისტრი, ხუთი ვიცე-სპიკერი, ოცი სახელმწიფო მინისტრი, ათი სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და ექვსი სხვა ოფისი. ამ 42 პოზიციიდან მხოლოდ ერთ ქალს უკავია თანამდებობა: ჰიჯრან ჰუსეინოვა, რომელიც 2006 წლიდან არის ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (SCFWCA) თავმჯდომარე. მდგომარეობა განსხვავებულია სომხეთში, სადაც ქალები იკავებდნენ მინისტრის თანამდებობას და საქართველოში, სადაც ცხრამეტი სამინისტროდან სამს ხელმძღვანელობდნენ ქალები.[168]

SCFWCA-ის მიერ 1995 წელს ჩატარებული პეკინში გაეროს ქალთა მსოფლიო კონფერენციის მეოცე წლისთავის აღსანიშნავად ყურადღება გამახვილებულია მთავრობის ყველა დეპარტამენტში ქალების არასაკმარისი

[168] Gureyeva Y. "Policy Attitudes towards Women in Azerbaijan: Is Equality Part of the Agenda", იხ. https://www.laender-analysen.de, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

წარმომადგენლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დონეზე. 2015 წელს სამ ქალს ეკავა მინისტრის მოადგილის თანამდებობა. ქალები წარმოადგენენ მუშაკთა უმრავლესობას ზოგიერთ სამინისტროში, როგორიცაა განათლების, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილები იუსტიციასა და საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამის საპირისპიროდ, სათანადო ინსტიტუციური მექანიზმების არაარსებობის მიუხედავად, ქალები აზერბაიჯანის პარლამენტში აღწევენ სტაბილურ წარმატებებს.

2017 წლამდე აზერბაიჯანი იყო წამყვანი ქვეყანა სამხრეთ კავკასიის რეგიონში პარლამენტში ქალების წარმომადგენლობის თვალსაზრისით. თუმცა, მას ჰყავდა ქალების ყველაზე დაბალი რაოდენობა მთავრობაში. მიუხედავად მცდელობისა გაზარდოს ქალთა მონაწილეობა მუნიციპალურ და ეროვნულ დონეებზე, პოლიტიკურ პარტიებში და გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში კვლავ მამაკაცები დომინირებენ. ქალების არსებითი პოლიტიკური ჩართულობა ძირითადად ხდება ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივიზმის საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის აღმასრულებელ შტოში ქალები არიან უმცირესობაში, ისინი იკავებენ ადგილს საკანონმდებლო ორგანოში და უფრო თვალსაჩინო ხდებიან საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში. 79 საპარლამენტო სამუშაო ჯგუფიდან ქალები მხოლოდ რვას ხელმძღვანელობენ. ამასთანავე, როგორც ჩანს, ბაქო დაინტერესებულია გენდერული მეგობრობის იმიჯის პოპულარიზაციით. იგი ამას აკეთებს პოლიტიკაში ქალთა შესახებ გახმაურებული ღონისძიებების მასპინძლობით, როგორიცაა საერთაშორისო კონფერენცია ქალთა როლის შესახებ კულტურათაშორის დიალოგში 2008

წელს და ქალთა ფრთის საერთაშორისო კონფერენცია აზიის პოლიტიკური პარტიების შესახებ 2013 წელს.[169]

პოლიტიკის ექსპერტებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ეროვნულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს და გამოხატეს შეშფოთება ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შემცირების და მათი მცირე წარმომადგენლობის მიმართ ადმინისტრაციულ სფეროში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ქალთა წარმომადგენლობის შემცირებას პოლიტიკურ არენაზე უკავშირებენ შემდეგ გარემოებებს:

- კვოტების საბჭოთა სისტემის გაუქმება;
- საზოგადოებაში პატრიარქალური დამოკიდებულების ზრდა;
- პოზიტიური მოქმედების არაარსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს მთავრობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას;
- იდეის პოპულარობა იმის შესახებ, რომ მამაკაცებს არ სურთ თავიანთი ძალაუფლება გაუზიარონ ქალებს.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობის სირთულეების გარდა, ქალები ხშირად ხვდებიან საზოგადოებრივი საქმიანობის ამ სფეროებში „მინის ჭერს“, რომელიც ერთგვარ ბარიერს წარმოადგენს მათი დაწინაურებისაკენ მიმავალ გზაზე. ამასთანავე, ქალები არა მხოლოდ მათ მიკუთვნებულ გენდერულ როლებს განიცდიან, არამედ იმ სტერეოტიპებსაც, რომლებიც მათ „სისუსტეს“ და „უძლურებას“ უსვამს ხაზს. მაშასადამე, არსებული უფლებების თანასწორობის მიუხედავად, ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლებისა და

[169] Azerbaijan country gender assessment, Asian Development Bank, Philippines, 2019, p. 10

პასუხისმგებლობის განაწილება და მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული რესურსების ხელმისაწვდომობა არათანაბარია.[170]

აზერბაიჯანი და მისი მსგავსი პრაქტიკის მქონე ქვეყნები, სადაც კვოტების გაუქმებამ განაპირობა ქალთა წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი რეგრესი, გვაუწყებს, რომ კვოტების სისტემა ხშირ შემთხვევაში განაპირობებს პოლიტიკურად აქტიური ქალების წინაშე არსებული ბარიერების დაძლევას. კანონთა ეფექტიანი აღსრულება არის აუცილებელი წინაპირობა კვოტებისა და პოზიტიური ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისთვის. უფრო მეტიც, კვოტების სისტემის გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია მათი კომბინირება სხვა სტარტეგიებთან, რომელიც ხელს შეუწყობს და გახდება ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის საწინდარი. გაერთიანებული ძალებით შესაძლებელი იქნება პრაქტიკული და ტრადიციულ-კულტურული ბარიერების დაძლევა, რომელიც დღეს ქალების აქილევსის ქუსლად იქცა. მაგალითისთვის, შვედეთის მიერ განხორციელდა ეფექტური კვოტა, რომელიც ეფუძნებოდა კვოტების წინმსწრები პრობლემების გადალახვას. თავდაპირველად, საფუძველი ჩაეყარა გზებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა ქალთა პოლიტიკაში შესვლას. კერძოდ, მოხდა მათი თვითშეგნების ამაღლება, მეორე ეტაპზე, განხორციელდა ისეთი გზების მოძიება, რაც განაპირობებდა მამაკაცების მხრიდან ქალებისთვის გარკვეული მასშტაბის არეალის დათმობას.[171]

---

[170] Women's problems of the Republic of Azerbaijan. 2004, იხ. https://www.un.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2021.

[171] ხომერიკი ლ. "კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ". თბილისი, 2011, გვ. 3

ემპირიული კვლევა და მისი მიზანი

სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში, ნაშრომის სრულყოფისა და საკვლევი თემატიკის უკეთ გააზრების მიზნით, გამოვიყენეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებაში მრავალგზის აპრობირებული გამოკითხვის მეთოდი - ემპირიული კვლევა. კვლევის მიზანია გავაანალიზოთ, თუ რას ფიქრობენ გენდერული საკითხების ექსპერტები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური პროცესების გენდერულ ასპექტზე პოსტბიპოლარულ ეპოქაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა. ამასთანავე, კვლევა მიზნად ისახავს დავადგინოთ, თუ რომელ შემაფერხებელ ფაქტორებს გამოყოფენ ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის თვალსაზრისით, როგორ აფასებენ საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ ინიციატივებს, აგრეთვე მათი გადმოსახედიდან, რომელი მექანიზმია ყველაზე ეფექტური გენდერული თანასწორობის მისაღწევად გრძელვადიან პერსპექტივაში.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების განსახორციელებლად შევარჩიეთ ოთხი კითხვისგან შემდგარი კითხვარი და ჩავატარეთ ნახევრად-სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ, ხოლო სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტება მოხდა შესაბამისი დარგის სპეციალისტებით, რომლებიც პარალელურად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც არიან და აგრეთვე კომპეტენტური და კვალიფიციური ექსპერტებით ქალთა საკითხებში, რომელთა თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული შეხედულებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული

გლობალური კრიზისის გათვალისწინებით, რესპოდენტებთან ინტერვიუები ჩავწერეთ პლატფორმა „Zoom”-ის მეშვეობით.

საკვლევი შეკითხვები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

- როგორია ქალის როლი რეტროსპექტულ ჭრილში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე და რა იყო მისი პოლიტიკაში ფორმირების ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები?
- რატომ გახდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში გენდერული თანასწორობა ცივი ომის დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქტუალური და როგორ შეიცვალა პოსტსაბჭოთა ქალის როლი?
- როგორია თანამედროვე საზოგადოებაში ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმის მახასიათებლები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში?
- რას ფიქრობთ, საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ ინიციატივებზე და რა მექანიზმებია ყველაზე ეფექტური გენდერული თანასწორობის მისაღწევად?

ინტერვიუ ელენე რუსეცკისთან, ჩაწერილია 2021 წლის მაისში.

ელენე რუსეცკი - ექსპერტი გენდერული მიმართულებით, აგრეთვე „ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი“.

ინტერვიუ მაია წურწუმიასთან, ჩაწერილია 2021 წლის მაისში.

მაია წურწუმია - გენდერის საკითხების ექსპერტი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ინტერვიუ თამარ ბაგრატიასთან, ჩაწერილია 2021 წლის მაისში.

თამარ ბაგრატია - გენდერის საკითხების ექსპერტი, ქალთა უფლებების დამცველი.

ინტერვიუ ლეილა სულეიმანოვასთან, ჩაწერილია 2021 წლის ივნისში.

ლეილა სულეიმანოვა - „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“-ს წარმომადგენელი.

ინტერვიუ მარი არაქელოვასთან, ჩაწერილია 2021 წლის ივნისში.

მარი არაქელოვა - „ქართველ სომეხთა კავშირი“-ს თავმჯდომარე.

პირველ საკვლევ კითხვაზე, თუ როგორია ქალის როლი რეტროსპექტულ ჭრილში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე და რა იყო მისი პოლიტიკაში ფორმირების ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები, მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება, რომ ქალის ჩართვა მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პროცესებსა და გადაწყვეტილების მიღების ორგანოში, რადგან მათ მიერ ხელშეწყობილ იქნას დემოკრატიზაციის პროცესი. გენდერული თანასწორობის დამკვიდრების წინაპირობად მოიაზრებენ გენდერული ცნობიერების ამაღლებას და გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას. ისინი თვლიან, რომ გენდერული

თანასწორობის თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რთულ ვითარებას ქმნის დამკვიდრებული სტერეოტიპები, პოლიტიკური კულტურის დეფიციტი, საზოგადოების ცოდნის დაბალი დონე და სხვ. **თ. ბაგრატია, ე. რუსეცკი და მ. წურწუმია** თანხმდებიან, რომ ქალთა პოლიტიკური ჩართულობა ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. სოციალური სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ ვინაიდან ქალები მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენს, მათ ჰქონდეთ თანაბარი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თანაბრად აიღონ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ამასთანავე, ქალების ჩასართავად უნდა არსებობდეს კრიტიკული მასა, რომელიც 30%-ზე ნაკლები არ იქნება. აღსანიშნავია, რომ **თ. ბაგრატია** რაოდენობრივ არგუმენტის გარდა, ავითარებს გამოცდილების და ინტერესის არგუმენტს. გამოცდილების არგუმენტი გულისხმობს, რომ ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ და შესაბამისად არც ეროვნულ და არც ადგილობრივ დონეზე არ არსებობს საკითხი, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად არ ეხებათ და ინტერესის არგუმენტი - ქალების ინტერესები უნდა იყოს ასახული. **ლ. სულეიმანოვა** მიიჩნევს, რომ თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სიმძიმის ცენტრმა მათკენ გადაინაცვლა და მათ ოჯახის მარჩენალის როლი მოირგეს, ხოლო **მ. არაქელოვას** გადმოსახედიდან, ქალებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ პოლიტიკაში, იმ კუთხით, რომ ქალებს უფრო გაწონასწორებული და მიზანმიმართული ნაბიჯები ახასიათებთ, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც. თუმცა, უფრო მეტი დადებითის მოტანა შეუძლია ქალების ჩართულობას. აღსანიშნავია, ქალთა პოლიტიკური აქტივობის კუთხით, მდგომარეობა გაცილებით უკეთესია საქართველოში, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით. თუმცა, ბოლო პერიოდში რევოლუციის შემდეგ, სომხეთშიც არის უზრუნველყოფილი ქალთა ჩართულობა და ისინი უფრო

მეტად იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ მოვლენებში. რევოლუციამდე სომხეთში იყო ძალიან ცუდი ტენდენცია და ძირითადად ქალები სხვა კრიტერიუმით ხვდებოდნენ პოლიტიკურ სივრცეში თუ პოლიტიკურ მართკუთხედში. ძირითადი ორიენტირი არ იყო კვალიფიკაცია და უფრო სხვა კრიტერიუმებით ხდებოდა ამ ქალების შერჩევა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ამა თუ იმ გამოცდილების მქონე ქალები არიან ჩართულები პოლიტიკურ პროცესებში სხვადასხვა მიმართულებით.

მეორე საკვლევ შეკითხვაზე, თუ როგორ გახდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გენდერული საკითხი ცივი ომის შემდეგ აქტუალური და როგორ შეიცვალა პოსტბიპოლარულ სამყაროში ქალის როლი, მკვლევართა შეხედულებები იდენტურია. ისინი მიიჩნევენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ გამოიწვია ღირებულებების გადაფასება და დემოკრატიისაკენ სწრაფვა, რომლის ერთ-ერთ მნიშვლელოვან საზომს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის დამყარება. მათი გადმოსახედიდან, მიუხედავად იმისა, რომ პოსტბიპოლარულ სამყაროში გაიზარდა ქალთა სოციალური აქტივობა, შეიცვალა გენდერული როლები და სტერეოტიპები, აგრეთვე ქალი ოჯახის მატერიალურ დონორად მოგვევლინა, მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიმღებ რგოლში კვლავ უმნიშვნელო დარჩა. **მ. წურწუმია** განმარტავს, რომ პოსტბიპოლარულ სამყაროში ქალის როლის ცვლილება განაპირობა იმ ზოგადმა სოციალურმა ცვლილებებმა, რომელიც განხორციელდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს იყო პოლიტიკური არასტაბილურობა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, კონფლიქტური სიტუაციები, რამაც გამოიწვია ჩვეული ცხოვრების წესისა და ტრადიციული ნორმების მოშლა. ბევრმა მამაკაცმა დაკარგა სამსახური, ვერ ადაპტირდა ახალ ეკონომიკურ რეალობასთან, მრავალი ქალი გახდა ოჯახის მატერიალური დონორი, რაც გულისხმობდა მისი ტრადიციული როლის

ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალი აქტიურ კარიერულ ფაზაში გადავიდა, ის პოლიტიკურ არენაზე ნაკლებად ჩნდებოდა. **მ. წურწუმიას** მოსაზრებას იზიარებს **ლ. სულეიმანოვა** და მიიჩნევს, რომ 90-იანების სოციალურ-ეკონომიკურ ჯუნგლებში, როდესაც იყო ქაოსური სიტუაცია და ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა, ამ პირობებში ქალმა აიღო ის სიმძიმე და გამოწვევები, რომელიც შეიქმნა ამ რთულ პერიოდში. ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისის დროს გამოავლინა თავი კარგად შენახულმა პატრიარქალურმა და კონსერვატიულმა დამოკიდებულებამ, რომელიც არსებობდა ჩვენს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლები სერიოზულად შეიცვალა ანუ საბჭოთა დროში ქალები ბევრად უფრო ჩაერთვნენ საზოგადოებრივ პროცესებში და დაეუფლნენ ბევრ ახალ პროფესიას, მათ მაინც ბევრი ბარიერი ექმნებოდათ. ამ დროს, 90-იანების რთულ პირობებში ქალმა რამდენიმე პროფესიითა და განათლებით თავი დაანება სამსახურს და გავიდა იმ ქაოსში, რომელსაც ვითომ კაპიტალიზმი ერქვა, რაც სინამდვილეში ასოცირდებოდა უვიცობასთან, შიმშილობასთან და უკანონობასთან. გამოდის, ქალმა შეინარჩუნა სიმშვიდე და ოჯახები შიმშილობისგან დაიცვა. **თ. ბაგრატიას** თვალსაზრისით, იმ გარდაქმნებმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევამ მოიტანა განაპირობა დემოკრატიული პრინციპების თანდათანობით დანერგვა. ბუნებრივია, დემოკრატია არ არსებობს გენდერული თანასწორობის მიღწევის გარეშე და ქალის უფლებები არ არის დაცული თუ მას არ აქვს თანაბარი დეფაქტო და დე იურე შესაძლებლობები. გენდერული თანასწორობის მისაღწევად მნიშვნელოვანია დემოკრატიზაციის პროცესი, ინსტიტუტების გარდაქმნა და სოციუმის, სოციალური ინსტიტუტების რეკონსტრუქცია. პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ქალი მეტად აქტიურია პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში. არსებობდა სტერეოტიპი, რომ ქალი არის დედა და დიასახლისი,

რაც აღნიშნულმა გარდაქმნებმა შეასუსტა და ქალი გახდა ოჯახის მარჩენალი, ემიგრანტი, რომელიც ოჯახს ეკონომიკურ სიძლიერეს უწყობს ხელს. საინტერესოა, სომეხი მკვლევარის, **მ. არაქელოვას** მოსაზრება გენდერულ საკითხებზე საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დამთავრების შემდეგ, მკვლევარი თვლის, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდი გარკვეული სირთულეების პირისპირ აღმოჩნდა, რაც გულისხმობდა სიღარიბის, გამოწვევებისა თუ კონფლიქტების დაძლევას. ამ პერიოდში ქალების მდგომარეობამ რეგრესი განიცადა და მათ ოჯახის მარჩენალის ფუნქცია შეითავსეს. **ე. რუსეცკის** მოსაზრებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყანაში დაიწყო გარდაქმნის პროცესები ცენტრალური გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და კომუნისტური რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასასვლელად. სამხრეთ კავკასია იქცა კონფლიქტებით, უმუშევრობითა და უკიდურესი სიღარიბით დამძიმებულ რეგიონად, სადაც უამრავი იძულებით გადაადგილებული ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. საბჭოთა პერიოდს და მასთან ერთად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გენდერულ თანასწორობასაც წერტილი დაესვა. სამხრეთ კავკასიის საზოგადოებებმა გადარჩენისთვის დაიწყეს ბრძოლა. ამ პერიოდში ქალებმა მარჩენალის როლი იკისრეს, ხშირ შემთხვევაში, იმის ხარჯზე, რომ დაბალხელფასიან სამუშაოზე უარს არ ამბობდნენ. გაზრდილმა ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ მათ გარკვეულწილად ძალაუფლებაც შეჰმატა.

მესამე საკვლევ შეკითხვაზე, თუ რა თავისებურებები არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმისას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, **თ. ბაგრატია, მ. არაქელოვა და ე. რუსეცკი** თანხმდებიან, რომ ქალთა პოლიტიკური აღქმის თვალსაზრისით, საქართველოში, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, არის მეტად ლიბერალური გარემო. თუმცა აზერბაიჯანშიც შეინიშნება შედარებითი

პროგრესი. ქალი პოლიტიკოსის აღქმა ხდებოდა მამაკაცისამებრ, რომელიც მამაკაცის მსგავსად იცმევდა და საუბრობდა. აღსანიშნავია, საზოგადოებრივი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკური დაწინაურებისთვის და იგი იყოფა რამდენიმე ქვეაზრად. საზოგადოების დამოკიდებულება (ქალებისაც) ხშირ შემთხვევაში არ არის ხოლმე ლოიალური პოლიტიკოსი ქალების მიმართ და არცთუ იშვიათად ქალი პოლიტიკოსების მისამართით გვესმის არაგენდერულად სენსიტიური ენა. გარდა ამისა, ისინი ფიქრობენ, რომ ქალი პოლიტიკოსები არ შეიძლება იყოს ისეთივე ეფექტური, როგორც მამაკაცები. **მ. წურწუმია** იმავეს საუბრობს და ამტკიცებს, რომ რეგიონში ჯერ კიდევ ძლიერია დამკვიდრებული სტერეოტიპები და ტრადიციული კულტურის გავლენა. თუმცა საქართველომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები გენდერული თანასწორობის დამყარების კუთხით. სახელდობრ, 2011 წელს საარჩევნო კვოტებთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები შევიდა, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკოს ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა. პარლამენტის თავჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო გახდა მუდმივმოქმედი, აქტიურად ჩართული გენდერული პოლიტიკის გატარების პროცესში და მონაწილეობს სამოქმედო გეგმების დასახვაში. რაც შეეხება სომხეთს, საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობა გარანტირებულია, თუმცა რეალურ ცხოვრებაში დისკრიმინაცია კვლავ აქტუალურია. ქალების წარმომადგენლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ რგოლში საკმაოდ დაბალია. თანამედროვე აზერბაიჯანულ საზოგადოებაში შეიძლება ითქვას, რომ გენდერული სიტუაცია შეიცვალა. ქალებს ხშირად ის სოციალური პოზიცია უჭირავთ, რაც ადრე ტრადიციულად მამაკაცებს ეკუთვნოდათ. ქალებმა დაიწყეს წმინდა „მამაკაცური“ პროფესიების ათვისება, ისინი ფართოდ არიან წარმოდგენილი პოლიტიკურ პარტიებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებში. განსხვავებულ

შეხედულებას ავითარებს **ლ. სულეიმანოვა,** რომელიც თვლის, რომ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებობს ქალთა პოლიტიკური აქტივობის აღქმის სერიოზული პრობლემა. ისეთ უმცირესობებში, როგორიც არის აზერბაიჯანი თავისი მენტალიტეტით, ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობით, აღქმის შეცვლა და სტერეოტიპების მსხვრევა ყველაზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მეოთხე საკვლევ შეკითხვაზე, თუ რა მოსაზრება არსებობს საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ ინიციატივებზე და რა მექანიზმებია ყველაზე ეფექტური გენდერული თანასწორობის მისაღწევად, მკვლევართა შეხედულებები ცალსახად ორი მიმართულებით ვითარდება - ცნობიერების ამაღლება და კვოტირების მეთოდი. **მ. წურწუმიას** პერსპექტივიდან, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დასაჩქარებლად და საუკუნეების განმავლობაში დამყარებული გენდერული დისბალანსის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს დროებითი სპეციალური ნორმა - გენდერული კვოტა. ამასთანავე, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ მექანიზმებს შორის უნდა დავასახელოთ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, გენდერული და სამოქალაქო სულისკვეთების გაძლიერება, ქალთა სამართლებრივი განათლების ამაღლება, კანონმდებლობის დახვეწა, ეფექტური საარჩევნო რეფორმების გატარება მასმედიის და არასამთავრობო სექტორის გააქტიურება გენდერული კუთხით, პოლიტიკოსი და საზოგადოებრივად აქტიური ქალების პოპულარიზაცია. **თ. ბაგრატიას** მოსაზრებით, არსებობს გენდერული კვოტა, რომელიც ბევრ ქვეყანაში იქნა აპრობირებული, როგორც კანონის, ისე შიდაპარტიულ დონეზე, რამაც ქალთა მნიშვნელოვანი დაწინაურება მოგვიტანა. ამასთანავე, ქალთა ცნობიერების ამაღლება არის მნიშვნელოვანი და ქალთა სურვილის გაჩენა, რომ მათ გაუჩნდეთ პოლიტიკაში მოსვლის

სურვილი და საზოგადოების აზრის ტრანსფორმაცია ქალი პოლიტიკოსების მიმართ. პოლიტიკური პარტია თუ იქნება დემოკრატიული, ეს ნიშნავს მეტ ქალს პოლიტიკაში. თ. ბაგრატიას შეხედულებას ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით ეთანხმება **მ. არაქელოვა** და ამბობს, რომ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ჭრილში, ცნობიერება უნდა იყოს გაზრდილი, ქალებს უნდა ჰქონდეთ იმის შეგრძნება, რომ ისინი ამ მოვლენების განუყოფელი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტები არიან. აღსანიშნავია, ძირითადად ქალთა საკითხებზე და მათ პრობლემატიკაზე შეხვედრები, საინფორმაციო ტრენინგები თუ მასტერკლასები იმართება ხოლმე ქალებთან და ამ პროცესებში აუცილებელია მამაკაცების ჩართვაც. **ე. რუსეცკის** გადმოსახედიდან, კვოტირების იდეა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან. იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ და ქვეყანაში „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ბაზისს ქმნის. ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს **ლ. სულეიმანოვაც.** დადებით პრიზმაში მეცნიერი **თ. ბაგრატია** და **მ. წურწუმია** მოიაზრებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ერთობლივი გზით ქალთა პრობლემების მოგვარების მექანიზმს - პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში". იგი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით. პროექტი მიზნად ისახავს გენდერული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობასა და გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის ზრდის მხარდაჭერას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა უამრავი სასარგებლო აქტივობა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, რაც უდაოდ ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დამყარებას და ქალების გაძლიერებას სამხრეთ კავკასიაში. პირველ რიგში, პროექტის ფარგლებში შეეცადნენ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გარკვეული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას, იქნება ეს პარლამენტი, პრემიერ-მინისტრის აპარატი,

ომბუდსმენის აპარატი და ა.შ. ამასთანავე, შესაძლოა განხორციელდეს გარკვეული ერთობლივი ღონისძიებები. ეს იქნება ცნობიერების ცვლილება, ქალი პოლიტიკოსების ზრდა და მათი სურვილის გაღვივება, რომ მოვიდნენ პოლიტიკაში, აგრეთვე საინტერესო იქნებოდა მათი სახელმწიფოთაშორისი პანელების შექმნაც.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თემატიკაზე მომუშავე მეცნიერებმა და მკვლევარებმა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები გაგვიზიარეს მთელ რიგ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, ხუთივე მათგანი თვლის, რომ საბჭოთა იმპერიის ჩამოშლამ და ცივი ომის დასრულებამ გამოიწვია ღირებულებების გადაფასება და დემოკრატიისაკენ სწრაფვა, რომლის ერთ-ერთ მნიშვლელოვან საზომს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის დამყარება. ქალების ჩართვა მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პროცესებსა და გადაწყვეტილების მიღების ორგანოში, რადგან მათ მიერ ხელშეწყობილ იქნას დემოკრატიზაციის პროცესი, აგრეთვე გარკვეული წვლილი შეიტანონ საზოგადოების კონსოლიდაციის და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში. ისინი თვლიან, რომ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რთულ ვითარებას ქმნის დამკვიდრებული სტერეოტიპები, პოლიტიკური კულტურის დეფიციტი, საზოგადოების ცოდნის დაბალი დონე და სხვ. გენდერული თანასწორობის დამკვიდრების წინაპირობად მიაჩნიათ გენდერული ცნობიერების ამაღლება, გენდერული კვოტა, გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება, ქალთა სამართლებრივი განათლების ამაღლება, გენდერული და სამოქალაქო სულისკვეთების გაძლიერება, კანონმდებლობის დახვეწა, ეფექტური საარჩევნო რეფორმების გატარება მასმედიის და არასამთავრობო სექტორის

გააქტიურება გენდერული კუთხით, პოლიტიკოსი და საზოგადოებრივად აქტიური ქალების პოპულარიზაცია.

მათი გადმოსახედიდან, მიუხედავად იმისა, რომ პოსტბიპოლარულ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გაიზარდა ქალთა სოციალური აქტივობა, მეტნაკლებად შეიცვალა გენდერული როლები და სტერეოტიპები, ამასთან, ქალი ოჯახის მატერიალურ დონორად მოგვევლინა, მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიმღებ რგოლში კვლავ უმნიშვნელო დარჩა.

დასკვნა

დასკვნაში ნაჩვენებია კვლევის ძირითადი შედეგები, პასუხები საკვლევ კითხვებზე, ჰიპოთეზის დადასტურება და კონკრეტული რეკომენდაციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში გენდერული ბალანსის მიღწევისა და ქალთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად.

დღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება, როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ოჯახის და სხვ.) არსებული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი. გენდერული დიფერენციაცია და ასიმეტრია არსებობს ყველა საზოგადოებაში და კულტურაში, თუმცა კონკრეტული წარმოდგენა მასკულინურსა და ფემინურზე სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. ამიტომ გენდერული ურთიერთობა განიხილება, - წერს გიზელა ბოკი - როგორც სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სიდიდე, რომელიც არც არაისტორიულ ფენომენზე დაიყვანება და არც ერთადერთ „საწყის“ ან „იმამენტურ“ მიზეზამდე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მენტალიტეტმა, წლობით დამკვიდრებულმა გენდერული როლების აღქმამ განაპირობა ქალთა წარმატების ფრაგმენტული ხასიათი პოლიტიკურ ავანსცენაზე.

სამხრეთ კავკასია, იმ უძველეს სატრანსპორტო გზაგასაყარზე მდებარეობს, რომელიც ოდითგანვე აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელ ხერხემალსა და ორი რადიკალურად განსხვავებული ცივილიზაციის - ქრისტიანული და მუსლიმური კულტურის დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა, რომელმაც უდიდესი როლი იქონია ქვეყნის კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური გადანაწილებისა და თუ მასზე კონტროლის შენარჩუნების ერთგვარი გამოხატულება გახდა 1922 წელს ბოლშევიკების მიერ დაარსებული ინტეგრაციული გაერთიანება - ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პრინციპებს ეყრდნობოდა და ნათლად აფიშირებდა ბოლშევიკური რუსეთის მიზნებს კავკასიის რეგიონში. საბჭოთა რესპუბლიკები - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი სწორედ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საფარველ ქვეშ აღმოჩნდნენ, რაც მოსკოვის მხრიდან „ტურბულენტური რეგიონის უფრო ეფექტიან მართვას უზრუნველყოფდა“.

საბჭოთა კავშირის დაშლითა და „ცივი ომის“ დასრულებით, კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი, გარდამტეხი პერიოდის ათვლა იწყება. დასავლური ლიბერალური დემოკრატიის სოციალიზმზე გამარჯვებამ და სტალინის პოლიტიკურ იდეალებზე დაშენებული მრავალეროვნული გაერთიანების დანგრევამ, დასავლურ საზოგადოებას იმედი გაუჩინა, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე - რუსეთის ფედერაცია და საბჭოთა კავშირში შემავალი ყოფილი რესპუბლიკები, ამჯერად, ნამდვილად გადავიდოდნენ დემოკრატიულ რელსებზე. თუმცა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დემოკრატიის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი - გენდერული თანასწორობა მიღწეულ ვერ იქნა.

განსხვავებული პოლიტიკური რეალობისა და გამოწვევების მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის წარმომადგენელი ქვეყნები დადგნენ მსგავსი გენდერული პრობლემების წინაშე, რაც გამოიწვია კონსერვატიულმა, ტრადიციებსა და კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებულმა მსოფლმხედველობამ, სოციალ-კულტურულმა ღირებულებებმა, არსებულმა წინასწარგანწყობებმა, რაც ქვეყნის დემოკრატიულ ხარისხსა და ცხოვრების დონის მაჩვენებელზე პირდაპირპროპორციულად აისახება, აქედან

გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის სამკუთხედი მიზანმიმართულად იღწვის ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდისკენ. თუმცა, 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური ცვლილებების კვალდაკვალ, მსოფლიოში მნიშვნელოვანი გენდერული პარიტეტის კრიზისი მიმდინარეობს. აღნიშნული პროცესების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონიცაა, პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა ის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უთანასწორობების პარალიზება, რომლებიც პანდემიის დაწყებამდეც არსებობდა. კორონავირუსის პანდემიის შემდეგ გენდერული თანასწორობის მიმართ მატულობს ინდეფერენტიზმი და სკეპტიციზმი, რადგან სახეზეა მატერიალური და მორალური რეგრესი.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის შედარებას, 2018 წლის რევოლუციის შემდეგ, სომხეთს აქვს გარკვეული წინსვლები გენდერულ ბალანსის დაცვასთან მიმართებაში, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან შედარებით. სახელდობრ, საერთაშორისო გენდერული ინდექსი გვამცნობს, სომხეთის პარლამანტში მოღვაწე ქალები (23,48%) აჭარბებს, საქართველოსა (20.67%) და აზერბაიჯანში (17.36%) დასაქმებულ ქალთა მაჩვენებელს. 2017 წლამდე სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველ ადგილს აზერბაიჯანი იკავებდა ქალთა პარლამენტში წარმომადგენლობის კუთხით, ხოლო 2020 წლის მონაცემების თანახმად, იგი რეგიონის ბოლო პოზიციას იკავებს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მანძილზე ანუ 2016-2020 წლებში საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი უმნიშვნელო პროგრესს მაინც განიცდიან, კერძოდ, აზერბაიჯანი (16.80%-17.36%), საქართველო (16%-20.67%) და სომხეთი (10%-23.48%). რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, დღესდღეობით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა არის საქართველოში, სადაც 12-დან არის 4 მინისტრი ქალი, სომხეთში - 1/13, ხოლო აზერბაიჯანში არცერთი მინისტრი ქალი არ არის. გარდა ამისა, არ არსებობს

ქალი გუბერნატორები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში. აღსანიშნავია, ისიც რომ, საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი ქალია, აზერბაიჯანისა და სომხეთისგან განსხვავებით. თუმცა, პირველად დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში, ქალი იკავებს პარლამენტის სპიკერის თანამდებობას.

ფაქტობრივად, ქალის რეალიზება პოლიტიკურ სარბიელზე ძალზედ მნიშვნელოვანია პროგრესული, ცივილიზებული საზოგადოების განვითარებისთვის. საქართველოში, სომხეთსა და აზებაიჯანში, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, დემოკრატიზაციის პროცესებმა ხელისუფლების ორგანოებში ქალების რაოდენობის კლება გამოიწვია, რაც ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ცნობიერებაში პატრიარქალური, მორჩილებითი პოლიტიკური კულტურის ელემენტების მოჭარბებით აიხსნება. ეს განპირობებული იყო ტოტალიტარული წარსულით, გარდამავალი პერიოდის ავტორიტარიზმით, თუმცა რაოდენობის კლებამ ხარისხობრივ ზრდასთან მიგვიყვანა.

მასობრივ ცნობიერებაში არსებული სტერეოტიპი ქალის პოლიტიკაში აღქმის თაობაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია, რაც ხელს უშლის ქალების სოციალურ-პოლიტიკურ აქტიურობას და პროფესიულ თვითრეალიზაციას, მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები ადასტურებენ, რომ ეს სტერეოტიპი სულ უფრო სუსტდება.

მიუხედავად სამხრეთ კავკასიის რეგიონში გატარებული არაერთი პოზიტიური ცვლილებებისა, პოლიტიკის სფეროს დომინანტებად კვლავ მამაკაცები რჩებიან. ქალები არ არიან თანაბრად წარმოდგენილი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტაში, ნომინალურია ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში. არსებული მდგომარეობისა და ბარიერების დასაძლევად მნიშვნელოვანია განვერიდოთ საერთო დებატების ჩარჩოებს და ეფექტური პოლიტიკური მექანიზმების გენერირებაზე ვკონცენტრირდეთ, რაც

პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის დასაბამი გახდება. ზემოაღნიშნული პროცესი უნდა იდგეს პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების ერთიანობაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებითად იცვლება ვითარება. თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაცია გულისხმობს მის დემოკრატიზაციასა და ჰუმანიზაციას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი არის გენდერული თანასწორობა. კერძოდ, ქალთა პოლიტიკაში ჩაბმის პროცესი პროგრესული, ცივილიზებული საზოგადოების განვითარების ტენდენციის მაჩვენებელია. მაშასადამე, ცივილიზებული პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაწყებულია „პოლიტიკის ფემინიზაცია“. სულ უფრო ხშირად წინა პლანზე გამოდის ე.წ. „სათათბირო დემოკრატია“, ხოლო ამოსავალ პრინციპებად გვევლინება თანასწორობა პოლიტიკურ სფეროში, ხელისუფლების გადანაწილება, უარის თქმა წმინდა მამაკაცურ წარმომადგენლობაზე, პოლიტიკის ჰუმანიზაცია და დემოკრატიზაცია. ასე რომ, ქალებს შესაძლებლობა აქვთ, მრავალფეროვნება და ზნეობრივი საწყისი შეიტანონ პოლიტიკაში.

მაგრამ ასეთ გარდაქმნათა გზაზე ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზია. იმის გაფიქრებაც კი, რომ ქალები შეიძლება მონაწილეობდნენ ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით ისეთებში, სადაც მხოლოდ ძლიერი და მკაცრი მამაკაცები საქმიანობენ, მათ მძაფრ წინააღმდეგობას იწვევს. მიუხედავად გარკვეული წინსვლისა ქალების პოლიტიკაში ცირკულირება-რეკრუტირების თვალსაზრისით, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებას უფრო ხანგრძლივი გზა აქვს გასავლელი რეალური თანასწორობის დასამკვიდრებლად.

ისტორიული გამოცდილებაც მოწმობს: იმის გამო, რომ ქალებმა მიიღეს განათლება, დაიწყეს შრომა წარმოებაში, გამოიყენეს თავიანთი პოლიტიკური უფლებები, საზოგადოებამ მხოლოდ მოიგო. შემდგომი ნაბიჯი ქალების წინსვლაში ახალი სოციალურ-პოლიტიკური როლის ათვისებასა და ყველა დონეზე მმართველობაში მონაწილეობის მიღებაშია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ფასეულობათა სისტემის დამუშავება და განვითარების ტექნოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ინიციატივიანი, სუვერენული, გონიერი ქალის ჩამოყალიბებას. ასეთი სოციალური ტექნოლოგიების მოთხოვნილება გამოწვეულია რადიკალურად შეცვლილი სოციო-კულტურული პროცესებისადმი ადაპტაციის დაჩქარების უზრუნველყოფის აუცილებლობით. ქალებისთვის ეს ტექნოლოგიები უნდა ითვალისწინებდეს მათი სოციალური მდგომარეობის სპეციფიკას და მასობრივ ცნობიერებაში ისეთი გენდერული სტერეოტიპების ბატონობას, რომელებიც ქალთა თვითრეალიზაციის სფეროებს ზღუდავს.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გენდერული თანასწორობის დასამყარებლად და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად, რაც დღევანდელი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მიზანშეწონილი იქნება შემდეგი რეკომენდაციების მხედველობაში მიღება:

- ფულადი სახსრების დეფიციტი, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვნად დამაბრკოლებელი ბარიერია ქალთა აქტივობისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სპეციალური მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ფოკუსირდებიან გრანტების გაცემაზე. მსგავსი ფონდებით მსოფლიოს არაერთი ქვეყანა იწონებს თავს. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული

„ემილის ლისთი“, რომელიც 1985 წელს დაარსდა. მისი მიზანია ქალთა რეკრუტირება და ფინანსურად უზრუნველყოფა;

- საკანონმდებლო ბაზის ექსპერტიზა;
- სახელმწიფო ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირება და უწყებათა სამოქმედო გეგმაში გენდერული პარამეტრების, როგორც საინდიკატორო ფაქტორის შეტანა;
- გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება;
- ქალთა პროფესიული მონაცემების ბაზის შექმნა, რომელიც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს მისცემს საშუალებას, რომ სათანადო კადრებს რეკომენდაციები მისცეს ვაკანსიების დასაკავებლად;
- პრეზიდენტის აპარატში ქალთა დასაქმების მიზნით კომისიის შექმნა, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შევლენ;
- ქალთა ჩართვა სამშვიდობო მოლაპარაკებებში;
- ქალთა სამართლებრივი და პოლიტიკური განათლების ამაღლება;
- საზოგადოების ინფორმაციულობის ზოგადი დონის ამაღლება, რაც გულისხმობს ქალთა სამოქალაქო აქტივობასა და პოლიტიკაში ჩართვის საჭიროების შეცნობას, გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება;
- სპეციალური ზომების გატარება და პოლიტიკურ პარტიებისათვის ხელის შეწყობა, იმისთვის, რომ ქალები განიხილებოდნენ თავიანთი პარტიების ღირსეულ რესურსად, კერძოდ, გამოკვლეული იქნეს პოლიტიკური პარტიების პროგრამები გენდერული თანასწორობის ჭრილში და ხელი შეეწყოს შიდაპარტიულ დემოკრატიას, რათა მოხდეს პოლიტიკური პარტიების სტიმულირება გენდერულად დაბალანსებული სიების შედგენისათვის;

- საარჩევნო კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ მოყვანილი იყოს შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან;
- ხელი შეეწყოს გენდერული ბალანსის მიღწევას საარჩევნო ადმინისტრაციებში, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში;
- სპეციალური კომისიის დაარსება, რომელიც მიზანმიმართული იქნება ქალთა დასაქმებისა და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის კონტროლისაკენ;
- მოხდეს მომავალი ქალი კანდიდატების ხელშეწყობა მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და ძლიერი პოლიტიკური პროგრამების შემუშავების გზით;
- მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მუშაობა მოსახლეობის მიერ დემოკრატიული პოლიტიკური ღირებულებების, მათ შორის გენდერული თანასწორობის ათვისების საქმეში;
- საზოგადოებრივად და პოლიტიკურად აქტიური ქალების პოპულარიზაცია და შემდგომი ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ზ. „ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა“. თბილისი, 2009.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი. თბილისი, 2008.
3. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), გენდერული კვოტა და მისი მნიშვნელობა. თბილისი, 2020.
4. აზიზოვა მ. „აზერბაიჯანი დღეს“. თბილისი: ლიბერალი, 2014.
5. აკობია ე. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
6. ალადაშვილი ბ. „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“. თბილისი, 2010.
7. არტი რ., ჯერვისი რ. „საერთაშორისო პოლიტიკა“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
8. არჯევანიძე ნ. (2016) „ადრეული საბჭოთა კავშირი (20-30-იანი წლები) და გენდერი”.
9. ასათიანი ს., ლეჟავა ნ. „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2014.
10. ბანჩი შ. „ქალის ადამიანის უფლებები/გენდერული თეორიების ანტოლოგია“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2002.
11. ბაქრაძე დ. „ქართველი ქალები", „საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1891.
12. ბერდიანაშვილი ზ. „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა ცენტრი და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი”. თბილისი: გამომცემლობა „გლობუსი“, 2015.

13. ბექიშვილი ნ. „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში“. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2009.
14. ბრანდტ გ. „ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკა“. თბილისი: კრიტერიუმი, 2001.
15. გაეროს განვითარების პროგრამა. „ქალთა მდგომარეობა საქართველოში“. თბილისი: ნეკერი, 2000.
16. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN). „სომხეთისა და საქართველოს შრომის ბაზრის რეგულაციების გენდერული ანალიზი“. თბილისი, 2018.
17. გამსახურდია ვ. „ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში“. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.
18. გაფრინდაშვილი ლ. „ქალები პოლიტიკაში”. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2009.
19. გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაცია: საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო. თბილისი: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES), 2014.
20. გოგელია ნ. „მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი“. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020.
21. გონაშვილი ვ. „გენდერული თანასწორობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები“. თბილისი, 2008.
22. ერენრაიხი ბ. (1976) რა არის სოციალისტური ფემინიზმი. ჟურნალი „Win“. იხ. http://www.womensgaze.org.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2021.
23. ვაწაძე ვ. (2015) „გენდერული სტერეოტიპები საბჭოთა კავშირში და ჰომოფობიური დისკურსის შემუშავების პოლიტიკა“.

24. ზურიკაშვილი ფ. „ქალი და პოლიტიკა“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 1999.
25. ზურიკაშვილი ფ., ჯორბენაძე რ. „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“. თბილისი, პოლიგრაფ+, 2011.
26. თურმანიძე თ., ურუშაძე ე., დუჩიძე ლ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია“ - თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004.
27. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი - „ევროინტეგრაციის საკითხები - ვიშეგრადის ქვეყნები და სამხრეთ კავკასია“. თბილისი, 2013.
28. კაპანაძე ლ., ხახუტაშვილი, ე. „საზოგადოებასთან ურთიერთობა“. თბილისი: უნივერსალი, 2004.
29. კიკნაძე თ. „ლიბერალური დემოკრატია“, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი, 2016. იხ. http://www.dictionary.css.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021.
30. კიკნაძე თ. „გენდერი და მისი არსი“. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
31. კიკნაძე თ. „კულტურა, სქესი, რელიგია”. თბილისი: „ღია საზოგადოება - საქართველო“, 2005.
32. კიკნაძე თ., დონაძე ნ. „გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
33. კიკნაძე თ. (2003) „თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის გენდერული ასპექტი (80-90-იანი წლების საქართველოს მაგალითზე)“, თბილისი.
34. კობახიძე ბ. „ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწყმო, მომავალი“. თბილისი, 2020.

35. კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, 1994 წლის 22 სექტემბერი.
36. კონვენცია „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“, 1995 წლის 5 მაისი.
37. კონვენცია „თანაბარი ღირებულების შრომაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების შესახებ“, 1996 წლის 29 მაისი.
38. კონრად ადენაუერის ფონდი - „სამხრეთ კავკასია 2018: ფაქტები, ტენდენციები და სამომავლო სცენარები“. თბილისი, 2018.
39. ლაზარაშვილი ე. (2014) „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, თბილისი. იხ. http://www.intermedia.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2021.
40. ლებანიძე ბ., ლარსენი ჯ., კახიშვილი ლ., მაჩიტიძე, ი. „პოლიტიკის დოკუმენტების კრებული“. თბილისი, 2018.
41. ლომაია ნ. „გენდერის საკითხები“. თბილისი: უნივერსალი, 2009.
42. ლომია ე. „სამხრეთ კავკასია-როგორც დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი საქართველოს მაგალითზე“. თბილისი, 2021.
43. ლომია ე. (2021) „რა სურს პუტინის რუსეთს: არალიბერალური თუ სუვერენული დემოკრატია“, ჟურნალი: „ახალი ეკონომისტი“, თბილისი.
44. მალაშხია შ. „კონფლიქტების ანატომია“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
45. მანველიშვილი ნ. (2019). „ქალის სტატუსის ცვლილება სტალინის მმართველობის დროს საქართველოსა და საბჭოთა კავშირში”. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
46. მეგრელიშვილი თ. „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018, იხ. https://www.gtu.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.08.2021.

47. მელანიშვილი თ. „ქალები და სტალინი“. თბილისი, 2019.

48. მეტრეველი ე. „პოლიტიკური კულტურის გენდერული ასპექტი (პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე)“. გრიგოლ რობაქაძის უნივერსიტეტი, 2010.

49. მსოფლიოს ქალთა პროგრესი, „გენდერი და ანგარიშვალდებულება“. თბილისი, 2019.

50. ნადარაია ლ. „ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში“. თბილისი, 2005.

51. რეგიონული კვლევა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. თბილისი, 2015

52. რონდელი ა. „საერთაშორისო ურთიერთობები“. თბილისი: მესამე განახლებული გამომცემლობა, ნეკერი, 2006.

53. რუსეცკი ე., გოგოლაძე თ. „საქართველოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასება, კვლევის ანგარიში“. თბილისი: ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011.

54. საბედაშვილი თ. „გენდერი და დემოკრატიზაცია: საქართველო 1991-2006“. თბილისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2007. იხ. https://www.ge.boell.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.07.2021.

55. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში. თბილისი: UNDP Georgia, 2013.

56. სანიკიძე გ., კიღურაძე ნ. „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“. თბილისი: მერიდიანი, 2001.

57. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ, 30-ე მუხლი.

58. სერპი ლ. (2012) ქალი პოლიტიკაში, ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგები. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, თბილისი.
59. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი: „ლოგოს პრესი“, 2004.
60. სტივენსონი მ. „გენდერი და დემოკრატია“. თბილისი, 2004.
61. სურმანიძე ლ. „ქალი ქართულ მენტალიტეტში“, გენდერის აქტუალური საკითხები/გაეროს განვითარების პროგრამა „ქალები განვითარების პროცესში“, თბილისი, 1998.
62. ტალიაშვილი თ. (2015). „ქალი, ფემინიზმი, გენდერი“. იხ. http://www.rubrica.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
63. ტუკვაძე ა. „საქართველოს პოლიტიკური კულტურა“. თბილისი: უნივერსალი, 2014.
64. „ქალები ბიზნესსა და მენეჯმენტში: ძალებს იკრებენ“, თბილისი: ILO, 2015.
65. ქალები პოლიტიკაში, (2010). ტაბულა, N 3.
66. ქალი გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 1998.
67. ქალის უფლებები. II ნაწილი - საკითხები საოჯახო კანონმდებლობიდან. თბილისი, 2004.
68. შაბერტ ი. „გენდერი: ახალი ლიტერატურის ისტორიის კატეგორია“. თბილისი: კრიტერიუმი, 2001.
69. შორე ე., ჰაიდერ კ. „ქალურობა, ფემინიზმი, სქესი და გენდერი”. თბილისი, 2001.
70. შულერი მ. „ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ“. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2001.
71. ჩხეიძე თ. (2010) „სამხრეთ კავკასია პოლიტიკაში ქალთა მეტი ჩართულობისათვის მზადაა“. იხ. https://www.netgazeti.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.01.2020.

72. ჩხეიძე ქ. (2012) „ქალთა პოლტიკური წარმომადგენლობა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ“. იხ. https://womensvoice.tsu.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.08.2021.

73. წერეთელი ე. „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში“. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2009.

74. წურწუმია მ. (2020) „საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში“. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

75. წურწუმია მ. (2019) „პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები (ექსპერტული ანალიზი საქართველოს მაგალითზე)“. ჟურნალი „პოლიტოლოგოსი“, თბილისი.

76. ჭანია ვ. „პოლიტოლოგიის საფუძვლები“. თბილისი: გამომცემლობა „ბედია“, 2000.

77. ჭითანავა ხ. „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში“. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2009.

78. ხომერიკი ლ. „გენდერი და პოლიტიკა“. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია, 2006.

79. ხომერიკი ლ. „კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“. თბილისი, 2011.

80. ჯავახიშვილი ნ. „წინააღმდეგობა პოზიტიური ქმედებისადმი: სტუდენტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების პოზიციები“. თბილისი, 2009.

81. ჯავახიშვილი ნ. ფემინისტური მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა. იხ. https://www.nplg.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

82. ჯოჯიშვილი ქ. (2018) „გენდერული პრობლემების გავლენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე საქართველოში", თბილისი.

83. Almond G., Powell B. „Dalton Comparative Politics Today". A World View, 2008.

84. Anderson K., Armitage S., Jack D., Wittner J. „Beginning Where We Are: Feminist Methodology in Oral History". London: Westview Press, 1990.

85. Ashmore R. D., Delboca F. K. (1979) „Sex stereotypes and implicit personality theory: Toward a cognitive-social psychological conceptualization".

86. Aslanyan S. „Women's rights in Armenia". Center for the Development of Civil Society. იხ. https://www.socialwatch.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.10.2021.

87. Attwood L. „Creating the New Soviet Woman". London: Macmillan Press, 1999.

88. Azerbaijan country gender assessment, Asian Development Bank. Philippines, 2019.

89. Bakan D. The duality of human existence. Chigaco: Rand McNally, 1966.

90. Barker D. K. „Dualisms, Discourse and Development". Bloomington and Indianapolis: Indiana University Press, 2000.

91. Beard M.R. „Women as Force in History: A Study in Tradition and Realities". New York: Persea Books, 1987.

92. Bebel A. „Woman under Socialism". New York, 2009.

93. Bem S. L. „The Lenses of Gender, Transforming the debate on sexual inequality". New Haven, Connecticut: Yale University Press, 1993.

94. Blair K. J. „The Clubwoman as Feminist. True Womanhood Redefined, 1868-1914". New York, London: Holmes and Meier Publishers, 1978.

95. Bridger S. „Women in the Soviet Countryside". Cambridge, United Kingdom: Cambridge University Press, 1987.

96. Buffaloe M. (2020) „Examining women's rights in Azerbaijan". იხ. https://www.borgenproject.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

97. Burchill S. „Theories of International Relations". New York: Palgrave Macmillan, 2005.

98. Bussey K., Bandura A. (1999) „Social cognitive theory of gender development and differentiation".

99. Carli L. L. (2011) „Gender, interpersonal power and social influence. Journal of Social Issues".

100. Chitashvili M., Javakhishvili N., Arutiunov L., Chachanidze S. (2010), „National Research on Domestic Violence against Women in Georgia." იხ. https://www.genderbasedviolence.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.

101. Cohen L., Manion L., Morrison K. „Research Methods In Education". USAID, (Sixth Edition).

102. Cole N. L. (2008) „Global Capitalism Organizing Knowledge of Race, Gender and Class: The Case of Socially Responsible Coffee". California, 2008.

103. Conference on women's political representation in Azerbaijan, 2017. იხ. https://www.coe.int, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

104. Convey M., Ahern D. W., Steuernagel, G. A. „Women and public policy". Washington: Copress, 2005.

105. Cook R. „Human Rights of Women: National and International Perspectives". University of Pennsylvania Press, 1994.

106. Cornell S. „Azerbaijan since independence". Routledge, 2015.

107. Cox R. (1981) „Social Forces, States and World Orders: Beyond International Relations Theory". Millennium: Journal of International Studies.

108. Deaux K., Major B. „A social-psychological model of gender". New York, Oxford University Press, 2000.
109. Dessler G. „Human Resource Management". New York: pirson, 2013.
110. Elias N. On Human Beings and Their Emotions: A Process – Sociological Essay. 1987.
111. Engels F. „The Origin of the Family, Private Property and the State". London: Penguin Group, 2010.
112. Epstein C. F. „Deceptive Distinctions: Sex, Gender and the Social Order". New Haven: Yale University Press, 1988.
113. Findings of Sociological Surveys, Prospects of Conflict Resolution in the South Caucasus.Friedrich Ebert Foundation, 2002.
114. Foucault M. „L'archéologie du savoir". France: Éditions Gallimard, 1969.
115. Freedman E.B. „Feminism, Sexuality, and Politics". Chapel Hill: The University of North Carolina Press, 2006.
116. Gamaghelyan P. „Challenging gender norms, dealing with the past, and protecting the environment". Caucasus Edition: Journal of Conflict Transformation, 2018.
117. Gasztold A. (2017). „A feminist approach to security studies".
118. Gelb J. „Feminism and Politics". Berkley: University of California Press, 1989.
119. Gender Barometer Survey. Center for the Gender and leadership studies. Armenia, 2015.
120. Gender attitudes in Azerbaijan: Trends and Challenges. იხ. https://www.hdr.undp.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
121. Giddens A. „The Consequences of Modernity". Stanford University Press, 1990.
122. Goldman W. „Women, the State and Revolution". Cambridge: Cambridge University Press, 1993.
123. Gordon A. D., Buhle M. J., Dye N. S. The Problems of Women's History. ed.: Liberating Women's History, 1976.
124. Greer G. „The Female Eunuch", 1970.

125. Gureyeva Y. (2015) „Policy Attitudes towards Women in Azerbaijan: Is Equality Part of the Agenda". იხ. https://www.laender-analysen.de, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

126. Hajinazarian G. (2021) „Where Do Women Standin Armenian Politics". იხ. https://www.watchdogsgazette.com, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.

127. Hawkesworth M. „Globalization and Feminist Activism". Lanhan: Rowman & littlefield Publishers, 2006.

128. Heitlinger A. „Women and State Socialism". London: Macmillan Press, 1979.

129. Heywood A. „Politics". Palgrave Foundation, 2003.

130. Heywood A. „Political Ideologies". Palgrave Foundation, 2002.

131. Hutton M. „Resilient Russian Women in the 1920s and 1930s". Lincoln: The University of Nebraska-Lincoln Libraries, 2015.

132. Kanter R. M. „Men and Woman of the Corporation". New York: Basic Books, 1977.

133. Kert B. „The Women in the Family". New York: Rondom House Trade Paperbacks, 2003.

134. Kollontai A. „Love of Worker Bees". Chicago: Academy Press, 1978.

135. Lamphere L. „Woman, Culture and Society". Stanford University Press, 1974.

136. Landwehr A. „Historische Diskursanalyse". Frankfurt, 2008.

137. Lapidus G. „Women in Soviet Society Equality, Development, and Social Change". Berkeley: University of California Press, 1978.

138. Lauer R. H. „Social problems and the quality of life". Boston: McGraw-Hill, 1998.

139. Lee S. „Stalin and the Soviet Union". London: Routledge, 1999.

140. Lenin V. „The Emancipation of Women". Lucknow: Rahul Foundation, 2010.

141. Lerner G. „New Approaches in the Study of Women in American History – Journal of Social History: Definition and Challenges – Feminist Studies, 1995.

142. Lindsey L. „Gender Roles: A Sociological Perspective“. Maryville University of St. Louis, 2005.
143. Lorber J. „Gender Inequality: Feminist Theory and Politics“. New York: OXFORD university press, 2010.
144. Lorber J. „Women Physicians: Careers, Status and Power“. New York and London: Tavistock, 1984.
145. Lorber J. „Paradoxes of Gender”. New Haven, Connecticut: Yale University Press, 1994.
146. Lorber J., Farell S. A. „The Social Construction of Gender”. Sage Publications, 1991.
147. Maccoby E. „The two sexes”. Cambridge, MA: Harvard University Press, 1998.
148. Maccoby E. Jacklin C. N. „The psychology of sex differences”. Stanford, CA: Stanford University Press, 1974.
149. Mckee J. P., Sheriffs A. C. (1957) „The Differential Evaluation of males and females”, Journal of Personality.
150. Millett K. „Sexual politics“. Columbia University Press, 1970.
151. Najafizadeh M. „Gender and Ideology: social change and Islam in post-soviet Azerbaijan“. University Press of Florida, 2012.
152. Nanz and Steffek, Global governance, participation and the public sphere, 2004.
153. OSCE/ODIHR/EOM საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2012.
154. Parsons T., Bales R. „Family, socialization and interaction process”. The Free Press, 1955.
155. Pizan C. „The Book of the City of Ladies“. New Brunswick: Rutgers University.
156. Pomerantsev P. (2017) „Nothing is true and everything is possible: the surreal heart of the new Russia“. .
157. Rush A. K. „Feminism as Therapy“. New York: Random House, 1974.
158. Sen G., Grown C. „Development Crisis and Alternative visions: Trird World Women’s Perspective”. New York: Monthly Review Press, 1987.

159. Shulman E. „Stalinism on the Frontier of Empire“. New York: Cambridge University Press, 2008.
160. Sjoberg L. „Gender and international security“. London and New York: Routledge, 2010.
161. Trotsky L. „Women and the Family“. New York: Pathfinder Press, 1970.
162. UNDP in Armenia, „Women In politics” (2018) იხ. https://www.am.undp.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
163. Viotti P. „International Relations Theory“. Pearson Education, 1999.
164. Waters M. „Rosa Luxemburg Speaks“. New York: Pathfinder Press, 1970.
165. Wellmer A. „Models of Freedom in the Modern World“. Philosophical Forum, 1989.
166. Wollstonecraft M. „A Vindication of the Rights of Woman“. University of Pennsylvania Press, 1978.
167. Women, Culture and Society. A reader, Edited by B.B Ballet, P. McDaniel. For The Women’s studies Program. Rutgers University – New Brunswick.
168. Women’s problems of the Republic of Azerbaijan. 2004, იხ. https://www.un.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
169. Women's Role and Position in Armenia. იხ. https://www.core.ac.uk, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
170. Wood E. „Gender and Politics in Revolutionary Russia“. Bloomington: Indiana University Press, 1997.
171. Алексиевич С. (1985). „У Войни не женское лицо“.
172. Бергер И. „На чем держится теория модернизации”. Журнал: Социология, 1997.
173. Бовуар С. „Второй пол”. М., “Наука”, 1995.
174. Котова А., Денисенко В. „Делиберативная демократия, обзор концепции Ю. Хабермаса, III международная конференция „Право: современные тенденции” (Краснодар, февраль 2016)“. Дата публикации: 04.02.2016.

175. Феминизм: перспективы социального знания, 1993.
176. Феминизм: Восток. Запад. Россия. М., Наука. Издательская фирма «Восточная Литература“. 1993.
177. Шинелева Л. Т. „Путь в XXI век”. IV всемирная конференция по положению женщин в Пекине, 1995.
178. Хабермас Ю. „Демократия, разум, нравственность”, 1995.
179. Хорни К. „О психологии женщины, Психология и культура”, 1995.
180. Элиас Н. „Отношения между мужчиной и женщиной: изменение установки”, 1994.